არა მგონია, ერაყმა ჩვენთვის მოიცალოს B1

მზვერავების შეცდომები და მათი შედეგები A8

„ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 18 მარტი, 2003 წელი. №75 (287)

ფასი 50 თეთრი

ომი

პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ლიტვაში ვიზიტს აგრძელებს. დღეს ნინო ბურჯანაძე ლიტვის პრეზიდენტს როლანდას პაკსასს, თავდაცვის მინისტრს ლინას ლინკავიჩიუსს და საგარეო საქმეთა მინისტრს ანტანას ვალენისს შეხვდება.

მას შემდეგ, რაც საქართველომ ოფიციალურად განაცხადა ნატო-ში გაწევრიანებისაკენ მისწრაფების შესახებ, ბალტიისპირეთის ქვეყნებთან თანამშრომლობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. საქართველო, პირველ რიგში, სწორედ ბალტიის ქვეყნებისაგან ელის ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ გამოცდილების გაზიარებას და ამ ორგანიზაციებში ჩვენი ინტერესების ლობირებას. ექსპერტების განცხადებით, ბალტიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ერთად, ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების ყველაზე აქტიური მხარდამჭერნი არიან.

ბოლო დროს საუბრობენ იმაზეც, რომ საქართველოს სურს შეუერთდეს "ვილნიუსის ათეულს" - აღმოსავლეთ ევროპის იმ ათი ქვეყნის გაერთიანებას, რომლებსაც ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება სურთ. ქართველი ანალიტიკოსების თქმით, ეს დიდად შეუწყობდა ხელს საქართველოს დაახლოებას ნატო-სა და ევროკავშირთან.

ბალტიისპირეთის ქვეყნებიც მნიშვნელოვან დაინტერესებას იჩენენ საქართველოთი და, მთლიანად, კავკასიით. საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების დონეზე ბოლო ორ წელიწადში რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა.

პრაიმ-ნიუსის ცნობით, ლიტვა ამჯერად გამოდის ინიციატივით, გაიმართოს ბალტიის სამი და კავკასიის სამი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეთა შეხვედრა. გარდა იმისა, რომ ეს დიალოგი კავკასიელ სპიკერებს საშუალებას მისცემს, "პირველი ხელიდან" მიიღონ წარმატებული სახელმწიფოს მშენებლობისა და ეფექტური რეგიონული თანამშრომლობის მაგალითი, იგი ბიძგს მისცემს ე.წ. "ბალტიის ზღვა - შავი ზღვის ინიციატივის" განვითარებას, რომელიც ამ ორი რეგიონის დაახლოებას ისახავს მიზნად. ამ ინიციატივაში ცენტრალურ ადგილს ტრანსპორტისა და უსაფრთხოების საკითხები იკავებს.

სამწუხაროდ, ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსს არც პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტის მნიშვნელობა ესმის და არც მართლაც პოლიტიკურ საკითხებზე ფიქრით იწუხებენ თავს.

ვიზიტის პირველი დღე

გუშინ ლიტვაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე თავის კოლეგას, ლიტვის პარლამენტის სპიკერს, არტურას პავლიაუსკასს და პირველ ვიცე-სპიკერს, ჩესლოვას იურშენასს შეხვდა. ქართული დელეგაცია, აგრეთვე, საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის წევრ პარლამენტარებს, ბალტიის საპარლამენტო ასამბლეაში ლიტვის სეიმის დელეგაციის წევრებს ესაუბრა. გაიმართა შეხვედრები ლიტვისა და პოლონეთის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარესთან. მოგვიანებით, საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა მიიღო.

გაგრძელება A2 გვერდზე



რა უნდა ამერიკას ერაყში

თემურ იაკობაშვილი
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევების ფონდი

*კითხვა: **"იქნება თუ არა ომი", უკვე არააქტუალურია.***
*საინტერესოა სხვა კითხვა: **"რა უნდა ამერიკას ერაყში"?***

ნავთობი

ძალიან ბევრს ეს კითხვა შეიძლება ტრივიალურადაც მოეჩვენოს, რადგან არსებობს ასევე ტრივიალური პასუხი - ნავთობი. ასეთი მოსაზრება ეყრდნობა იმ ფაქტებს, რომ ნავთობის მარაგით ერაყი მეორე ადგილზეა საუდის არაბეთის შემდეგ. მსოფლიოს ჯერ კიდევ ახსოვს მწვავე სანავთობე კრიზისები.

მართალია, ნავთობის მიწოდების შეზღუდვა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისთვის ძალზე სახიფათოა, მაგრამ დღეისათვის უკვე აღმოჩენილია საკმაო რაოდენობის ალტერნატიული წყაროები, რათა კრიზისი არ განვითარდეს. გარდა ამისა, ყველა განვითარებულ სახელმწიფოს გააჩნია ნავთობის სტრატეგიული მარაგი, რომელიც ქვეყანას ენერგეტიკულ შიმშილს ააცილებს. შეიძლება გავიხსენოთ ვენესუელის კრიზისი, რომელმაც მრავალთა გასაოცრად მსოფლიოს სანავთობე ბაზარზე კატასტროფა არ გამოიწვია.

ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფო, რა თქმა უნდა, დაინტერესებულია მსოფლიო ბაზარზე ნავთობის სტაბილური და დაბალი ფასებით. მაგრამ განა ეს ცუდია სხვა ქვეყნების მოსახლეობისთვის? რა თქმა უნდა, ამერიკული კომპანიები დაინტერესებულნი არიან ერაყული ნავთობით, მაგრამ ამგვარი ინტერესი არ აქვთ სხვა ქვეყნის კომპანიებს?

ამ კონტექსტში საყურადღებოა გადავხედოთ "ანტისაომარ კოალიციას" და მათ რეალურ ინტერესებს. დღეისათვის საფრანგეთს გააჩნია ერაყის უდიდესი სანავთობე საბადოს დამუშავების უფლება. რუსეთის კომპანია "ლუკოილსა" და სხვებს ერაყში ძალზე სარფიანი კონტრაქტები აქვთ და რუსეთმა არაერთხელ გამოხატა თავისი ინტერესი ერაყული ნავთობის მიმართ ომის შემდგომ პერიოდში. ერაყს დღემდე აქვს შეიარაღების მიწოდების შედეგად დაგროვებული რუსეთის 6-მილიარდიანი ვალი, რომლის დაბრუნებაც რუსეთს ძალიან სჭირდება. "აგრესორი" ისრაელის მიერ თავის დროზე ერაყში დაბომბილი ბირთვული რეაქტორი ფრანგული წარმოშობის იყო. რომ არა ეს დაბომბვა, მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარი მკითხველის ფანტაზიისათვის მიმინდვია. სოციალისტურ-კაპიტალისტური ჰიბრიდული წყობის, ეკონომიკის აღმავლობის გზაზე მდგარ ჩინეთს კი დიდად არ გაახარებს ამერიკის უზომო გაძლიერება.

გაგრძელება A3 გვერდზე

ამინდი

თბილისი	9
ქუთაისი	12
ბათუმი	11
სოხუმი	12
ფოთი	12
თელავი	6
ზუგდიდი	13

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1500
ევრო	2.3276
გირვანქა სტერლინგი	3.4013
რუბლი	0.0685

პოლიცია წვრილფეხა „კანონიერ" ქურდებს დაერია

მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტის ნათქვამი – ან კანონიერი ქურდები აღარ იარსებებენ, ან უნდა ვაღიაროთ, რომ სამართალდამცველი სტრუქტურები ქვეყანას არ ჰყავსო – სამართალდამცველების გააქტიურების საბაბი გახდა. შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა ხელქვეითებს ბრძანება მისცა – მარტის ბოლომდე "კანონიერი" ქურდების პრობლემა მოხსნილი უნდა იყოს, თუ არადა თანამდებობებს დაემშვიდობებითო. "შავი სამყაროს" წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას შს მინისტრის მოადგილე ზურაბ ჩხაიძე მეთაურობს.

ინგა ალავიძე

უკვე ერთი კვირაა, შინაგან საქმეთა სამინისტრო ქვეყნის პირველ პირს "კანონიერი" ქურდების წინააღმდეგ დაწყებული ომით აწონებს თავს. "პოლიციელთა კვირეული", რომელიც "შავი სამყაროს" ლიდერთა დაჭერებს მიეძღვნა, მათ მიერვე ქულების ჩაწერის მიზნით ატეხილი აჟიოტაჟის ფონზე მიმდინარეობდა. სამართალდამცველთა ბოლოდროინდელი ნაღვაწის წარმოჩენას მიეძღვნა გუშინდელი პრესკონფერენცია შსს-ში, რომლის მომწყობებიც კმაყოფილებას ვერ მალავენ და აცხადებენ, რომ ცოტა ხანში ქვეყანას მთლიანად "გაწმენდავენ" ქურდული სამყაროსგან. ერთი სიტყვით, პოლიციას პრეზიდენტის მითითების შესრულება არ გასჭირვებია: ნარკოტიკი და იარაღი – ეს ორი ნივთმტკიცებაა ავტორიტეტული კრიმინალების დაკავების საბაბი.

გაგრძელება A7 გვერდზე

თემატური უმრავლესობა გადამწყვეტი ბრძოლის წინ

ფლაგმანობას რჩეულიშვილი კისრულობს

115 ლარის ირგვლივ გამართული აბსურდული და უნიჭო საპარლამენტო სანახაობა კვლავაც გრძელდება. ოპოზიციის გააფთრებული ბრძოლისა და თემატური უმრავლესობის აშკარად უსუსური სტრატეგიის წყალობით, მინიმალური ხელფასის გაზრდის საკითხი კვლავ ღიად რჩება. სახელისუფლებო ფრაქციები გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებიან. პრეზიდენტის სურვილის შესასრულებლად მათ რიგებში მორიგი სრული მობილიზაცია ცხადდება. ოპოზიციასთან ე.წ. საპროცედურო ომის წმინდად წაგების შემდეგ თემატური უმრავლესობა შესანიშნავად აცნობიერებს, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილია. პრეზიდენტი შევარდნაძე საპარლამენტო ომში არ ერევა და საკუთარ მხარდამჭერებს მათ მიერვე დაშვებული შეცდომის გამოსწორებას სთხოვს. ომი (როგორც საპროცედურო, ასევე პოლიტიკურიც) მოსაგებია. ამ ბრძოლაში კი ყველა ხერხია მისაღები.

თამარ მჭედლიშვილი

დღეს პარლამენტის სხდომათა დარბაზში, საპროცედურო ომთან ერთად, პოლიტიკური შეტაკებაც გაიმართება. თემატური უმრავლესობის ბელადი კი პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი იქნება, რომელმაც, როგორც ჩანს, ეს ფუნქცია სახელმწიფო მინისტრთან შეთანხმებით იტვირთა.

გაგრძელება A2 გვერდზე

წერილი ქართველ მეგობარს

გიგი თევზაძე

მე არ მეგონა, რომ დაპირისპირება ერაყში მოსალოდნელი ომის გამო სოციალური პრობლემა გახდებოდა. მითუმეტეს, მე ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ აზრები მოსალოდნელი ომის შესახებ იმდენჯერ აირეკლებოდა ერთმანეთში, რომ საბოლოოდ მხოლოდ მრუდე ლანდებს მივიღებდით. სწორედ მრუდე ანარეკლების და სარკის მიღმა დაწყებული მოგზაურობის გამო, რომელიც თანდათან სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს ითრევს, გადავწყვიტე შენთვის წერილის მოწერა.

როგორც ალბათ უკვე მიხვდი, მე იმ ადამიანებს მივეკუთვნები, ვისზეც ამბობენ, რომ ისინი ომს მხარს უჭერენ. შენ, როგორც ვიცი, ამ ომის წინააღმდეგი ხარ. თავიდანვე რომ თავიდან ავიცილოთ ერთმანეთისადმი ბრალდებები, მოდი შევთანხმდეთ, რომ ორივენი

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 სპეცსამსახურები

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

"გაერთიანებული დემოკრატების" შეუპოვრობა მათ ოპონენტებსაც კი აოცებთ

ბიორგი ასანიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობისთვის ნამდვილად დიდი პატივია ბურჯანაძესთან შედარება, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს: "საპროცედურო ომად" მონათლული ოთხდღიანი დაპირისპირებიდან პრეზიდენტ შევარდნაძის მხარდამჭერებს, როგორც ირკვევა, არანაირი დასკვნები არ გამოუტანიათ, - მათ არც არაფერი უსწავლიათ და არც არაფერი დავიწყებიათ. პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე (იგი დღეს იწყებს მუშაობას) "თემატური უმრავლესობა" ოპოზიციასთან რაიმე სერიოზულ კომპრომისზე წასვლას არ აპირებს და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, 115-ლარიანი მინიმალური ხელფასისთვის მის მიერ გამოტანილი "სასიკვდილო განაჩენი" სისრულეში მოიყვანოს. სახელისუფლებო ფრაქციების ასეთი სიჯიუტე რომ თავად პრეზიდენტისგან მომდინარეობს, ედუარდ შევარდნაძის ორშაბათის ტრადიციულმა რადიოინტერვიუმაც დაადასტურა. ამიტომ, ისიც ლოგიკურია, რომ გუშინ გამართულ ბრიფინგზე ოპოზიციური ბანაკის ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჟვანიამ პრეზიდენტის გამონათქვამებს საკმაოდ მკაცრი შეფასებები მისცა.

"ჩვენი შეურიგებელი ოპონენტი პრეზიდენტი შევარდნაძეა. იგი არანაირ დათმობებზე არ მიდის. სწორედ მან აიტაცა მინიმალური ხელფასის გაზრდის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა. პარლამენტში დაძაბულობის შემდგომი ესკალაცია შევარდნაძის ინტერესებში შედის. მისი ნაბიჯები არის გეგმაზომიერი, მიზანმიმართული სვლა კონფრონტაციისკენ. ძალიან მიჭირს პრაგმატულ ჩარჩოებში იმის აღქმა, თუ რატომ დგამს შევარდნაძე ასეთ ნაბიჯებს. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ქვეყნისთვის სახიფათოა პრეზიდენტი, რომელსაც ოპოზიციასთან დიალოგი არ სურს. უბედურებაა, რომ პრეზიდენტი, რომელიც ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის გარანტი უნდა იყოს, გამოდის, როგორც "თემატური უმრავლესობის ერთ-ერთი აქტივისტი," - აღნიშნავს ზურაბ ჟვანია, რომლის მხრიდანაც შევარდნაძის მიმართ ასეთი მძაფრი კრიტიკა, შეიძლება ითქვას, რომ აქამდე არც თუ ისე ხშირად გაჟღერებულა.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე მოუწოდებს ხელისუფლების უმაღლეს პირსა და მის მხარდამჭერებს, გაუთავებელი ძალმომრეობის ნაცვლად, ოპოზიციასთან თანამშრომლობაზე იფიქრონ. იმ შემთხვევაში, თუ მმართველი გუნდი ისევ ძველი მეთოდებით "იმუშავებს", ჟვანიას განცხადებით, ხელისუფლება თავად აგებს პასუხს შედეგებზე, რომელიც მის მიერ არჩეულ გზას მოჰყვება.

"გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერს მიაჩნია, რომ შევარდნაძეს ჰქონდა კარგი შანსი, მოეხსნა საკანონმდებლო ორგანოში შექმნილი დაძაბულობა და ოპოზიციურ ძალებთან გარკვეული თანამშრომლობა დაეწყო. ჟვანიას აზრით, ეს მაშინ მოხდებოდა, თუ პრეზიდენტი პარლამენტის მიერ 28 თებერვალს მიღებულ კანონს თავის შენიშვნებს დაურთავდა და საკანონმდებლო ორგანოს მინიმალური ხელფასის ზრდის გრაფიკს შესთავაზებდა. **"ამის ნაცვლად, შევარდნაძე ახდენს იმის პროვოცირებას, რომ გაგრძელდეს ის დაპირისპირება და კრიზისი, რომელიც პირადად მისმა ხისტმა პოზიციამ შექმნა,"** - "ღრმა მწუხარებით იუწყება" პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე.

ზურაბ ჟვანიასთვის ბევრს არაფერს ნიშნავს ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე საკანონმდებლო ორგანოს მინიმალური ხელფასის ზრდის საკუთარ ვარიანტს სთავაზობს. **"იგი ხელფასის არანაირ რეალურ ზრდას არ ითვალისწინებს, ლაპარაკია, ძირითადად, იმაზე, რომ 1 ივლისიდან მინიმალური ხელფასი 35 ლარი უნდა გახდეს, რაც, ფაქტობრივად, არაფერს ნიშნავს და მხოლოდ ქაღალდებით თამაშია,"** - აღნიშნავს ჟვანია. მითუმეტეს, ეს კანონპროექტი თავად პრეზიდენტის განკარგულებით მოწვეული რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანილიც კი არის. აღნიშნული ვარიანტის შესახებ მსჯელობის დაწყება მხოლოდ მას შემდეგ არის ნავარაუდევი, როდესაც სახელისუფლებო ფრაქციები შევარდნაძის წინაშე აღებულ "სოცვალდებულებას" შეასრულებენ და ოპოზიციის უდიდესი ძალისხმევით შრომის კოდექსში შესულ ცვლილებებს გააუქმებენ.

ზურაბ ჟვანია

გუშინდელ ბრიფინგზე პარლამენტის ექს-სპიკერმა საკმაოდ დადებით კონტექსტში მოიხსენია მისი პოლიტიკური "სამართალმემკვიდრე" და განაცხადა, რომ გასულ კვირას ნინო ბურჯანაძემ, ყოველგვარი დახმარების გარეშე, ძალიან ღირსეულად მოიგერია მისკენ (ბურჯანაძისკენ) მიმართული შეტევები. **"მისი რეიტინგი არ განისაზღვრება რამდენიმე ათეული დეპუტატით, რომლებიც პარლამენტის სხდომათა დარბაზში სპიკერს მხარს უჭერენ, ან მის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ქალბატონმა ნინომ მოიპოვა ამაზე უფრო მთავარი - ადამიანების ნდობა პარლამენტის შენობის კედლებს მიღმა,"** - დასძენს ზურაბ ჟვანია.

რიგგარეშე სხდომის შესახებ საუბრისას კი, "გაერთიანებული დემოკრატების" ხელმძღვანელი აცხადებს, რომ მისი მიმდინარეობისას, ოპოზიცია შეეცდება, ბოლომდე დაიცვას "ყველა პროცედურის დაცვით მიღებული კანონი".

"გაერთიანებული დემოკრატების" ბრძოლისუნარიანობით მათი ოპონენტებიც კი გაოცებულები არიან. **"ბოლოს და ბოლოს, კენჭისყრამდე ხომ უნდა მივიდეთ, არ დაიღალეთ, კაცო?"** - იკითხა ვიტალი ხაზარაძემ თავდაპირველად ბიუროს სხდომად ჩაფიქრებულ თავყრილობაზე, რომელმაც, კვორუმის "ტრადიციული" არარსებობის გამო, თავშესაქცევი ღონისძიების სახე მიიღო.

ახალი სახე მოძველებულ მოქკავშირში

ახალი აღმასრულებელი მდივანი

მოქალაქეთა კავშირს ახალი აღმასრულებელი მდივანი ჰყავს. გუშინ საღამოს გამართულ სხდომაზე პარტიის მთავარი საბჭოს წევრებმა ამ პოსტზე სახელმწიფო მინისტრის აპარატის უფროსი, ავლიპ ზურაბაშვილის შვილიშვილი, გიორგი ზურაბაშვილი დაამტკიცეს. მან ამ თანამდებობაზე ლევან მამალაძის გუნდის წევრი, ფრაქცია "თანადგომის" თავმჯდომარის მოადგილე გელა კვარაცხელია შეცვალა.

თამარ მჭედლიშვილი

პარტიის მთავარი საბჭოს სხდომა გუშინ სრულიად მოულოდნელად დაინიშნა. იგი საღამოს ცხრა საათზე დაიწყო და, დაახლოებით, საათნახევარს გასტანა. წინა თავყრილობებისაგან განსხვავებით, გუშინდელი საიდუმლო სერობა დამსწრეთა სიხალვათით გამოირჩეოდა. სხდომას ესწრებოდნენ: პარტიის თავმჯდომარე ავთანდილ ჯორბენაძე (სწორედ მან წარუდგინა გიორგი ზურაბაშვილი პარტიულ ელიტას), ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავკაცი ვიტალი ხაზარაძე, ფრაქცია "ალიანსის" ლიდერი ირაკლი გოგავა, ჯანდაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე, სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული მართვის სამსახურის უფროსი ირაკლი ბოჭორიძე, პარტიის თბილისის ორგანიზაციის მდივანი, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ზეზვა ღულუნიშვილი.

ჩვენი ინფორმაციით, შეხვედრა საკმაოდ მშვიდად წარიმართა. არ იგრძნობოდა ის დაპირისპირება, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, ლევან მამალაძისა და ავთანდილ ჯორბენაძის გუნდებს შორის არსებობს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მთავარ საბჭოს არ ესწრებოდა თავად გელა კვარაცხელია, რომელმაც პარტიის აღმასრულებელი მდივნის პოსტი, ჯორბენაძესთან ურთიერთობების დაძაბვის გამო, დატოვა. თუმცა, როგორც ლევან მამალაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, გელა კვარაცხელიას **"პარლამენტში საკითხების მოგვარება"** ანუ დღევანდელი სხდომისთვის სამზადისი ჰქონდა დავალებული და მთავარ საბჭოს ამიტომაც ვერ დაესწრო.

რაც შეეხება პარტიის ახალ სახეს. როგორც ვიტალი ხაზარაძე აცხადებს, გიორგი ზურაბაშვილი **"ღირსეული ოჯახის შვილია, თვითონაც საოცრად განათლებული პიროვნებაა და მას ლევან მამალაძის გუნდმაც დაუჭირა მხარი. არავითარი პრობლემა ამ მხრივ არ ყოფილა. იგი ერთხმად, ერთსულოვნად ავირჩიეთ".**

იგივეს იმეორებს თავად ლევან მამალაძე. **"მე ვფიქრობ, რომ იგი თავს გამოიჩენს. როდესაც ამ პოსტზე შესაძლო კანდიდატურები იხილებოდა, მე მისი ერთ-ერთი მხარდამჭერი ვიყავი. გიორგი საკმაოდ საინტერესო გამოცდილების კაცია. იგი დახვეწილი, ადამიანებთან ურთიერთობის მცოდნე ადამიანია, პარტიის თავმჯდომარის ნდობით სარგებლობს და დარწმუნებული ვარ, რომ მას ეს წაადგება",** - ამბობს პრეზიდენტის რწმუნებული.

თავად გიორგი ზურაბაშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ მას ამ პოსტზე რეკომენდაცია ავთანდილ ჯორბენაძემ და პარტიის საპატიო თავმჯდომარემ, ანუ საქართველოს პრეზიდენტმა გაუწიეს. **"პარტიაში ახალი მიდგომების დამკვიდრება ჩემი აქ მოსვლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. მე აუცილებლად მოვალ ჩემი გუნდით, რათა განვახლოთ საქართველოს მოქალაქეთა კავშირი. იქნება ახალი სახეები, ახალი მიდგომები, ახალი იდეები, ახალი აზროვნება,** - განუცხადა "24 საათს" პარტიის ახალმა სახემ.

რაც შეეხება სხდომაზე განხილულ სხვა საკითხებს, როგორც ლევან მამალაძე აცხადებს, საუბარი წარიმართა მომავალ საპარლამენტო არჩევნებსა და **"იმ მზარდ საარჩევნო ბლოკზე, რომელიც იქმნება და რომელშიც ის ადამიანები შევლენ, რომლებიც სახელმწიფოსთვის, სამშობლოსთვის ზრუნავენ".**

თემატური უმრავლესობა გადამწყვეტი ბრძოლის წინ

პირველი გვერდიდან

მაშ ასე: ვახტანგ რჩეულიშვილი რიგგარეშე სხდომაზე ჟვანიას გუნდისა და პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხს დასვამს. ვახტანგ რჩეულიშვილი ე.წ. ოსაძის კომისიისაგან მათი საქმიანობის შესწავლას მოითხოვს. მეტიც: იგი აპირებს, ოფიციალურად მიმართოს საერთაშორისო ორგანიზაციებს და შეატყობინოს მათ ამ "ავანტურისტების" "მზაკვრობების" შესახებ. ამასთან, სოციალისტების ლიდერი დაჟინებით ითხოვს ჟვანიას გამოყვანას ევროსაბჭოს დელეგაციის შემადგენლობიდან.

რჩეულიშვილის პირველი არგუმენტი:

"საქართველო საპარლამენტო კრიზისის საფრთხის წინაშეა, რამაც შესაძლოა, ფართომასშტაბური სახელისუფლებო პოლიტიკური კრიზისი და საზოგადოებრივი დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. საქართველოს პარლამენტმა სრულად დაკარგა ქმედითუნარიანობა, ვეღარ ასრულებს თავის ვერც ერთ კონსტიტუციურ ფუნქციას: არ განიხილება პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ შემოტანილი საკითხების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, არ მიმდინარეობს კონტროლი მიღებული კანონებისა და გადაწყვეტილებების შესრულებაზე, საპარლამენტო დელეგაციები ემსახურებიან ვიწროჯგუფურ და ვიწროპარტიულ ინტერესებს. კერძოდ, იმ პოლიტიკური ჯგუფისა, რომელმაც დანერგა საქართველოში პოლიტიკური კორუფციისა და არჩევნების გაყალბების სისტემა და დღეს ცნობილია, როგორც "ჟვანიას გუნდი".

ვახტანგ რჩეულიშვილის მეორე არგუმენტი, რომელიც "ცხადყოფს", რომ ნინო ბურჯანაძე და გიგი წერეთელი ზურაბ ჟვანიას "აგენტები" არიან:

"სწორედ ამ გუნდის (იგულისხმეთ ჟვანიას გუნდი – თ. მ.**) ინტერესებში პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და მისი ერთ-ერთი მოადგილე გიგი წერეთელი სისტემატურად არღვევენ პარლამენტის რეგლამენტს, არ აძლევენ სხვა დეპუტატებს კონსტიტუციურად მინიჭებული უფლებების რეალიზაციას მაშინაც კი, როდესაც ეს დეპუტატები უმრავლესობაში არიან. პარლამენტის თავმჯდომარემ, დეპუტატთა უმრავლესობის ხელმოწერილი და მრავალჯერ გამოთქმული მოთხოვნის მიუხედავად, არ დასვა ოთხი დღის მანძილზე კენჭისყრაზე საკითხი უხეში პროცედურული დარღვევებით მიღებული კანონპროექტის ხელახალი კენჭისყრისა (**სტილი დაცულია – თ. მ.**) და შემდეგ, უცხოეთში გამგზავრებისას, სხდომის წაყვანა დაავალა იმავე ვიცე-სპიკერს, რომელსაც პარლამენტის წევრთა უმრავლესობა ამ პროცედურულ დარღვევებში ადანაშაულებდა. "კანონი მე ვარ", – ამ შუა საუკუნეების დროინდელი პრინციპებით მოქმედებს პარლამენტის დღევანდელი თავმჯდომარე და უხეშად არღვევს საპარლამენტო დემოკრატიის მთავარ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, პარლამენტი გადაწყვეტილებებს იღებს მის წევრთა უმრავლესობისა და არა ოპოზიციური უმცირესობის მოთხოვნით".**

ვახტანგ რჩეულიშვილი

რჩეულიშვილის მესამე არგუმენტი:

"პარლამენტი არ და ვერ განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. იგი არა მარტო არ ამყარებს, არამედ პირიქით, აზიანებს ურთიერთობებს ძირითად სტრატეგიულ მოკავშირეებთან – აშშ-სთან და რუსეთთან. საპარლამენტო ინტრიგების გამო არ იქნა რატიფიცირებული ხელშეკრულება საქართველოსა და აშშ-ს მთავრობებს შორის სამხედრო თანამშრომლობის ზოგიერთ საკითხზე, ჩაშლილია რუსეთ-საქართველოს საპარლამენტთაშორისო კომისიის მუშაობა, არ განიხილება ცვლილებები საგადასახადო და საარჩევნო კოდექსებში. ასეთ კრიზისულ ვითარებაში თავად პარლამენტის თავმჯდომარე ბიუროსთან შეუთანხმებლად გაემგზავრა ლიტვაში და ეს მაშინ, როდესაც არა ვილნიუსში, არამედ თბილისში, ვაშინგტონსა და მოსკოვში წყდება დღეს საქართველოს ბედი".

წესით, საქართველოში პოლიტიკური კორუფციისა და არჩევნების გაყალბების პრაქტიკის დანერგვაზე პრეტენზია ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას უნდა ჰქონდეს. არჩევნებს აყალბებდა ნებისმიერი პარტია, თუკი, რა თქმა უნდა, მას ამის შესაძლებლობა ჰქონდა. საერთოდ, არჩევნების გაყალბება არა მხოლოდ კენჭისყრის შედეგების ფალსიფიცირებით შემოიფარგლება. გაყალბებაა, თუნდაც, ამომრჩევლის წინასწარ მოსყიდვა, რასაც იგივე სოციალისტური პარტია საკმაოდ წარმატებით აკეთებდა თუნდაც ავადსახსენებელ ლაგოდეხის არჩევნებზე. (კორექტულობის გამო ამ მოსყიდვის ფორმებზე არაფერს ვიტყვით). და მაინც - ვახტანგ რჩეულიშვილი სრულ პასუხისმგებლობას ნებისმიერი არჩევნების გაყალბებაზე ზურაბ ჟვანიას გუნდს აკისრებს.

ამ ლოგიკით, ალბათ, სწორედ ზურაბ ჟვანიას გუნდის "დამსახურება" უნდა იყოს ისიც, რომ 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თავად შევარდნაძის მიერ დანიშნული რაიონების გამგებლები სახელმწიფო კანცელარიის წინაშე საკუთარი სამფლობელოებიდან 120-პროცენტიანი შედეგებით იწონებდნენ თავს. მარტივად რომ ვთქვათ, რაიონებიდან იქ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე მეტი ბიულეტენი ჩამოდიოდა და ცდომილება 12-20 პროცენტს შეადგენდა. თუმცა დღეს ვახტანგ რჩეულიშვილი ამის თაობაზე დუმილს ამჯობინებს და კვლავ პარლამენტის პრობლემებზე საუბრობს.

რაც შეეხება რჩეულიშვილის მეორე არგუმენტს: იგი საპარლამენტო უმრავლესობის სისუსტეზე უფრო მეტყველებს, ვიდრე ნინო ბურჯანაძის "აგენტობაზე", რადგან ოთხი დღის განმავლობაში თემატურმა უმრავლესობამ ვერ მოიფიქრა ის მოტივაცია, რომლის გათვალისწინებითაც ეს საკითხი კენჭისყრაზე უნდა დამდგარიყო. თემატურმა უმრავლესობამ ეს ძალიან გვიან, გასულ პარასკევს, საღამოს ათის ნახევარზე გააცნობიერა და სწორედ მაშინ შეუდგა დადგენილების პროექტის მომზადებას.

და ბოლოს: ის, რომ პარლამენტის უმრავლესობამ ვერ შეძლო სასურველი მიზნის მიღწევა, ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი წევრების "დამსახურებაა". გასულმა კვირამ ნათლად აჩვენა ამ უმრავლესობის სიმყიფე და სააშკარაოზე გამოიტანა ის დაპირისპირება, რაც თავად მის რიგებში შეიმჩნევა.

დღემდე სახელისუფლებო ფრაქციების კოორდინაციას საკუთარ თავზე ვიტალი ხაზარაძე იღებდა. მისი (როგორც კოორდინატორის) "სიძლიერე" სწორედ გასულ კვირას გამოჩნდა. დღეიდან, როგორც ჩანს, ამ ფუნქციას სწორედ ვახტანგ რჩეულიშვილი იტვირთებს, რომელიც უნებურად აღიარებს: **"იმის მიუხედავად, რომ ვიტალი ხაზარაძე ძალიან აქტიური ადამიანია, იგი მედიის მიერ გაშარჟებულია და ამას მისი გარეგნობაც უწყობს ხელს".**

ვიზიტის პირველი დღე

პირველი გვერდიდან

როგორც ქართული დელეგაციის წარმომადგენლები აცხადებენ, ნინო ბურჯანაძისა და ლიტვის პარლამენტის სპიკერის საუბარი თითქმის ყველა აქტუალური პრობლემის ირგვლივ წარიმართა.

ქართული მხარისთვის ამ ვიზიტის მთავარი მიზანი იმ გამოცდილების შესწავლაა, რომელმაც ლიტვა ნატო-სა და ევროკავშირამდე მიიყვანა. საუბარია საკანონმდებლო ჰარმონიზაციაზე, იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო რეფორმებზე, რომლებიც ლიტვაში საკმაოდ წარმატებით ხორციელდება. ლიტველი პოლიტიკოსები ქართულ კოლეგებს იმ გამოცდილების გაზიარებასაც სთავაზობენ, რომელსაც რეგიონული თანამშრომლობის სფეროში მიაღწიეს, რადგან, ლიტველების თქმით, ეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა და ნატო-სა და ევროკავშირში ლიტვის წარმატებით ინტეგრაციის ერთ-ერთი გარანტი გახდა.

დღეს ნინო ბურჯანაძე ლიტვის პრეზიდენტს, საგარეო და თავდაცვის მინისტრებსაც შეხვდება.

"24 საათი"

"ბატონო პრეზიდენტო, გუბერნატორების დელეგაციას ჯანდაბაში თქვენ უნდა გაუძღვეთ!"

ვერიკო თევზაძე

"ოთხშაბათის მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა ჯანდაბაში გაგზავნა თავისი გუბერნატორები. ეროვნულ ძალთა გაერთიანება მიესალმება ამგვარ ინიციატივას და შევარდნაძეს ურჩევს, რომ ამ საპატიო დელეგაციას თავად ჩაუდგეს სათავეში", - ამაში ხედავს გამოსავალს ეროვნულ ძალთა გაერთიანების ხელმძღვანელი ზვიად ძიძიგური.

გუშინ ზვიად ძიძიგურმა და კობა დავითაშვილმა კომენტარები გაუკეთეს პრეზიდენტის რადიოინტერვიუს. დავითაშვილი პრეზიდენტს პლაგიატობაში ადანაშაულებს. **"როგორც ჩანს, იგი საფუძვლიანად ეცნობა ჩვენს ინტერვიუებს და შემდეგ იქიდან ციტატებს იყენებს. საქართველოს მთავრობის პოლიტიკა თავის დროზე ამგვარად შევაფასე - შოკი თერაპიის გარეშე. პრეზიდენტმა მოურიდებლად ისესხა ეს ტერმინი. ბატონ შევარდნაძეს ვურჩევ, კვლავაც ყურადღებით გაეცნოს ჩემს ინტერვიუებს, საიდანაც საგულისხმო მომენტებს გამოიყენებს".**

ზვიად ძიძიგური იმით არის შეშფოთებული, რომ პრეზიდენტს მეხსიერება დაუქვეითდა. **" ბატონ პრეზიდენტს არათუ წინა რადიოინტერვიუები, სამი წუთის წინ ნათქვამი არ ახსოვს. ამის გამო ხშირად წინააღმდეგობაში ვარდება. ხელფასების გაზრდის იდეას შევარდნაძემ პოპულიზმი უწოდა და ბრძანა - არჩევნების წინ ამგვარი ინიციატივა პოლიტიკური პარტიებისგან სავსებით გასაგებიაო. ცოტა ხნის შემდეგ კი დასძინა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წინ მისი იდეა იყო მინიმალური ხელფასის გაზრდა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ბატონი პრეზიდენტი მეხსიერების დაქვეითებას უჩივის. მეორეც, არჩევნების წინ მასაც ეხერხება ელექტორატის მოხიბვლა პოპულისტური იდეებით."**

დავითაშვილი და ძიძიგური აბსურდულს უწოდებენ პრეზიდენტის განცხადებას – როგორ უნდა გაიზარდოს ხელფასები, როცა სახელფასო და საპენსიო დავალიანებები არ არის დაფარული?! **"არჩევნების წინ შევარდნაძე ძალიან შეწუხებულია დავალიანებებით და პენსიონრების წინაშე თავს დავალებულად გრძნობს. მერედა, ვინ დაუშალა ამ დავალიანებების დაფარვა? რამდენჯერმე ვთხოვეთ ჯორბენაძეს, რომ 2003 წლის ბიუჯეტში საპენსიო დავალიანებების ნაწილი მაინც ჩადებულიყო. ბატონმა ავთომ ყურადღებით მოგვისმინა და ერთი ყურიდან მეორეში გაუშვა... ახლა პრეზიდენტი დავალიანებების არსებობით იმართლებს თავს. ამაზეა ნათქვამი: ნამუსიც კაი საქონელია!"** - ემოციები ვერ დაფარეს რადიოინტერვიუს "კომენტატორებმა".

დასასრულ კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური თითო რჩევას აძლევენ პრეზიდენტს.

ზვიად ძიძიგური: **"ოთხშაბათის მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტმა თავისი გუბერნატორები ჯანდაბაში გაგზავნა. ეროვნულ ძალთა გაერთიანება მიესალმება ამგვარ ინიციატივას და პრეზიდენტს ურჩევს, რომ ამ საპატიო დელეგაციას თავად ჩაუდგეს სათავეში".**

კობა დავითაშვილის რჩევა მინიმალური ხელფასის გაზრდის თემას უკავშირდება. **"ბატონმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საარსებო მინიმუმამდე ხელფასების გაზრდით სერიოზულად დაზარალდება საშუალო, მცირე და ოჯახური ბიზნესი. იქვე შეკითხვა დასვა ოპოზიციური პარტიების გასაგონად: რას უნდა მოვაკლოთ ეს ფული, ხელფასებს რომ დავუმატოთ? ჩვენი პასუხი ასეთია: თქვენს ოჯახურ ბიზნესს, ბატონო პრეზიდენტო, ჯოხთაბერიძის და თქვენი ქალიშვილის, თქვენი ძმისშვილის - ნუგზარ შევარდნაძის, თქვენი მძახლების - ახვლედიანების შემოსავლებს უნდა მოაკლოთ. მათ "ლევი" ფული ბიუჯეტში შეიტანონ და ხელფასებსაც გაზრდით."**

დავითაშვილი და ძიძიგური პრეზიდენტის რადიოინტერვიუზე კომენტარებს ყოველ ორშაბათს გააკეთებენ, მას "რადიოტყუილები" ერქმევა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამაბეჭდები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

რა უნდა ამერიკას ერაყში

REUTERS

ამერიკული თვითმფრინავები სრულ მზადყოფნაშია.

პირველი გვერდიდან

ნავთობის თემას, ეკონომიკურის გარდა, საინტერესო პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. ნავთობის სერიოზულ საბადოებზე ამერიკელთა კონტროლი მოსპობს საერთაშორისო ურთიერთობებში ნავთობით სპეკულაციის სამარცხვინო პრაქტიკას და სერიოზულ ბერკეტებს შექმნის ასეთი პრაქტიკის გამტარებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ. მაგალითისთვის რუსეთიც კმარა, რომლის ეკონომიკა სერიოზულად არის დამოკიდებული ნავთობის ექსპორტზე. მისი არაადეკვატური ქმედებების შემთხვევაში ჩნდება ზემოქმედების კიდევ ერთი ქმედითი მექანიზმი.

საყურადღებოა, რომ ნავთობს უდავოდ დიდი როლის შესრულება შეუძლია ომის შემდგომი ერაყის სწრაფი რეაბილიტაციის საქმეშიც. ბალკანეთისა და ავღანეთის მაგალითებმა გვიჩვენა, რომ მსოფლიო საზოგადოების სარეაბილიტაციო ფინანსური დაპირებები მხოლოდ ნაწილობრივ სრულდება და ქვეყანამ თავად უნდა მოიძიოს რესურსები აღმშენებლობისა და განვითარებისთვის. ერაყული სანავთობე ინდუსტრიის აღდგენას შეუძლია მრავალი სამუშაო ადგილის შექმნა და თუ ნავთობის რეალიზაციით შემოსული თანხების სწორი გამოყენება მოხდა, შესაძლებელი იქნება არა მარტო ეკონომიკური სიდუხჭირის დაძლევა, არამედ განვითარების სწრაფი ტემპის მიღწევაც.

რეჟიმის ცვლა

მიუხედავად ანტისაომარი განწყობილებებისა, მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება სახელმწიფო ლიდერი, რომელიც სადამ ჰუსეინის უცოდველობაშია დარწმუნებული. ასეთი განწყობა სერიოზულ მიზეზებს ეფუძნება. "ცივი" ომის შემდგომ პერიოდში ერაყი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც სხვა სახელმწიფოს დაპყრობა და ანექსია მოახდინა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სადამ ჰუსეინის რეჟიმი ერთადერთია, რომელმაც გამოიყენა მასობრივი განადგურების იარაღი (ირან-ერაყის ომი). ასევე კარგად არის ცნობილი ერაყის ქურთული მოსახლეობის წინააღმდეგ გამოყენებული ბარბაროსული მეთოდები. აღარაფერს ვამბობ ერაყის ხელმძღვანელობის მიერ საერთაშორისო ინსტიტუტებისა და მისი გადაწყვეტილებების რეგულარულ იგნორირებასა და აბუჩად აგდებაზე.

ასეთი "მდიდარი" ბიოგრაფია სადამ ჰუსეინს ავტომატურად აქცევს მოსახერხებელ სამიზნედ. ამას გარდა, მთლიანად რეგიონს თუ გადავხედავთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ არაბული თუ ზოგადად ისლამური სამყაროს ლიდერები დემოკრატიულობითა და მმართველობის ჰუმანური ფორმებით არ გამოირჩევიან. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა შარშან პირველად გამოქვეყნებული არაბული ქვეყნების ჰუმანური განვითარების ანგარიში, რომელიც გამბედავ არაბ მეცნიერთა ჯგუფმა მოამზადა. ამ ანგარიშმა, რომელმაც არაბულ სახელმწიფოთა მოსახლეობის სავალალო მდგომარეობა წარმოაჩინა, ბევრი კითხვა წარმოშვა. მიუხედავად კოლოსალური შემოსავლებისა, მოსახლეობის განვითარების საერთო დონე ძალზე დაბალია. თითქმის ყველა ექსპერტი მივიდა იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ პრობლემა მმართველ ელიტაში და მათი მმართველობის ფორმებშია. იმ დროს, როცა მცირერიცხოვანი ელიტა ზღაპრულად მდიდრდება, მოსახლეობის ძირითადი ნაწილი საშინელ სიდუხჭირეში ცხოვრობს, არაფერს ვამბობთ ადამიანის უფლებებისა და, პირველ რიგში, ქალთა უფლებების საყოველთაო დარღვევებზე. ასეთ "ნოყიერ" ნიადაგზე უხვად ხარობს მრავალი სახის რადიკალური იდეოლოგია და ტერორისტული ორგანიზაციები. შესაბამისად, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილად გადაიქცა სიღარიბისა და მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა ანუ მმართველობის ფორმების შეცვლა.

ერაყის წინააღმდეგ კამპანიას ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ, საინტერესო სურათს მივიღებთ. ავღანეთისაგან განსხვავებით, სადაც დიდი ხანია, მთავრობა (კლასიკური გაგებით) აღარ არსებობდა, ერაყში არის ავტორიტარული, მაგრამ მაინც ორგანიზებული და სეკულარული რეჟიმი ანუ პოსტკონფლიქტური სიტუაცია ავღანეთსა და ერაყს შორის თვისებრივად სხვადასხვაგვარი იქნება. ამერიკის დღევანდელ ადმინისტრაციაში არსებობს მოსაზრება, რომ ერაყში რეჟიმის ცვლის გზით შესაძლებელია თუნდაც ერთ არაბულ სახელმწიფოში მეტნაკლებად დემოკრატიული მმართველობის შექმნა. ასეთი პრეცედენტი და ნავთობზე დაბალი ფასები სერიოზულად შეარყევს დანარჩენი არაბული და მუსლიმანური სახელმწიფოების მმართველთა პოზიციებს. შესაძლოა, ისინი იძულებულნი გახდნენ, შეცვალონ მმართველობის მეთოდები.

ანტიტერორიზმი

ერაყის გარშემო გაჩენილი დაპირისპირება სხვა ბევრ კითხვასთან ერთად წარმოშობს ეჭვს, რამდენად არის ანტიჰუსეინური კამპანია ანტიტერორისტული კამპანიის ნაწილი. მიუხედავად ამერიკის მრავალჯერადი მცდელობისა, ჯერჯერობით, არ არსებობს რაიმე სოლიდური სამხილი იმისა, რომ ჰუსეინი "ალ ქაიდასთან" მჭიდროდ თანამშრომლობდა. საერთოდ "ალ ქაიდას" თემა ხშირად ჩრდილავს ხოლმე ტერორიზმთან ბრძოლის სხვა სფეროებს. ამგვარად, ერთი ხელის მოსმით იმის გამოცხადება, რომ ჰუსეინი ტერორიზმს ხელს არ უწყობს, არასწორი იქნებოდა. ამერიკის მიერ მოპოვებული მცირედი სამხილების გარდა, კარგადაა ცნობილი, რომ პალესტინელი "ადამიანი-ბომბების" ოჯახები დიდ ფინანსურ დახმარებას იღებდნენ სადამ ჰუსეინისაგან,

აღსანიშნავია თვითონ ტერორიზმის საფრთხის განსხვავებული ხასიათი ანუ ის გარემოება, რომ ტერორისტულ აქტში მოულოდნელობის ფაქტორს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამდენად, ამ მოვლენასთან ბრძოლის დროს შეუძლებელია დაელოდო ტერორისტულ აქტს და მხოლოდ პოსტ ფაქტუმ დაიწყო მასზე რეაგირება. ასეთი რეალობა თავისთავად მოითხოვს გარკვეულ წინასწარ ქმედებებს, რომლებიც შეამცირებენ ტერორიზმის აღზევებისა და ტერაქტების განხორციელების შანსებს. დღეისათვის ტერორიზმის ყველაზე საშიშ ფორმად მიიჩნევა მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება. სადამ ჰუსეინის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის ქონა და მისი ზემოთ აღნიშნული ქმედებების ისტორია ავტომატურად ბადებს ეჭვს, რომ ეს იარაღი ერთ დღეს შეიძლება ტერორისტების ხელში აღმოჩნდეს. ტერორისტთა უპირველესი სამიზნე კი აშშ-ია.

ახალი მსოფლიო წესრიგისკენ?

სადამ ჰუსეინის გარშემო ატეხილი აურზაური მსოფლიო წესრიგის შეცვლის წინაპირობებს ქმნის. ნელ-ნელა იკვეთება ის როლები, რომლებსაც აშშ, ევროპა, რუსეთი, ჩინეთი და სხვა სახელმწიფოები შეასრულებენ ახალ ეპოქაში. იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, მნიშვნელობა და ეფექტურობა. ამის დასადასტურებლად საკმარისია ნატო-ში წარმოქმნილი უთანხმოების მაგალითიც.

დღეს ყველამ იცის, რომ ომი ცუდია, მაგრამ კითხვაზე - პრაქტიკულად როგორ ავარიდოთ მსოფლიოს ჰუსეინიზმი? მხოლოდ რამდენიმე არაპოპულარული პასუხი არსებობს. სანამ პაციფისტები სადამ ჰუსეინის არარსებულ კეთილ ნებას, ან მაგიური ჯოხის მქონე ზღაპრულ კეთილ ჯადოქარს ელოდებიან, პრაქტიკოსი ამერიკელები თავის არსენალში სხვა ჯოხებს ეძებენ, რომლებსაც, როგორც წესი, ჯადოსნურისაგან განსხვავებით, კომბლის ფორმა აქვთ.

დემოკრატიული არჩევნები – ნატო-ში გაწევრიანების უმთავრესი პირობა

ჩარლზ ფერბენქსი

საქართველო იქნება პირველი სახელმწიფო, რომელსაც ნატო-ში გაწევრიანების მოსამზადებელი პერიოდის გავლა "ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმით" მოუწევს. მართალია, საქართველოს ხელისუფლებას ბრიუსელიდან ჯერჯერობით არ მიუღია ეს გეგმა, სამაგიეროდ, თბილისში ხშირად ჩამოდიან ავტორიტეტული უცხოელი ექსპერტები, რომლებიც ოპტიმისტურად აფასებენ ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების შესაძლებლობებს. ამ პერსპექტივაზე ილაპარაკა 17 მარტს არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველო-ნატო-ში" გამართულ შეხვედრაზე ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტთან არსებული ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ჩარლზ ფერბენქსმა. ხოლო, აუცილებელ პირობებს შორის, ცნობილმა პოლიტოლოგმა, დემოკრატიული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება და ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლა დაასახელა.

მინდია დავითური

საქართველოს ხელისუფლების მიერ პრაღის ნატო-ს სამიტზე დეკლარირებული სურვილი, გახდეს ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის წევრი, სულ მალე სერიოზული გამოცდის წინაშე დადგება. რობერსტონ-მენაღარიშვილის 13 მარტის პოლიტიკური კონსულტაციების დროს აღინიშნა, რომ ნატო-ს შტაბ-ბინაში უკვე შემუშავებულია "ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა", ერთგვარი "პროგრამა მინიმუმი", რომლის ფარგლებში საქართველომ ამ სურვილის რეალიზება უნდა მოახდინოს. პარალელურად საქართველოს ხელისუფლებას შემუშავებული აქვს "ევროატლანტიკური ინტეგრაციის ეროვნული სახელმწიფო პროგრამა", რომელიც მოსამზადებელ პროცესში ყველა სამთავრობო სტრუქტურის პასუხისმგებლობას განსაზღვრავს. "პასუხისმგებლობა" კი სწორედ ის მთავარი დუღაბია, რომელიც ასე აკლია საქართველოს ხელისუფლების მოქმედებას და რომლის დეფიციტზეც საქართველოში ჩამოსული უკლებლივ ყველა საერთაშორისო ექსპერტი მიანიშნებს. ამერიკის ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტთან არსებული ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი პოლიტოლოგი ჩარლზ ფერბენქსი მიიჩნევს, რომ საქართველოს, როგორც თვითკმარ გეოპოლიტიკურ ერთეულს, აქვს შანსი, გახდეს ალიანსის წევრი და ერთგვარი ხიდის როლიც შეასრულოს, ამ თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიის დანარჩენი ორი რესპუბლიკისთვის.

თუმცა იმისთვის, რომ საქართველომ მიაღწიოს დასახულ მიზანს, პროფესორ ფერბენქსის თქმით საჭირო იქნება რამდენიმე მოთხოვნის შესრულება - აქტიური რეფორმების გატარება არმიაში, სამხედრო ძალების შემცირების ხარჯზე მისი ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, ტერიტორიული კონფლიქტების გადაჭრა, კორუფციული მმართველობითი აპარატის შემცირება და, რაც მთავარია, დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების გადაცემის პრეცედენტის შექმნა.

"ამერიკა ვალშია პრეზიდენტ შევარდნაძის წინაზე და მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს დღევანდელ მთავრობასთან. ქართველმა ხალხმა გადაწყვიტა, რომ შევარდნაძის მმართველობის დასრულების შემდეგ, ძალაუფლება სხვა ვინმეს გადაეცეს. მაგრამ, თუ ძალაუფლების გადაცემა ელცინ-პუტინის სქემით მოხდება და არა დემოკრატიული არჩევნების გზით, ეს ამერიკისთვის დიდი იმედგაცრუება იქნება და შეაფერხებს საქართველო-ამერიკის მჭიდრო თანამშრომლობას",- აცხადებს ფერენბექსი

17 მარტს ფერენბექსმა ქართველი ჟურნალისტების თქმით კომენტარი გაუკეთა ერაყის წინააღმდეგ საომარ სამზადისს და განაცხადა, რომ ომი ერაყში გარდაუვალია. თუმცა, სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობით, რასაც მოკავშირეები ეფექტიანად განახორციელებენ, ახლო აღმოსავლეთი გამოიცვლება - შეიქმნება ახალი ერაყი, სერიოზული ცვლილებები განხორციელდება ირანში და საქართველოც უფრო ნაკლებად იზოლირებული იქნება სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ვიდრე დღეს არის. ამერიკელი პოლიტოლოგი ასევე არ გამორიცხავს შესაძლებობას, რომ ამერიკას და მის მოკავშირეებს დასჭირდეთ საქართველოს საჰაერო სივრცისა და სამხედრო აეროდრომის გამოყენება, თუკი თურქეთის პარლამენტი საკითხს კვლავ უარყოფითად გადაწყვეტს.

წერილი ქართველ მეგობარს

პირველი გვერდიდან

რომელიღაც ქვეყნის პოლიტიკურ პოზიციას ვიზიარებთ. მე - აშშ-ს და ესპანეთის, შენ - გერმანიის და საფრანგეთის. ანუ, ჩვენ რომელიღაცა პოლიტიკური პოზიციის დამცველები და მოწინააღმდეგეები ვართ.

მე ვეთანხმები შენს მთავარ თეზას, რომ ეს ომი ნავთობის გამო იგეგმება და არ შეიძლება ყველაფერი ნავთობს გადავაყოლოთ. მაგრამ, მე იმედი მაქვს, რომ შენც დაეთანხმები ჩემს მოსაზრებას, რომ ომისადმი პოლიტიკურ წინააღმდეგობაში, რომელსაც გერმანია, საფრანგეთი და რუსეთი ახორციელებენ, ნავთობი, პოლიტიკა, ეკონომიკა ასევე გადამწყვეტ როლს ასრულებს.

თუკი შენ მეტყვი, რომ ომისადმი პოლიტიკურ წინააღმდეგობაში ნავთობი და ეკომონიკა/პოლიტიკა არაფერ შუაშია, და ომის მოწინააღმდეგე ქვეყნები - გერმანია, რუსეთი, საფრანგეთი - ამას კაცობრიობის და ჰუმანურობის ძირითადი ღირებულებების ერთგულების გამო აკეთებენ, შეგიძლია ჩემი წერილის კითხვა აღარ გააგრძელო, რადგანაც მე საკმაო ხანი ვიცხოვრე საბჭოთა კავშირში და კარგად მახსოვს, რა იდგა იმ დისკურსის მიღმა, რომელიც ჰუმანურობის მედროშე, საზოგადოებაზე (კომუნაზე) ორიენტირებულ სახელმწიფოს და კაპიტალისტურ ქვეყნებს უპირისპირებდა ერთმანეთს.

მაგრამ, თუკი შენ დამეთანხმები, რომ ჩვენი პოზიციების პოლიტიკური დედააზრი ერთ სიბრტყეში განვიხილოთ, მაშინ უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმ საფუძველზე, რომელიც შენ ერაყში ომის მოწინააღმდეგედ, მე კი მომხრედ მაქცევს: მე ვიზიარებ აზრს, რომ ომს არა აქვს გამართლება. მაგრამ ჩემთვის მკვლელობებიც ისევე გაუმართლებელია, როგორც ომი. მე არ მჭირდება რომელიმე ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის, ან საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტების დასტური იმისათვის, რომ ვაღიარო ან არ ვაღიარო კაცის კვლის არსებობა. მე არ მჭირდება საექსპერტო დასკვნა იმისათვის, რომ დემონსტრაციებში, ქვეყნის ერთპიროვნული მმართველების სურათები რუდუნებით რომ დააქვთ, ამოვიცნო შიში და სასოწარკვეთილება, რომელიც ამ ქვეყნების ყოველ მოქალაქეში არსებობს და რომელიც საბოლოოდ ფანატიზმს, სიძულვილს და თაყვანისცემას წარმოშობს. და ასევე, მე არ მჭირდება ვიდეოფირი იმისათვის, რომ ამ შიშის და სასოწარკვეთილების უკან დავინახო ის ტერორი და რეპრესიები, რომლებსაც დიქტატორები მიმართავენ იმისათვის, რომ თაყვანისცემის, ფანატიზმის და სასოწარკვეთილების კვლავწარმოება დანერგონ.

ეს ყველაფერი, რაც წინა აბზაცში აღვწერე, ერაყში ხდება. ის, რომ იქ დეკლარირებული ომი არ მიმდინარეობს, არ ნიშნავს, რომ იქ არ ხდება ის, რაც მიმართულია სწორედ იმ იდეალების წინააღმდეგ, რომლებსაც შენ იცავ. ერაყში დიდი ხანია მიდის ომი ხალხის და კაცობრიობის წინააღმდეგ, და თუ აშშ ნამდვილად დამნაშავეა, მხოლოდ იმაში, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ სრუტეს ომი ბოლომდე არ მიიყვანა. მე ომის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ მინდა რომ ყველა ომი დამთავრდეს, თუკი ეს შესაძლებელია. როგორი ნავთობიც არ უნდა იყოს ერაყში ომის დაწყების მიზეზი, ეს ომი იქნება იმ ომის დასასრულის დასაწყისი, რომლესაც ჰუსეინის რეჯიმი საკუთარი ხალხის წინაამდეგ ახორციელებს.

მე შენ არ გდებ ბრალს, რომ შენი პოზიცია კაცობრიობის წინააღმდეგაა მიმართული და ასევე, არ ვამბობ, რომ ერაყში ომის მოწინააღმდეგე ქვეყნები დანაშაულის თანამონაწილენი ხდებიან. პოლიტიკაში, როგორც უკვე შევთანხმდით, მხოლოდ ნავთობი და ეკონომიკაა. ღირებულებები და იდეალები პოლიტიკოსებშია და არა პოლიტიკაში. ღირებულებები და პრინციპები ჩვენშია, და არა იმ სახლების არქიტექტურაში, რომელსაც საცხოვრებლად ვირჩევთ. ჩვენ ვემხრობით არა პოლიტიკურ სისტემებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, არამედ იმ ღირებულებებს, რომლის დაცვა/დარღვევასაც, შეიძლება სრულიად უსაფუძვლოდ, მივაწერთ ხოლმე პოლიტიკურ პროცესებს.

იმისდა მიხედვით თუ რომელ მხარეზე დავდგებით, ისეთი იქნება ჩვენი მომავალიც. შენ გგონია, რომ ჰუმანიზმისადმი და ადამიანის უფლებებისადმი ერთგულება ერაყში დაგეგმილი ომისადმი განეული წინააღმდეგობაა. მე მინდა გითხრა, რომ შენ შენი წინააღმდეგობით ერაყში გამეფებული შიშის და სასოწარკვეთილების მარადიულად ქცევას უწყობ ხელს.

მე არ მინდა, შენს ნათქვამში - "მე მხარს ვუჭერ ერაყელ ხალხს" - ცინიზმი ამოვიკითხო. მე არ მინდა ჩრდილო-ევროპულ წინააღმდეგობაში დავინახო იმ ნატვრის ანარეკლი, რომლის მიხედვითაც აშშ მეორე მსოფლიო ომში არ უნდა ჩარეულიყო. მე არ მინდა პაციფისტური დემონსტრაციები ევროპოცენტრულ/პოსტმოდერნისტულ კონფორმიზმად შევაფასო. მე შენში საკუთარ თავს ვხედავ, რომელსაც უნდა რომ ყველა ომი დამთავრდეს.

შენ ნიშნის მოგებით მკითხავ, თუ რატომ არ იწყებს აშშ სხვა ტოტალიტარულ რეჟიმებთან ომს. მე გიპასუხებ, რომ არ იწყებს, იმიტომ, რომ იქ ნავთობი არ არის. მე ვინატრებდი, რომ ყველა ტოტალიტარული რეჟიმის ქვეყანაში მსოფლიო ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი ნედლეული იყოს. მე შემიძლია მხოლოდ მივესალმო იმ ვითარებას, რომელიც ერთმანეთს ამთხვევს ნავთობის გაიაფებაზე და ტოტალიტარული რეჟიმების მსხვრევაზე მიმართულ პროცესებს.

რუსი მწერლები აფხაზეთში

"ჩემი წასვლა რატომ უნდა იყოს ვინმესთან შესათანხმებელი, როცა აფხაზეთთან სავიზო რეჟიმი არ გვაქვს?!"

სოხუმიდან დაბრუნდა რუსი მწერლების ერთი ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო გიორგი გულიას დაბადების 90 წლისთავის იუბილეს საზეიმო ცერემონიალში. ამ ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ მოსკოვის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი რიმა კაზაკოვა, მწერლები იური ჩერნიჩენკო და გიორგი რადოვი.
"24 საათმა" აფხაზეთში მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარება სთხოვა მოსკოვის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს რიმა კაზაკოვას.

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

- პირველი შთაბეჭდილება იყო ის, რომ სოხუმი დღეს სტალინგრადს ჰგავს. და მაინც, ბლოკადაგამოვლილ სასოწარკვეთილ ხალხს კიდევ შერჩა რაღაცის იმედი. აფხაზები, ძირითადად, არაყს ხდიან და თურქეთში ხეტყეს ჰყიდიან - სხვა გზა მათ არ დაუტოვეს. იციან, რომ საქართველოშიც უჭირთ და მათი თავი იქ არ აქვთ.

- რუსი მწერლების სოხუმში გამგზავრება თბილისთან შეთანხმებული არ იყო. სხვათაშორის, ამ ფაქტმა თქვენი ქართველი კოლეგებიც გააკიცხა.

- რა სისულელეა! აფხაზეთში ჩემი წასვლა რატომ უნდა იყოს ვინმესთან შესათანხმებელი, როცა აფხაზეთთან სავიზო რეჟიმი არ გვაქვს, როცა აფხაზეთთან ჩემი საკუთარი შვილი მაკავშირებს. ვის რა უნდა ჰქონდეს საპროტესტო? ჩვენ იქ წავედით, როგორც მწერლები და არა - როგორც დეპუტატები ან პოლიტიკოსები. ქართველი მწერლების განაწყენებას დღეს სხვა რამ უნდა იწვევდეს, მაგალითად ის, რომ სოხუმში დიმიტრი გულიას თავმოგლეჯილი ძეგლი დგას.

- თქვენი აფხაზი მეგობრები - მწერლები რას ამბობენ ქართველებთან ურთიერთობების აღდგენაზე?

- ბაგრატ შინკუბა ძალზე ცუდადაა, ახლობლებს ველარ ცნობს; ბევრი ჩვენი კოლეგა ამ ქვეყნიდან წასულია, ბევრმა შიმშილს და დამცირებას ვერ გაუძლო. დარჩენილები კი გამოსავალს ყველგან ხედავენ საქართველოს გარდა. სამწუხაროდ, მწერლების გარდა უბრალო ხალხიც ასეა განწყობილი: ისინი ამბობენ, რომ იომებენ და საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს დაბრუნდებიან.

ამ უაზრო და დამღუპველი ომის შემდეგ, აფხაზი მწერლებიც ამბობენ: სანამ ერთი აფხაზიც კი ცოცხალი იქნება, ის საქართველოში არ იცხოვრებსო. არადა, ომის დროსაც კი ბევრი მაგალითი იყო იმისა, რომ აფხაზების და ქართველების სამტროდ გადაკიდება შეუძლებელია. თითქოს ვიღაცამ შეგნებულად დათესა ეს სიძულვილი. ახლა სასიკეთო ნაბიჯებსაც არავინ დგამს. აი, მაგალითად, გალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ვესაუბრე. მისი თქმით, გალში ქართველებს არავინ ერჩის, სოხუმშიც ბევრი ქართველია. ხალხს ომი არ უნდა, თუმცა აფხაზები დღეს ისე არიან შეიარაღებულნი და ისეთი ბრძოლისუნარიანი არმია ჰყავთ, რომ ასე ადვილი არ იქნება მათი დაჩოქება. მე პოლიტიკოსი არა ვარ, მაგრამ ერთადერთ გამოსავალს ვხედავ ამ სიტუაციიდან - საქრთველომ აფხაზეთი მშვიდობიანად უნდა გაუშვას.

-აფხაზებმა თუ იციან, მაგალითად, რაზე მოილაპარკეს სოჭის შეხვედრაზე?

- მათ ეს საკითხი დღეს საერთოდ არ აღელვებთ - სხვაც ბევრი აქვთ მიწიერი პრობლემა. იქ დღეს ყველას რუსეთის მოქალაქის პასპორტი უდევს ჯიბეში. ღმერთმა არ ქნას და ომის გაღვივების შემთხვევაში, რუსეთი მათ ინტერესებს აუცილებლად დაიცავს.

რუსი მწერლების სოხუმში ყოფნის დროს გიორგი გულიას ვაჟიშვილმა გალის კულტურის სახლისათვის სკამების შესაძენი პირველი ასი დოლარი ჯიბიდან ამოიღო და დადო. მე არ ვიცოდი, აფხაზი მწერლებისათვის თანაგრძნობის გამოხატვას ქართულ ინტელიგენციასთან შეთანხმება რომ სჭირდებოდა. მე დანამდვილებით ვიცი, რომ გალის რაიონში ბევრი ქართველი ლტოლვილის სახლი დღემდე ცარიელია და მეზობელი აფხაზები უვლიან. გაიხსენეთ - გერმანელებისა და რუსების შერიგებას მთელი ათწლეულები დასჭირდა.

- ქართველ მწერლებთან კონტაქტები აღარ გაქვთ? იქნებ თქვენმა სახალხო დიპლომატიამ შეძლოს ის, რაც პოლიტიკოსებს უკვე აღარ შეუძლიათ?

- ამ წლების განმავლობაში არც ერთ ქართველ მწერალს ეს არ უცდია. არც გიორგი გულიას იუბილეზე გამოუგზავნიათ თბილისიდან ბარათი. რამდენიმე წლის წინ კი ერთადერთი კაცი, ვინც გიორგი გულიას იუბილე მიულოცა, ირაკლი აბაშიძე იყო. არც ისტორიკოსები იწუხებენ თავს მიზეზ-შედეგობრიობის გარკვევისთვის. გასაანალიზებელია, თუ რატომ ილტვოდა აფხაზეთი მუდამ რუსეთისაკენ? მე რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის ასოცირებულ წევრად მიღების წინააღმდეგიც ვარ, არც სსრკ-ს დაშლა მწყენია. არც აგარკი მინდა აფხაზეთში – დასასვენებლად კვიპროსზე დავდივარ. ერთადერთი, რაც ჩვენ დღეს ყველას გვჭირდება, ეს არის მონანიება, ვნებების მოთოკვა, არსებულთან შეგუება და მშვიდობიანი ცხოვრების მშენებლობა. აფხაზმა და ქართველმა ხალხმა ერთმანეთისაგან უნდა დაისვენოს

. მე დიდ სისულელედ მიმაჩნია უფროსი დის ან უფროსი ძმის ცნება პოლიტიკაში.

აფხაზეთში გავემგზავრეთ როგორც მწერლები და არა როგორც პოლიტიკოსები, ამიტომ, როცა დატანჯულ ხალხს ხედავ, სულზე უფრო ფიქრობ, ვიდრე დიპლომატიაზე. ჯანსუღ ჩარკვიანთან, ჭაბუა ამირეჯიბთან, ძმებ ჭილაძეებთან დიდი მეგობრობა მაკავშირებდა, მაგრამ ახლა ერთმანეთი დავკარგეთ.

„თბილავიამშენის" ბედი დღეს გადაწყდება

სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის" ბედი დღეს გადაწყდება. წლეულს, 7 თებერვალს, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ ამ საწარმოს ათი წლით მართვის უფლებით გადაცემაზე კონკურსი გამოაცხადა.

მინისტრის მოადგილის ზურაბ გარაყანიძის ინფორმაციით, დღეს, 16.00 საათზე გაიმართება საკონკურსო წინადადებათა პაკეტების გახსნა. „თბილავიამშენის" მართვის უფლებით აღებაზე საკონკურსო კომისიაში ერთადერთი განაცხადი გუშინ შევიდა და იგი ქარხნის ამჟამინდელ მმართველ ჯგუფს ეკუთვნის, რომელსაც „თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვაჟა თორდია ხელმძღვანელობს.

საკონკურსო პირობების თანახმად, გამარჯვებულს „თბილავიამშენის" აქციათა მთლიანი პაკეტი, რომელსაც ამჟამად სახელმწიფო ფლობს, მართვის უფლებით 10 წლით გადაეცემა. საწარმოს საწესდებო კაპიტალი 55,6 მილიონ ლარს აჭარბებს. მას გააჩნია 4,9 მილიონი ლარის კრედიტორული და 8,8 მილიონი ლარის დებიტორული დავალიანება.

კონკურსში გამარჯვებულს ეკისრება: საწარმოს ძირითადი პროფილის შენარჩუნება და სახელმწიფო შეკვეთების უპირატესი შესრულება, მუშა-მოსამსახურეთა შრომითი პირობების გაუმჯობესება და ხელფასების 100 პროცენტით ზრდა, თანამშრომელთა რაოდენობის არანაკლებ 40 პროცენტით ზრდა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, საწარმოში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი სახის პროდუქციის ათვისება. მმართველი ინვესტიციების ან რეინვესტიციის სახით 10 წლის განმავლობაში „თბილავიამშენის" განვითარებაში 20 მილიონი დოლარი უნდა ჩაიდოს. **მედია-ნიუსი**

ქვეყნის ეკონომიკა ჩვენდაუნებურად იზრდება

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ, 2003 წლის ინდიკატური გეგმის თანახმად განსაზღვრული, ქვეყნის განვითარების ძირითადი მიმართულებები და ტენდენციები გამოაქვეყნა. გეგმის მიხედვით, წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) წარმოების მოცულობის 4.5-5.6 პროცენტიანი ზრდაა მოსალოდნელი. როგორც ნავარაუდევია, სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ზრდა 4.3-6.1 პროცენტს შეადგენს. მაღალი (6.1-7.2 პროცენტი) იქნება სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპებიც. ტრადიციულად, 2003 წელსაც მნიშვნელოვანი ნინსვლა იქნება ტრანსპორტის დარგში. კერძოდ, საერთო სარგებლობის ყველა სახის ტრანსპორტით ტვირთბრუნვა 9.6-16 პროცენტით გაიზრდება. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ძვირადღირებული მილსადენების მშენებლობების დაწყებასთან დაკავშირებით სოლიდურად, დაახლოებით, 43 პროცენტით მოიმატებს უცხოური ინვესტიციების მოცულობა.

ზრდის სწრაფი ტემპებია ნავარაუდევი შიდა ვაჭრობაში. კერძოდ, 2002 წლის მოსალოდნელ პარამეტრთან შედარებით, ზრდა 7.2-8.1 პროცენტის ფარგლებში იგეგმება. ხოლო საგარეო ვაჭრობაში განვითარების ზომიერი ტემპებია ნავარაუდევი. (ექსპორტი 5.4, ხოლო იმპორტი, მაქსიმუმ – 4.6 პროცენტით გაიზრდება).

წელსვე ნავარაუდევია ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა ხელფასების, საშუალოდ 12 პროცენტით ზრდა, მათ შორის საბიუჯეტო სექტორში – 3.3-11.5 პროცენტით. ამასთან, დასაქმებულთა რაოდენობაც, დაახლოებით, 5-11 ათასი კაცით გაიზრდება. ***"24 საათი"***

„დაიმლერ-კრაისლერი" „მიცუბიშის" თანდათანობით ითვისებს

იაპონურმა ავტომწარმოებელმა "მიცუბიში მოტორზმა" განაცხადა, რომ აპირებს, თავისი აქციების დამატებითი პაკეტი მიჰყიდოს "დაიმლერ-კრაისლერს," რომელიც უკვე მის 37-პროცენტიან წილს აკონტროლებს.

გარიგების მიხედვით "დაიმლერ-კრაისლერი" 772 მილიონ დოლარად 43 პროცენტს მიიღემს "მიცუბიშის" სატვირთო მანქანების განყოფილებაში. ამის შედეგად, იაპონური კომპანია თავისი ვალების მნიშვნელოვან ნაწილს გაისტუმრებს. რაც შეეხება "დაიმლერ-კრაისლერს," იგი კიდევ უფრო გაიმყარებს პოზიციას აზიურ ბაზარზე. ***"24 საათი"***

მოკლედ

თბილისი. ორშაბათს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტს ახალი კანონპროექტი შესთავაზა სახელფასო მინიმუმის საარსებო მინიმუმთან დაახლოების საკითხზე. მან განაცხადა, რომ პარლამენტში უკვე წარდგენილია კანონპროექტი, რომელიც წელს მინიმალური ხელფასის 20-დან 35 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს, 2004 წლის მეორე კვარტლიდან - 60 ლარამდე, ხოლო 2005 წელს - 100 ლარამდე. პარლამენტის თემატური უმრავლესობა მინიმალური ხელფასის 20-დან 115 ლარამდე გაზრდის შესახებ მიღებული საკანონმდებლო ცვლილების გაუქმებას კატეგორიულად მოითხოვს, მანამდე კი ოპოზიციასთან, კომპრომისის მიღწევის მიზნით, კონსულტაციების გამართვას არ აპირებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ზუგდიდი. დასავლეთ საქართველო კვლავ ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა დღის საათებში ელექტროენერგიას ვერ იღებს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის პიკური დატვირთვით მუშაობის გამო; ხოლო საღამოს "ენგურჰესის" მიერ გამომუშავებულ ენერგიას მთლიანად "სახელმწიფო ელექტროსისტემა" განკარგავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ, დილიდან, „ეი-ი-ეს თელასისადმი" დავალიანების გამო, ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდათ დედაქალაქის მერიას, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, საკონსტიტუციო სასამართლოს შენობას, "საქინფორმს" და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ და მერიამ უკვე გადარიცხეს თანხა კომპანიის ანგარიშზე და მათ მცირე ხნის შემდეგ აღუდგათ ელექტროენერგიის მიწოდება. კომპანიის ინფორმაციით, სადამსჯელო ოპერაციები საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ კვლავაც გაგრძელდება. ამჯერად გათიშვა შეეხება პარლამენტს, სახელმწიფო კანცელარიას და სხვ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ქვეყანაში "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამა" უახლოეს ხანში ამოქმედდება, ხოლო "რეალურ შედეგებს საქართველო უკვე 2-3 წელიწადში მიიღებს". ეკონომიკურ საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის თემურ ბასილაის განცხადებით, პროგრამა საბოლოო სახით, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის მაისის დასაწყისისთვის ამოქმედდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თანამდებობის პირთა საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო ახალი სადეკლარაციო პერიოდისთვის ემზადება. პირველიდან 30 აპრილამდე 4.000-მდე სახელმწიფო მოხელემ ბიუროში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები უნდა წარადგინოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს ნინო ჩხობაძეს შეხვდნენ. სამოქალაქო სექტორი, რომელიც აქტიურად არის ჩართული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის მონიტორინგში, რეგულარულად ხვდება ნინო ჩხობაძეს. გუშინდელ შეხვედრაზე არასამთავრობოებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს თავიანთი მოთხოვნა, რომ მილსადენთან დაკავშირებული ყველა საკითხის შესახებ მიიღონ ინფორმაცია.

დღეს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ნინო ჩხობაძე იაპონიაში მიემგზავრება კიოტოს კონფერენციაზე დასასწრებლად. როგორც ცნობილი გახდა, კიოტოში ჩხობაძე ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (ი-ბი-არ-დი) პრეზიდენტს შეხვდება, რომელმაც თავად მოითხოვა შეხვედრა. სავარაუდოდ, საუბრის თემა "ბი-თი-სის" ნავთობსადენი იქნება. როგორც ცნობილია, ი-ბი-არ-დი პროექტის ერთ-ერთი დამფინანსებელია, რომელსაც საბოლოო გადაწყვეტილება ნავთობსადენის დაფინანსებასთან დაკავშირებით ჯერ არ გამოუტანია. **24 საათი**

მაკა ასათიანი შევარდნაძის ოჯახს უვირისპირდება

სოფიკო ოხანაშვილი

ახალქიანების პროტეჟე "გერმანია" კი ავიადეპარტამენტის თავკაცს ციხით ემუქრება

გუშინ სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჭანკოტაძემ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება - ავიაკომპანია "გერმანიისთვის" დიუსელდორფისა და ფრანკფურტის მიმართულებით რეისებზე ნებართვის გაცემის შესახებ - სისრულეში მხოლოდ მას შემდეგ მოიყვანა, რაც მასთან აღმასრულებელი პოლიცია მივიდა და სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ შესრულება მოსთხოვა. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ავიაკომპანია "გერმანიას" ლობირებას შევარდნაძის მძახლის, ახვლედიანის ოჯახი უწევს. ავიაკომპანიის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა კონსტანტინე სალიამ უარყო როგორც ახვლედიანების მიერ ავიაკომპანია "გერმანიის" ლობირება, ასევე ახალ ქართულ-გერმანულ ავიაგადამზიდავის შექმნაში მათი ოჯახის მონაწილეობაც. თუმცა, საწინააღმდეგოს ამტკიცებს "აირზენას" თანამფლობელი მაკა ასათიანი. იგი აცხადებს, რომ ფრანკფურტი-დიუსელდორფის მიმართულებით რეისების განხორციელებაზე ავიაკომპანია "აირზენასთან" მოლაპარაკებებს უშუალოდ ახვლედიანების ოჯახი ახორციელებდა და "აირზენას" არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია "გერმანიის" მფლობელ, ვინმე ბიშოფთან. "როცა ჩვენ ბიშოფთან შეხვედრა მოვითხოვეთ, ახვლედიანებმა გვითხრეს, რომ საქართველოში ავიაკომპანია "გერმანიის" რეისები მათი ბიზნესია", - განაცხადა მაკა ასათიანმა და იქვე ისიც დასძინა, რომ გერმანიის მიმართულებით ავიაგადაზიდვებზე ახვლედიანების პროტეჟე კომპანიამ საუბარი კახი ასათიანის მკვლელობიდან ერთ თვეში დაიწყო.

ავიაკომპანია "გერმანია" ფრანკფურტი-თბილისი-ფრანკფურტისა და დიუსელდორფი-თბილისი-დიუსელდორფის მიმართულებით მგზავრთა გადაყვანას 2002 წლის ივლისიდან კვირაში ორჯერ ახორციელებს. მიმდინარე წლის ხუთ თებერვალს ავიაკომპანიამ სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტში რეისის შესრულების შესახებ ნებართვის განახლებაზე განაცხადი შეიტანა, ამასთან ერთად აღნიშნული მიმართულებებით რეისების სიხშირის ორჯერ გაზრდა მოითხოვა. განაცხადის მიღებაზე, დეპარტამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჭანკოტაძემ უარი თქვა. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღნიშნული მიმართულებით რეისების სიხშირის გაზრდაზე უარი საქართველოს ავიაბაზრის შეზღუდული მოთხოვნილებითა და მომხმარებლის სიმცირით ახსნა. **"კვირაში ექვსი რეისი ფრანკფურტისა და დიუსელდორფის მიმართულებით ჩვენი მომხმარებლისთვის გადაჭარბებულია, თანაც ავიაკომპანია "გერმანია", თავისი დემპინგური ფასებით, დიდ საფრთხეს შეუქმნის ეროვნულ ავიაგადამზიდავს, რადგან დაბალი ფასებითა და რეისების დაწყვეტილება ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა.**

ავიაკომპანია "გერმანიის" საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის ლალი ხუციშვილის თქმით, რეისების სიხშირის გაზრდაზე უარის გამო, საქართველო საერთაშორისო სკანდალს ვერ აცდება, ხოლო ზურაბ ჭანკოტაძე სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად და გადამეტებით გამოყენებისათვის - ციხეს. ავიაკომპანია სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას აპირებს. იმავე წყაროს ცნობით, გუშინვე ავიაკომპანია "გერმანიის" სათავო ოფისმა ხელშეკრულების პირობების დარღვევის, უფრო ზუსტად, რეისების სიხშირის გაზრდაზე სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის უარის გამო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო ნოტა გამოუგზავნა. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის გადაწვეტილების გამო, საქართველოს საერთაშორისო სკანდალში გახვევის შესაძლებლობას ზურაბ ჭანკოტაძე აბსურდულს უწოდებს.

სარჩელის განხილვა რაიონულმა სასამართლომ არ დაყოვნა და დავა ავიაკომპანიის სასარგებლოდ ორ დღეში გადაწყვიტა. სასამართლომ სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას ნებართვის გაცემის დაუყოვნებლივ აღსრულება დაავალა.

ჭანკოტაძის განცხადებით, სასამართლოს გადაწყვეტილება მისთვის მხოლოდ პარასკევს, 14 მარტს გახდა ცნობილი. სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების დაგვიანების გამო, გუშინ ჭანკოტაძეს აღმასრულებელი პოლიცია ესტუმრა და დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად ბოლო ვადა საღამოს ხუთ საათამდე დაუწესა. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა აღმასრულებელი პოლიციის მოთხოვნისამებრ, სასამართლოს გადაწყვეტილება შეასრულა და განახლებული ნებართვა გასცა ფრანკფურტი-დიუსელდორფის მიმართულებით რეისების განხორციელებაზე. მისი განცხადებით, სასამართლო გადაწყვეტილებაში ნახსენებიც არ იყო რეისების სიხშირეების გაზრდა.

ავიაკომპანია "გერმანიის" ხელმძღვანელობა იმედებს სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებაზე ანუ ნებართვის გაცემაზე ამყარებდა. "მას შემდეგ, რაც ზურაბ ჭანკოტაძე ნებართვას მოაწერს ხელს, ჩვენ პირველი აპრილიდან დავიწყებთ ფრენას და ამ მიმართულებით კვირაში ოთხ რეისს მანამდე განვახორციელებთ, სანამ ამ ნებართვას იურიდიული ძალა ექნება", - განაცხადა სალიამ. თუმცა, სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი მათთვის მხოლოდ პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კონსტანტინე სალიამ ჟურნალისტებს ახალი ქართულ-გერმანული ავიაკომპანიის შექმნის შესახებაც განუცხადა. ავიაკომპანია, რომლის სახელიც ჯერ უცნობია, საქართველოში ჩამოყალიბდება და ქართველი პერსონალით დაკომპლექტდება. ზურაბ ჭანკოტაძის თქმით, ახალი ავიაგადამზიდავი ბაზარზე მხოლოდ მას შემდეგ შემოვა, როცა ის გარკვეულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. მისი თქმით, საქართველოში დაფუძნებული ახალი ავიაკომპანია საქართველოს კანონმდებლობას დაექვემდებარება.

"იტერა" "საქგაზში" რეორგანიზაციას გეგმავს

მაია ურუშაძე

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, "იტერა" "საქგაზში" რეორგანიზაციას გეგმავს. რეორგანიზაციის პირველ ეტაპზე "საქგაზი", სავარაუდოდ, თანამშრომლების რაოდენობას შეამცირებს. "იტერას" სათავო ოფისის გადაწყვეტილება "საქგაზის" რეორგანიზაციის შესახებ, გარკვეულწილად, "თბილგაზისადმი" ინტერესის დაკარგვით შეიძლება აიხსნას. საქმე ისაა, რომ მიუხედავად იმ "მძიმეწონიანი კაპიტალისა", რასაც "იტერა" საქართველოში ფლობს, "თბილგაზის" გაზმომარაგების სქემაში მონაწილეობა მისთვის უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. მას შემდეგ, რაც ეს სქემა დაიშალა და "თბილგაზის" გაზმომარაგება "იტერამ" პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე ითავა, "საქგაზს" ხელიდან ფინანსირების სერიოზული წყარო გამოეცალა.

"გაზმომარაგების სქემიდან "თბილგაზის" ამოვარდნის შემდეგ "საქგაზს" გაზის მიწოდება შეუმცირდა. შესაბამისად, შემცირდა "საქგაზის" შემოსავლებიც და ამის გამო, არ არის გამორიცხული, მისი რეორგანიზაციის საკითხიც დადგეს დღის წესრიგში," – განუცხადა "24 საათს" "იტერას" წარმომადგენელმა საქართველოში თამაზ პატარიძემ. მისი თქმით, **"საქგაზის" გაუქმებაზე საუბარი არ არის, ვინაიდან ის "იტერას" ქართულ აქტივებს მართავს."** "იტერას" კი ქართული აქტივები არც ისე ცოტა აქვს: მარტო ქუთაისის გაზგამანაწილებელ კომპანიაში ის 95 პროცენტს ფლობს. "იტერასთვის" არანაკლებ მნიშვნელოვანია ის საწარმოები, რომლებიც მას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში აქვს. ამდენად, "საქგაზის" გაუქმების საკითხი, ჯერჯერობით, დღის წესრიგში არ დადგება: აქტივებს მართვა სჭირდება, "იტერას" ქართულ წარმომადგენლობას კი მენეჯმენტის ფუნქცია არ აკისრია.

ამდენად, "იტერა" "საქგაზს", ჯერჯერობით, შეინარჩუნებს. მოსალოდნელ ცვლილებებს კი, შესაძლოა, "საქგაზის" გენერალური დირექტორი ლეონიდ დეიკალო "ემსხვერპლოს," რომელმაც საქართველოში "იტერას" საიმედო ქსელის შექმნა და კომპანიის ინტერესების განმტკიცება ვერ უზრუნველყო.

საქართველო "აზოტს" კვირის ბოლომდე გაყიდის

"ამ ბიზნეს-გეგმით ქარხნის გრძელვადიანი პროგრამის განხორციელება ძირშივე განწირულია"

კომპანია "იტერა-ჰოლდინგის" გამგეობის თავმჯდომარე გენადი სკიდანოვი თბილისში 20 მარტს ჩამოვა და "აზოტის" პირდაპირი მიყიდვის ხელშეკრულება, სავარაუდოდ, ამ კვირის ბოლოს გაფორმდება.

დღეს "აზოტში", წინა კვირას გადადებული, კრედიტორთა კრება გაიმართება, რომლის დღის წესრიგი არ შეცვლილა: "იტერასა" და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების განხილვა, "აზოტის" რეაბილიტაციის მმართველის სრული ანგარიში და ცვლილებები კრედიტორთა საბჭოში. რეაბილიტაციის მმართველის ნიკო ბაკაშვილის ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტრო, ანუ სახელმწიფო, რომელიც "აზოტის" ყველაზე დიდი კრედიტორია 33 მილიონი ლარით, "იტერასთან" გარიგებაზე წავიდა და აღნიშნული ვალის გაქვითვაზე შეუთანხმდა. **"მთელი სახელმწიფო მანქანა მუშაობს იმაზე, რომ ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც "იტერას" სურს,"** - ასეთ დასკვნას აკეთებს რეაბილიტაციის მმართველი.

"იტერასა" და ქონების მართვის სამინისტროს შორის ხელშეკრულებას ორიოდ დღეში მოეწერება ხელი. ამ დრომდე საზოგადოებისათვის უცნობია, რა წერია ამ დოკუმენტსა და მისთვის თანდართულ ბიზნეს-გეგმაში. "იტერას" წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, თამაზ პატარიძის ინფორმაციით, "აზოტის" განვითარების ბიზნეს-გეგმა საწარმოს სრული დატვირთვით ამუშავებას ითვალისწინებს და უახლოესი სამი წლის განმავლობაში 13 მლნ. დოლარზე მეტი კაპიტალდაბანდების განხორციელება იგეგმება, აქედან 5 მილიონი ლარის ინვესტიცია - ნაღდი ფულით, 8 მილიონი კი რეინვესტიციის სახით განხორციელდება. უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია ბიზნეს-გეგმის თაობაზე რუსთავის მერიამ მოიპოვა და გაავრცელა კიდეც.

მერიის ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე, დამოუკიდებელმა სააუდიტო კომპანიამ "არალეგალური" გზებით შეძლო "იტერას" მიერ წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის მოპოვება და მასზე საექსპერტო დასკვნის გაკეთება. "აუდიტკონსალტინგკორპორეიშენის" დირექტორის, ირაკლი მაღრაძის თქმით, მათ აქცენტი ბიზნეს-გეგმის საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შეუთავსებლობაზე გააკეთეს და დასკვნა საკმაოდ უარყოფითი გამოვიდა. მაგალითად:

"გაუგებარია, თუ რას გულისხმობს პროექტის სათაური ("სს "აზოტის" რეაბილიტაციისა და ფინანსური გაჯანსაღების პროგრამა 2002-2004") ანუ მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამაში წარმოდგენილია მხოლოდ საზოგადოების წინაშე მდგარი დროებითი პრობლემების მოგვარების გზები, რაც თავისთავად არ გულისხმობს კომპანიის რესტრუქტურიზებისა და მრავალწლიანი მდგრადი განვითარების გეგმას.

ბიზნეს-გეგმაში არ არის აღნიშნული, თუ რა წარმოადგენს "ITERA International LLC" მიერ სააქციო საზოგადოების აქციათა პაკეტის პრივატიზების მიზანს, აპირებს იგი თუ არა შემდგომ მის გაყიდვას სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე.

პროექტი ვერ უზრუნველყოფს გარე ბაზარზე საწარმოს კონკურენტუნარიანობისა და პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად აუცილებელი სამუშაოების ანალიზს.

ბიზნეს-გეგმის არც ერთი მოთხოვნა არ არის გამაგრებული ფინანსურად ანუ არ ჩანს ფინანსური წყარო, საიდანაც ცდილობს უცხო ინვესტორი, საჭირო თანხები მოიზიდოს საწარმოში.

ამრიგად, "ITERA International LLC"–ს ბიზნეს-გეგმა არ შეიძლება ჩაითვალოს საინვესტიციო პროგრამად. ამავე დროს, ამ ბიზნეს-გეგმით ქარხნის გრძელვადიანი პროგრამის განხორციელება ძირშივე განწირულია," - ასეთი დასკვნა გააკეთა დამოუკიდებელმა აუდიტმა. სპეციალურად ამ საკითხის განსახილველად რუსთავის მერმა და საკრებულომ სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილე გენადი მალაზონია რუსთავში მიიწვია. მალაზონია გაეცნო დასკვნას, თუმცა, როგორც მაღრაძე აცხადებს, მას შემდეგ აღნიშნული დოკუმენტი, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. ***"24 საათი"***

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ
2003 12 - 18 მარტის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების ქროსკურსები

	UKJ	US$	Euro	Yen
UKJ		0.6326	0.683	0.0054
US$	1.5808		1.0797	0.0085
Euro	1.4642	0.9262		0.0079
Yen	186.15	117.76	127.14	

2003 წლის 18 მარტიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

ევრო	1	2.3276 ლარი
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	1	3.4013 ლარი
შვეიცარიული ფრანკი	1	1.5877 ლარი
აშშ დოლარი	1	2.1500 ლარი
თურქული ლირა	10	1.2921 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0685 ლარი
აზერბაიჯანული მანათი	1 000	0.4381 ლარი
სომხური დრამი	100	0.3633 ლარი
უკრაინული გრივნა	10	4.0307 ლარი

72 საათი ომის დაწყებამდე

ბოთა უტიაშვილი

დღეს დილით, თბილისის დროით ხუთ საათზე, აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ერაყს უკანასკნელი ულტიმატუმი წაუყენა: ან სადამ ჰუსეინი 72 საათში ქვეყანას დატოვებს, ან ომი გარდაუვალია. ჰუსეინი წასვლას არ აპირებს.

ბუშის განცხადებამ წერტილი დაუსვა მითქმა-მოთქმას ომის დაწყების თარიღის შესახებ. ულტიმატუმი ვაშინგტონის დროით 17 მარტს, საღამოს 8 საათზე გაკეთდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ომი 20 მარტს, სავარაუდოდ, განთიადისას დაიწყება.

"უდაბნოს ქარიშხლისაგან" განსხვავებით, ერაყზე თავდასხმაში მხოლოდ სამი ქვეყანა: აშშ, ბრიტანეთი და ავსტრალია მიიღებენ მონაწილეობას. წინასწარი ვარაუდით, ომი 48-საათიანი მასირებული დაბომბვებით დაიწყება. 700 ბომბდამშენი დღე და ღამე იმოქმედებს და ერაყის საჰაერო თავდაცვის სისტემას, სამხედრო ავიაციას, სტრატეგიულ ობიექტებსა და პრეზიდენტის სასახლეებს გაანადგურებს. ამის შემდეგ, სახმელეთო იერიში დაიწყება. ერაყის საზღვრებთან მობილიზებულია 250 ათასი ამერიკელი და ბრიტანელი ჯარისკაცი. სავარაუდოდ, ამერიკელები შეეცდებიან დასაწყისშივე დაიკავონ სამი პლაცდარმი ერაყის ჩრდილოეთ (ქურთისტანის პროვინციაში, ქალაქ მოსულის ირგვლივ), დასავლეთ (იორდანიის საზღვართან) და სამხრეთ (ქალაქ ბასრის ირგვლივ) ნაწილებში. ამ სამი პლაცდარმიდან უნდა განხორციელდეს ბაღდადის შტურმი, რაც, წინასწარი პროგნოზით, ომის ყველაზე სისხლიანი ნაწილი იქნება.

დღეისათვის, თურქეთი უარს ეუბნება ვაშინგტონს თავის ტერიტორიაზე ამერიკული ჯარების განთავსებაზე. ამერიკელი დიპლომატები იმედოვნებენ, რომ ანკარამ ჯერ კიდევ შესაძლებელია, პოზიცია შეცვალოს.

გუშინ, გაერო-ს ინსპექტორების ხელმძღვანელებმა ჰანს ბლიქსმა და მოჰამად ელ-ბარადეიმ განუცხადეს თავიანთ პერსონალს, რომ ბარგის ჩალაგების დრო მოვიდა. შეერთებულმა შტატებმა მათ ქვეყნის დაუყოვნებლივ დატოვება მოსთხოვა. როიტერის ცნობით, ევაკუაცია სასწრაფო რეჟიმში მიმდინარეობს, ინსპექტორებს მხოლოდ 15 კილოგრამი ბარგის წაღების უფლება აქვთ.

მაშ ასე, ინსპექტირება ისე დასრულდა, რომ მან ვერც ერთ კითხვას ვერ გასცა საბოლოო პასუხი. ახლა სადამმა მთელი თავისი არსენალიც რომ გადასცეს გაერო-ს, ეს უკვე აღარაფერს შეცვლის. ინსპექტორები ამბობენ, რომ მათ ვერ მიაგნეს აკრძალული იარაღის კვალს. აშშ ვიცეპრეზიდენტი ჩეინი კი ამტკიცებს, რომ ერაყს არა მხოლოდ მომწამლავი გაზი და ბაქტერიოლოგიური იარაღი, ატომური ბომბიც კი გააჩნია. დღეს ჰანს ბლიქსს მოხსენება უნდა გაეკეთებინა უშიშროების საბჭოში ინსპექტორთა მუშაობის შესახებ. მოხსენება, ალბათ, აღარ იქნება. აშშ-მ გაერო-ს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად 24-საათიანი ულტიმატუმი წაუყენა, რომლის ვადაც გუშინ საღამოს გავიდა.

ამერიკას, ესპანეთსა და ბრიტანეთს ახალი რეზოლუცია აღარ წარუდგენიათ, აშკარა იყო, რომ იგი ჩავარდებოდა. საფრანგეთმა, რუსეთმა, გერმანიამ და სხვებმა უკან არ დაიხიეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ომი უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე დაიწყება. ექსპერტების აზრით, ამერიკის მოკავშირეებისათვის, პირველ რიგში კი - ბრიტანეთისათვის, ეს სერიოზული მარცხია. ბრიტანეთის მთავრობაში ომის მოწინააღმდეგეები თანამდებობებს უკვე ტოვებენ. მათგან პირველი ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, რობინ კუკი იყო.

REUTERS

"გაერო-მ ვერ შეძლო სადამ ჰუსეინთან გამკლავება, თავისივე მიღებული რეზოლუციების განხორციელება და 21-ე საუკუნის ახალ საფრთხეებთან შებრძოლება", – განაცხადა ჩეინიმ. თუმცა, მიმომხილველების აზრით, უშიშროების საბჭოსთვის მიმართვა და ერაყში ინსპექტორთა გაგზავნა იმ იმედით, რომ სადამი მათ გააძევებდა, ან ისინი რამეს იპოვიდნენ, სწორედ ამერიკის შეცდომა იყო.

უშიშროების საბჭოს ჩიხში შესვლის გამო ამერიკა და ინგლისი საფრანგეთს ადანაშაულებენ. პარიზმა პირდაპირ განაცხადა, რომ ვეტოს დაადებდა ომის გამოცხადებას. საფრანგეთი ამტკიცებს, რომ უშიშროების საბჭოს წევრთა უმრავლესობა და საერთაშორისო სამართალი მის მხარესაა.

ბუშის თქმით, ერაყს კიდევ აქვს ერთი შანსი, ომი თავიდან აიცილოს – თუ სადამ ჰუსეინი დაუყოვნებლივ დატოვებს ქვეყანას. თუმცა, ეს ულტიმატუმი აშკარად მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა. სადამი არსად წასვლას არ აპირებს. მან განაცხადა, რომ აპირებს იბრძოლოს ცაშიც, წყალშიც და ხმელეთზეც.

ერაყში უკვე საგანგებო მდგომარეობაა შემოღებული. თავდაცვას პირადად ჰუსეინი ხელმძღვანელობს. ქვეყანას სასწრაფო წესით ტოვებენ უცხოელები. თითქმის, ყველა ქვეყანამ თავისი საელჩო დახურა. შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა არა მხოლოდ ერაყში, არამედ კუვეიტსა და ისრაელში მყოფ თავიანთ მოქალაქეებსაც ამ ქვეყნების სასწრაფოდ დატოვება უბრძანეს. ერაყში მუშაობა შეწყვიტა გაერო-ს ყველა მისიამ.

ომი იწყება, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკამ ვერ მოახერხა მის აუცილებლობაში მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დარწმუნება. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწრაფად და უმსხვერპლოდ დასრულდება ომი და როგორ მიიღებენ ერაყელები ამერიკელ "გამათავისუფლებლებს".

ერაყელი ლტოლვილები კავკასიაშიც გამოჩნდნენ

ერაყში მოსალოდნელი ომის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი ლტოლვილთა უზარმაზარი ნაკადი იქნება, რომელთან გამკლავება ერაყის მეზობელ ქვეყნებსა და დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებს მოუწევთ.

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ გამოქვეყნებული მოხსენების თანახმად, გასულ წელს დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებში თავშესაფარს ყველაზე დიდი ოდენობით ერაყის მოქალაქეები მოითხოვდნენ. ერაყელებმა ავღანელებსაც გაუსწრეს.

ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის მოხსენება ცხადყოფს, რომ განვითარებულ სამყაროში თავშესაფრის მსურველთა რიცხვი გასულ წელს 5.5 პროცენტით შემცირდა. გაერო-ს ლტოლვილთა ორგანიზაცია ამას ავღანეთიდან ლტოლვილთა ნაკადის შემცირებით ხსნის.

თალიბების რეჟიმის დაცემის შემდეგ, დაახლოებით, ორი მილიონი ავღანელი დაბრუნდა უკან. თუმცა, ლტოლვილთა უმრავლესობა ავღანეთის მოსაზღვრე პაკისტანსა და ირანში დარჩა.

უმაღლესი კომისრის წარმომადგენლის, რუპერტ კოლვილის თქმით, გლობალური მასშტაბით ავღანელები ერაყელებმა ჩაანაცვლეს და თავშესაფრის მაძიებელთა სიას სათავეში ჩაუდგნენ. შემდეგ მოდიან ყოფილი იუგოსლავია, თურქეთი და ჩინეთი.

ახალი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, განვითარებული სამყაროს 37 ქვეყანაში 2002 წელს სხვადასხვა ეროვნების 580 000 მაძიებელი მიიღეს. ეს წინა წლის მაჩვენებლებს, დაახლოებით, 35 000 ჩამოუვარდება.

მოხსენების თანახმად, აღნიშნული მონაცემები ძალზე მცირეა მთელ მსოფლიოში არსებულ იმ 13 მილიონ ლტოლვილთან შედარებით, რომელთა უმრავლესობამ თავშესაფარი გავნვითარებად ქვეყნებში ჰპოვა.

კოლვილის განცხადებით, გასულ წელს განვითარებულ სამყაროში ლტოლვილთა ყველაზე დიდი მიმღები ქვეყანა დიდი ბრიტანეთი იყო, რომელსაც შეერთებული შტატები, გერმანია, საფრანგეთი და ავსტრია მოსდევენ. "სამი ყველაზე დიდი ჯგუფი, რომელიც დიდ ბრიტანეთში თავშესაფრის საპოვნელად ჩამოვიდა, არის ერაყელები, ზიმბაბველები და ავღანელები, და სამივეს ისტორიული კავშირი აქვთ ბრიტანეთთან".

თუმცა, საერთაშორისო თანამეგობრობის ყველაზე დიდ საზრუნავს ახლა ერაყიდან ლტოლვილთა მიღება და მათი პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოადგენს. ერაყის მეზობელი სახელმწიფოები ცდილობენ, რომ ლტოლვილთა ბანაკები თავად ერაყის ტერიტორიაზე, მათი ქვეყნების საზღვრის სიახლოვეს მოაწყონ, რათა უცხოელების შემოშვება და თანმდევი პრობლემები თავიდან აიცილონ.

ექსპერტების აზრით, ამ პროცესს ყველაზე მომზადებული ირანი ხვდება, სადაც 1991 წელს სპარსეთის ყურის ომის დროს ერაყიდან გამოქცეულები დღემდე ცხოვრობენ.

აზერბაიჯანის საინფორმაციო წყაროების ცნობით, ამჟამად, აზერბაიჯანში უკვე 110 ერაყელი ლტოლვილი იმყოფება, რომლებიც ამ ქვეყანაში ირანის გავლით გადმოვიდნენ. ერაყის კრიზისის დაწყების შემდეგ, ეს ლტოლვილთა პირველი შემოსვლაა სამხრეთ კავკასიაში. საერთაშორისო ორგანიზაციების გათვლებით, სამხრეთ კავკასიას ლტოლვილთა დიდი ნაკადი არ ემუქრება, თუმცა, სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მიზერული შემოსავლების მქონე ქვეყნებისათვის რამდენიმე ასეული ლტოლვილის მიღებაც ძალიან ძნელი იქნება.

მირეი მიუსო: ერაყი ტერორიზმის ცენტრი არ არის

ერაყში ომამდე, შეიძლება ითქვას, საათები რჩება. ბაღდადის წინააღმდეგ ვაშინგტონის პოლიტიკას ევროპის და აზიის უდიდესი ქვეყნები – საფრანგეთი, გერმანია, ჩინეთი და რუსეთი, უკვე დიდი ხანია, აპროტესტებენ და გაერო-ს უშიშროების საბჭოში ანგლო-ამერიკულ რეზოლუციას წარმატებით ბლოკავენ. თუმცა ცხადია, რომ ძირითად ინტერესს მაინც აშშ-ს მოკავშირეებად აღიარებული საფრანგეთის და გერმანიის აქტიური ანტისაომარი პოლიტიკა იმსახურებს. სწორედ ოფიციალური პარიზი დაიმუქრა უშიშროების საბჭოში ვეტოს გამოყენებთ, თუკი ვაშინგტონი იმ რეზოლუციის პროექტის დამტკიცებას შეეცდებოდა, რომელიც ერაყში სამხედრო მოქმედების დაწყებას უხსნის გზას. საფრანგეთმა დამოუკიდებელი და აქტიური პოლიტიკის გატარება დაიწყო. პრეზიდენტ შირაკის ადმინისტრაცია გადამწყვეტ მოქმედებაზე გადადის და ცდილობს, რომ თავისი პოზიცია მთელი მსოფლიოსათვის ნათელი გახადოს. პარიზმა ამის გაკეთება საქართველოშიც ჩათვალა საჭიროდ. ერაყის საკითხზე გუშინ თბილისში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა საფრანგეთის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში მირეი მიუსომ. თბილისში საგანგებო პრესკონფერენციის ჩატარება გასაკვირი არ უნდა იყოს. ჩვენ ხომ ის ქვეყანა ვართ, რომლის პრეზიდენტმაც ერაყში ვაშინგტონის მიერ ომის დაწყებას მხარი დაუჭირა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს გაერო-ს და საერთაშორისო თანამეგობრობის თანხმობის გარეშე მოხდება.

ლევან ღირსიაშვილი

"ჩვენ გადამწყვეტ მომენტში ვიმყოფებით. საფრანგეთის პოზიცია ქართულ პრესაში არასაკმარისად შუქდება. თავიდანვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო უნდა მოეღოს ქართულ და სხვა უცხოურ პრესაში გავრცელებულ აზრს იმის თაობაზე, თითქოს საფრანგეთს ანტი-ამერიკული განწყობები ამოძრავებს. ვერც ერთი კეთილი ნების ადამიანი ვერ შეძლებს, საფრანგეთს ანტიამერიკანიზმი დააბრალოს,"- ამგვარი განცხადებით დაიწყო ქალბატონმა მიუსომ ქართველ ჟურნალისტთა წინაშე გამოსვლა. მან გაიხსენა ის ისტორიული მომენტები, როდესაც საფრანგეთი აშშ-ს გვერდით იდგა და მისი მოკავშირე იყო. ასეთი ფაქტი კი მართლაც უამრავია, აშშ-ს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლით დაწყებული და ავღანეთში ანტიტერორისტული კამპანიით დასრულებული. ქალბატონმა მიუსომ, ასევე, ცხადი გახადა საფრანგეთის დამოკიდებულება სადამ ჰუსეინის მიმართ. **"სადამ ჰუსეინის დიქტატურა საშინელია და სამყარო მის გარეშე უკეთესად იცხოვრებდა. მაგრამ, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული N 1441 რეზოლუცია არა ჰუსეინის დამხობას, არამედ ერაყში არსებული მასობრივი განადგურების იარაღის ლიკვიდაციას ისახავს მიზნად,"** - განმარტა საფრანგეთის ელჩმა. ამასთანავე მან დასძინა, რომ ერაყის განიარაღების მისაღწევად ეფექტურ და ოპტიმალურ საშუალებას სწორედ ინსპექტირება წარმოადგენს. **"განახლებული ინსპექტირების შედეგად კი მოხდა ის, რომ სადამ ჰუსეინმა გაერო-სთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან თანამშრომლობის ნაბიჯები გადადგა,"**- დასძინა ქალბატონმა მიუსომ.

მან სავსებით ნათლად განმარტა, რომ პარიზი ერაყში ინსპექტორთა მისიის განუსაზღვრელი დროით გაგრძელებას მხარს არ უჭერს. თუმცა იმისათვის, რომ მსოფლიომ გამოიტანოს დასკვნა, შესრულდა თუ არა № 1441 რეზოლუცია, ინსპექტორთა მისიისათვის რეალისტური ვადის მიცემაა საჭირო. **"ხოლო, თუ როგორი იქნება ეს ვადა, ერთი ან ორი, თუნდაც სამი ქვეყნის ნებაზე არ არის დამოკიდებული. ეს საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა განსაზღვროს,"** - განაცხადა საფრანგეთის ელჩმა. იმის თაობაზე, თუ რა ვადას ითხოვს პარიზი ერაყში სამხედრო ინსპექტორებისათვის, ქალბატონმა მიუსომ პრეზიდენტ ჟაკ შირაკის მიერ კვირას ამერიკული მედიისათვის მიცემული ინტერვიუ გაიხსენა, რომლის დროსაც საფრანგეთის ლიდერმა რეალისტურ ვადად, სულ მცირე, 30 დღე დაასახელა.

ამით საფრანგეთის ელჩმა თავისი მთავრობის პოზიცის პირველ პუნქტზე საუბარი დაასრულა და რეზიუმეს სახით განაცხადა: **"გადაწყვეტილება ომის თაობაზე ყველას მიერ უნდა იყოს მიღებული და არა ცალმხრივად. ჩვენ არ გამოვრიცხავთ ძალის გამოყენებას, ოღონდ, გარკვეული დროის შემდეგ, თუკი ინსპექტირება შედეგს ვერ გამოიღებს. თუმცა ომი, პრეზიდენტ შირაკის თქმით, მარცხის დადასტურებაა,"** - დაასკვნა ელჩმა და პარიზის პოზიციის მეორე პუნქტის განხილვას შეუდგა.

"საერთაშორისო თანამეგობრობამ ერაყს მხოლოდ იარაღის განადგურება მოსთხოვა და მეტი არაფერი. ახლა კი ისეთი ვითარებაა, რომ აშშ ერაყის რეჟიმის დამხობას ისახავს მიზნად. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ამაზე გაცილებით უარესი რეჟიმები არსებობს, რომლებიც თავიანთი ქვეყნის მოსახლეობას ჟლეტენ. რატომ ხდება მარტო ერაყის გამოყოფა?" მისი თქმით, სადამის დამხობა არც საერთაშორისო თანამეგობრობის მიზნებში შედის,

REUTERS

მირეი მიუსო

რადგან ამით შეიქმნება ძალიან ცუდი პრეცედენტი, როდესაც ერთ ქვეყანას, რომელსაც სხვა სახელმწიფოში არსებული წყობა არ მოსწონს, უფლება ექნება თავს დაესხას და დაამხოს იქ არსებული ხელისუფლება. როგორც ცნობილია, ვაშინგტონი ერაყის მთავრობას მასობრივი განდგურების იარაღის გარდა, ბრალს საერთაშორისო ტერორიზმთან თანამშრომლობაშიც სდებს. საფრანგეთის წარმომადგენელს საქართველოში, უყურადღებოდ არც ეს მომენტი გამორჩენია. **"რაც შეეხება ერაყის განხილვას ტერორიზმის ცენტრად, აქაც ბევრი რამეა დასაზუსტებელი. შეიძლება, ერაყს რაღაც ურთიერთობა აქვს ტერორისტებთან, მაგრამ ერაყი ტერორიზმის ცენტრი არ არის. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, თუ რომელი ქვეყნები უჭერენ მხარს ტერორისტებს. ჩვენ ვშიშობთ, რომ ერაყის წინააღმდეგ ამგვარი ქმედება ტერორიზმს კი არ გაანადგურებს არამედ - პირიქით, ხელს შეუწყობს მის გაძლიერებას,"** - განაცხადა მირეი მიუსომ. მან ტერორიზმის მხარდამჭერ ქვეყნად საუდის არაბეთი დაასახელა და დასძინა, რომ საერთაშორისო ტერორისტები ამჟამად სწორედ საუდის არაბეთის სამეფოს აფარებენ თავს.

საფრანგეთის ელჩის თქმით, თუკი აშშ გაერო-ს უშიშროების საბჭოს გარეშე დაიწყებს ომს, მაშინ თავად ვაშინგტონს მოუწევს შედეგებზე პასუხისმგებლობის აღება. **"რაც შეეხება საფრანგეთს, აშშ-ს ჩვენ მაშინ დავჭირდებით, როდესაც ომის შემდეგ დანგრეული ერაყის რეკონსტრუქცია და არაბულ სამყაროსთან ურთიერთობების აღდგენა დადგება დღის წესრიგში. ამ საკითხში კი საფრანგეთს ცენტრალური როლი ექნება,"** - დაასკვნა მირეი მიუსომ.

"24 საათის" შეკითხვაზე, წარმოადგენს თუ არა ერაყში ვაშინგტონის პოლიტიკის ძირითად ფაქტორს ნავთობი, საფრანგეთის ელჩმა კომენტარისგან თავი შეიკავა და გამოცდილი დიპლომატისათვის ჩვეული ორაზროვანი ღიმილით განაცხადა: **"უმჯობესია, ეს ამერიკელებს ჰკითხოთ."**

სომხეთში საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებიან

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ რობერტ კოჩარიანი შეეცდება, სომხეთის პარალამენტზეც შეინარჩუნოს გავლენა მისი მხარდამჭერი რამდენიმე პარტიის საშუალებით, რომლებიც 25 მაისს დანიშნული საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებიან.

პრეზიდენტის მხარდამჭერი პარტიებიდან ყველაზე დიდი - რესპუბლიკური პარტია, სომხეთის რევოლუციური ფედერაცია (დაშნაკციუტუნი) და "ორიანც იერკირი" 131 საპარლამენტო ადგილისათვის დამოუკიდებლად იბრძოლებენ.

ალიანსების ჩამოყალიბებისაგან პრეზიდენტის მხარდამჭერმა პატარა პოლიტიკურმა ჯგუფებმაც თავი შეიკავეს. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის მხარდამჭერ პატარა პარტიებს მთავრობასთან კავშირების მქონე ბიზნესმენები შეუერთდნენ, რომელთა ფული და პოლიტიკური გავლენა მათ ეროვნულ ასამბლეაში (სომხეთის პარლამენტი) მოსახვედრ ხმათა მინიმუმს მოუტანს.

სომხეთის რესპუბლიკურ პარტიას, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ანდრანიკ მარქარიანი ხელმძღვანელობს, ყველაზე დიდი ამბიციები აქვს. სწორედ რესპუბლიკური პარტია აკონტროლებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სომხეთში. რესპუბლიკურ პარტიას ამჟამად ყველაზე დიდი ფრაქცია ჰყავს პარლამენტში.

"ჩვენ გვაქვს იმის პოტენციალი და რესურსები, რომ წარმატებას ალიანსების გარეშე მივაღწიოთ", - განაცხადა პარტიის საარჩევნო კამპანიის კოორდინატორმა სამველ ნიკოიანმა. "ჩვენ შევეცდებით, ამჟამინდელი მდგომარეობა შევინარჩუნოთ და დამატებითი ადგილებიც მოვიპოვოთ".

რესპუბლიკელთა ჩანაფიქრი დაშნაკციუტუნისა და "ორიანც იერკირის" ინტერესებს არ შეესაბამება. ეს ორი პარტია ახლო წარსულში უმაღლესი სამთავრობო პოსტებისათვის რესპუბლიკელებს ებრძოდა. ზოგიერთი სომეხი მიმომხილველის აზრით, კოჩარიანი რესპუბლიკური პარტიის გავლენის შემცირებით დაინტერესებულია და ამ პარტიების ძალაუფლების დაბალანსებას დაშნაკციუტუნისათვის პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში დამატებითი ადგილების მიცემით ცდილობს.

აღსანიშნავია, რომ კოჩარიანის ადმინისტრაციის უფროსი არტაშეს თუმანიანი ნაციონალისტური დაშნაკციუტუნის საარჩევნო სიაშია შესული. ამავე პარტიის სიაში თამბაქოს მაგნატი ჰრანტ ვართანიანი და პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან ახლო კავშირების მქონე რამდენიმე მდიდარი ადამიანი აღმოჩნდა. მათ ფინანსურ და სამთავრობო რესურსებს შეუძლია, დაშნაკებს იმის ძალა მისცეს, რომ მარქარიანის პარტიას რეალური კონკურენცია გაუწიოს. დაშნაკების დაფინანსების წყარო გავლენიანი სომხური დიასპორაცაა.

ასევე მოულოდნელი იყო კოჩარიანის მომხრე თიკუნების პატარა და ნაკლებპოპულარულ პარტიებში გაწევრიანება. სომხეთში ცნობილი ბიზნესმენი ჰარუთიუნ პამბუჯიანი სომხეთის ლიბერალურ-დემოკრატიულ კავშირს შეუერთდა. მისი დახმარებით, საზოგადოებისათვის უცნობი პარტია, სავარაუდოდ, ხუთპროცენტიან საარჩევნო ბარიერს გადალახავს. პამბუკიანის ბიზნესინტერესები ძალზე მრავალმხრივია - ბენზინის იმპორტიდან დაწყებული და სოფლის მეურნეობით დამთავრებული.

"არსოილის" თავკაცი გურგენ არსენიანი კი გაერთიანებულ მუშათა პარტიას ჩაუდგა სათავეში.

პროკოჩარიანული ბანაკის ნომერი პირველი მტერი ოპოზიციური პარტიების გაერთიანება იქნება, რომლის ლიდერი საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებული სტეპან დემირჭიანია. ამ გაერთიანებამ უკვე შეადგინა საერთო საარჩევნო სია, სადაც 75 კაცია შესული. სომხეთის პარალამენტში არსებული 131 ადგილიდან პროპორციული წესით მხოლოდ 75 ნაწილდება. სიაში მყოფ პირთა ნახევარზე მეტი დემირჭიანის სახალხო პარტიიდან არის.

სიას სათავეში უდგას სტეპან დემირჭიანი, "ჰანრაპეტიუთუნის" ლიდერი არამ სარქისიანი და პრეზიდენტობის ორი ყოფილი კანდიდატი: ვაზგენ მანუკიანი და არამ კარაპეტიანი.

„პრესა ძალიან მძიმეა"

"ამბობენ, რომ ჟურნალისტები შეკვეთილ სტატიებს ბეჭდავენ და რომელიმე ადამიანს აფუჭებენ. ეს არის სულის გაყიდვა. ეს ნიშნავს, რომ ჟურნალისტმა ეშმაკს მიჰყიდა სული. ღმერთმა ყველა დაგიფაროთ ამისგან!"

ეს სიტყვები ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს წარმოთქვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

შეხვედრა საპატრიარქოში გუშინ შედგა. პატრიარქმა მწუხარება გამოთქვა კიდევ ერთი საკითხის გამო:

"პრესა მეტად მძიმეა. არ ვამბობ იმას, რომ უნდა დავმალოთ ჩვენი უარყოფითი მხარეები, მაგრამ კარგიც უნდა დავინახოთ და დავბეჭდოთ. სასიამოვნო და სასიხარულო ამბები აუცილებლად უნდა იყოს პრესაში, რომ ხალხს სტიმული მიეცეს. ყოველთვის უარყოფითი არ უნდა იწერებოდეს. ამით ადამიანს იმედი ეკარგება. ხალხიც უფრო უარყოფით ინფორმაციას ეტანება. რატომ ხდება ასე? თქვენი აზრი მინდა მოვისმინო."

ამ კითხვას უპასუხა თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანმა, ნუგზარ ფოფხაძემ, რომელმაც თქვა, რომ ბიზნესს თავისი კანონები აქვს. ცხადია, არავის ჰქონია იმის ილუზია, რომ ერთი თქმით პრობლემა მოიხსნება და მასმედია პოზიტიურ მოვლენებზე გადაერთვება, მაგრამ ამის სურვილი კი გამოითქვა. პატრიარქის სიტყვებიდანაც გამოჩნდა, რომ არჩევნების წინ ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია.

"ჩვენ ვდგავართ არჩევნების წინაშე და თქვენ, ალბათ, გრძნობთ, თანდათან როგორ იძაბება ვითარება. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, მაგრამ თქვენ უნდა ეცადოთ სიტუაციის გაჯანსაღებას", - ბრძანა პატრიარქმა და ჟურნალისტებს ქართული ჟურნალისტიკის დღისადმი მიძღვნილი კვირეული მიულოცა.

"24 საათი"

ასოციაცია „თავისუფალი პრესის" განცხადება

ბელა მახარაძე

საქართველოს დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლები ერთიანდებიან საქართველოს გამომცემელთა და მაუწყებელთა ასოციაციაში - "თავისუფალი პრესა". ასოციაციის წევრები აცხადებენ, რომ კონკურენცია ხელს არ უშლის ურთიერთთანამშრომლობას ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ.

ასოციაცია "თავისუფალი პრესა" მზად არის, იბრძოლოს საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებისათვის, პრესის საგადასახადო მარწუხებისაგან გათავისუფლებისათვის, ჟურნალისტთა უფლებების დაცვისათვის, პროფესიული და ეთიკური ნორმების შემუშავებისათვის, რეგიონული მედიის განვითარების ხელშეწყობისათვის და სხვა.

ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, სოსო სიმონიშვილი: **"ჩვენს თვალწინ ხდება უამრავი შემთხვევა პრესაზე ზეწოლისა, მაგალითად - სამართალდამცავი ორგანოებიდან, საგადასახადოდან, უშიშროებიდან. მათგან დასაცავად ასოციაციას ეყოლება იურიდიული სამსახური, რომელიც ჟურნალისტთა სხვადასხვა სახის ზეწოლისგან დაცვას უზრუნველყოფს."**

ასოციაცია "თავისუფალი პრესა" არის ღია ორგანიზაცია და მასში გაწევრიანება შეუძლია დამოუკიდებელი მედიის ნებისმიერ ორგანიზაციას. ასოციაცია მოუწოდებს თანამშრომლობისაკენ ყველა მასობრივ საშუალებას, მესამე სექტორის წარმომადგენლებს, პოლიტიკურ სპექტრს, საზოგადოებას, ხალხს - ყველას, ვისაც გაცნობიერებული აქვს, რომ საქართველოს განვითარების მიმართულებები ახლა ისახება.

ასოციაციის ძირითადი მიზანია საქართველოში დამოუკიდებელი მედიის სხვადასხვა სახის შეურაცხყოფისაგან დაცვა, ასევე - ეთიკური ნორმების გათვალისწინებით, ჟურნალისტებზე ბოლო დროს გახშირებული ცილისწამებების აღკვეთა, რაც ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას უშლის ხელს.

"ჩვენ აღარ გვსურს, მედია მხოლოდ დაპირისპირების არენა იყოს; განსაკუთრებით - დღეს, როცა მომავალი საპარლამენტო არჩევნების მოახლოება საზოგადოებისათვის გაუსაძლისს ხდის სასიცოცხლო გარემოს", - აცხადებენ ასოციაციის წევრები და აღნიშნავენ, რომ ასოციაციაში გამორიცხული იქნება ყველანაირი მიკერძოება, ხოლო ასოციაციის წევრთა მიმართ პრეტენზიის შემთხვევაში ნებისმიერ პირს ექნება საშუალება, გამოხატოს საკუთარი პოზიცია. ასოციაცია კი სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს - პრესის წარმომადგენლის ან მომჩივანი პირის სასარგებლოდ.

„ივერია" - 126

126 წლის წინათ, ძველი სტილით 3 მარტს, გაზეთი "ივერიის" პირველი ნომერი გამოვიდა. გუშინ ჟურნალისტის სახლში შეკრებილი მედიის წარმომადგენლები ამ დღეს განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ.

"ჟურნალისტიკის დღედ 21 მარტს მიიჩნევდნენ. ამ დღეს გამოვიდა პირველი ქართულენოვანი გამოცემა - "საქართველოს გაზეთი". ჟურნალისტთა უმეტესობას მიგვაჩნდა, რომ ეს არ იყო ქართული გაზეთი. მას რუსები ედგნენ სათავეში და თავიანთი ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდნენ. ერთადერთი, რაც ამ გაზეთს ქართველებთან აკავშირებდა, ის იყო, რომ ქართულ ენაზე გამოდიოდა. მისგან განსხვავებით, გაზეთ "ივერიას" ქართველი ხალხის მედროშე, ილია ჭავჭავაძე უძღვებოდა", - აღნიშნა "ახალი ეპოქის" მთავარმა რედაქტორმა, თემურ მეტრეველმა. მისი აზრით, ეს დღეები იმისთვის არსებობს რომ, წელიწადში ერთხელ მაინც შეიკრიბონ მედიის წარმომადგენლები და ერთად შეაჯამონ თავიანთი მოღვაწეობის ნაკლი და წარმატებები.

ქართული ჟურნალისტიკის დღეების ორგანიზატორებმა ამ დღისთვის "ივერიის" სახელობის განსაკუთრებული პრიზი დააწესეს - ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. იგი ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პროფესორს, ბატონ ნოდარ ტაბიძეს გადაეცა. "მე ვარ ვაჟა ფშაველას, სერგეი მესხის და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრემიის ლაურეატი, მაგრამ ეს პრიზი განსაკუთრებით სასიამოვნო და საამაყოა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი სადოქტორო დისერტაცია გაზეთ "ივერიას" მიეძღვნა", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ნოდარ ტაბიძემ.

"24 საათი"

ინფორმაცია

ახალი ინფექცია - ჩვენ აეროპორტი გვიცავს!

მძიმე, მწვავე რესპირატორული სინდრომი (ფილტვების ანთების ახალი სახეობა), რომელმაც სამხრეთ აზიის ქვეყნებში 9 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, საქართველოსთვის საშიშროებას არ წარმოადგენს. ამის შესახებ განცხადებას დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე აკეთებს. მისი თქმით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო), ჯერჯერობით ვერ დაადგინა ინფექციის წარმოშობის მიზეზები. რაც შეეხება დაავადების გავრცელებას, დადგინდა რომ, იგი დაავადებულ ადამიანებთან მჭიდრო კონტაქტით გადადის. ამას ის ფაქტი ადასტურებს, რომ ინფექციის შედეგად ის ექიმები დაიღუპნენ, რომლებიც პნევმონიით დაავადებულებს მკურნალობდნენ. იმნაძის განმარტებით, საქართველო დაავადების გავრცელებისგან დაცულია იმით, რომ თბილისის აეროპორტში სპეციალური სანიტარული ზედამხედველობის სამსახური ფუნქციონირებს, რომელიც უცხო ქვეყნიდან შემოსულ მგზავრებს ამოწმებს. გარდა ამისა, სამხრეთ აზიის ქვეყნებიდან საქართველოში ძალიან იშვიათად შემოდიან ტურისტები. ფილტვების ანთების ახალი სახეობა სამხრეთ აზიის ქვეყნებში 13 მარტს გავრცელდა და დღეისათვის აღნიშნული ინფექციით 150-მდე ადამიანია დაავადებული. **ინტერ-პრესი**

დასამახსოვრებელი იუბილე

რუსთავში მცხოვრები 19 ათასამდე პენსიონერი, ომის ვეტერანი და განათლების სფეროს მუშაკი, მიმდინარე კვირას სოციალურ პოლისს მიიღებს. პროგრამა, რომელიც ქალაქის მერმა შეიმუშავა, ქალაქ რუსთავის 55 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ერთი წლის განმავლობაში იმუშავებს და უფასო სტომატოლოგიურ მომსახურებას, ელექტროკრანსპორტით მგზავრობას და თვეში სამჯერ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას ითვალისწინებს. პოლისის მფლობელები ასევე თავისუფლდებიან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისა და წყლის გადასახადებიდან. მოსახლეობის ამ კატეგორიისაგან განსხვავებით, რუსთავის 80-მდე საპატიო მოქალაქე ე.წ. "ოქროს პოლისს" მიიღებს, რომელიც 10 ათასი ლარის მომსახურებას ითვალისწინებს. სოციალური პოლისებისთვის საჭირო თანხები ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოფა, ნაწილს კი, კერძო სადაზღვევო კომპანია "ჰელიოსი" დააფინანსებს. **პრაიმ-ნიუსი**

მოკლედ

ზუგდიდი. ენგურის პიდროელექტროსადგურის პიკური დატვირთვით მუშაობის გამო, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა დღის საათებში ელექტროენერგიას ისევ ვერ იღებს. "ენგურჰესის" ადმინისტრაციის განმარტებით, შეფერხების მიზეზი წყლის დონის მინიმალურ ზღვრამდე შემცირება გახდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "ეი-ი-ეს თელასისადმი" დავალიანების გამო, გუშინ ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდათ დედაქალაქის მერიას, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, საკონსტიტუციო სასამართლოს შენობას, "საქინფორმსა" და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს. სადამსჯელო ოპერაციები კვლავაც გაგრძელდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თებერვალში იძულებით გამოცხადებული არდადეგების გამო, დედაქალაქის სკოლები შაბათსაც სწავლობენ. სამი შაბათი დღის განმავლობაში სწავლა ოთხშაბათის, ხუთშაბათისა და პარასკევის გაკვეთილების ცხრილით მიმდინარეობს, დანარჩენი ხუთი დღე კი საგაზაფხულო არდადეგების ხარჯზე აღდგება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. წლეულს 20 სექტემბრამდე მე-5 კლასელები ტესტირებას გაივლიან ქართულ ენაში - გრამატიკაში, ლექსიკაში, წერასა და კითხვაში. ტესტირება 400-მდე სკოლაში ჩატარდება. იგი მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის ხარვეზების გამოვლენასა და ამჟამინდელი სასკოლო პროგრამის და არა მოსწავლეთა შეფასებას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დედაქალაქის სკოლების პედაგოგებისთვის თებერვლის ხელფასების გაცემა შეფერხებით მიმდინარეობს. განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მანანა კობახიძის განცხადებით, ხელფასების დაგვიანება დედაქალაქის ბიუჯეტის დამტკიცების გაჭიანურებამ განაპირობა. **მედია-ნიუსი**

თამარაშვილი სტუმრისა და „მხოლოდ შექსპირის" მოლოდინშია

ეთერ მამულაშვილი

უახლოეს დღეებში სოფელში ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის აღდგენითი სამუშაოები დაიწყება. რეგიონის გამგეობის დაპირებით, მილიონი არა, მაგრამ, სულ ცოტა, ასი სამუშაო ადგილის შექმნის პერსპექტივა ნამდვილად არის. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, გამაგრება-აღდგენით სამუშაოებში მხოლოდ თამარაშვილელები დასაქმდებიან და მათ გვარიანადაც გადაუხდიან. სიმბოლურად გუშინ საძირკველიც გაითხარა. მუზეუმის ეზოში რამდენიმე ძირი ვარდის დასარგველად და მიწაზე ბარის დასარტყმელად კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად სოფელს პარლამენტარი გურამ შარაძეც ესტუმრა.

შარაძის გამოჩენამ სოფელი ააფორიაქა...

სამაჩაბლოში ათი წლის წინათ დატრიალებულმა ამბებმა, თითქმის, მთელი თამარაშვილი ცეცხლის ალში გახვია. სასწაულად გადარჩენილ ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმს სოფლელები ჩვილი ბავშვივით უვლიდნენ. 1998 წელს, როცა ყველაფერი მიწყნარდა, სოფლიდან რუსული სამხედრო ნაწილების გაყვანაზე დაიწყო საუბარი. მოულოდნელად, შუა ზაფხულის ერთ ღამეს დაუდგენელმა პირებმა მუზეუმის შენობა ააფეთქეს. ასაფეთქებელი ნივთიერება მაჩაბელთა ცნობილი მარნის ერთერთ ქვევრში იყო დამალული. აფეთქებას, უნიკალური მარნის გარდა, მაჩაბელთა საოჯახო თეატრი, ბიბლიოთეკა და საბანკეტო დარბაზიც შეეწირა.

მაჩაბელთა სასახლეში 57-ქვევრიან მარანს მნიშვნელოვანი ნაწილი ეკავა. ქვევრების დიდი ნაწილი ხუთასი და რვაასი ლიტრის ტევადობის ყოფილა. დაწურული ყურძენი საწნახელიდან წკრიალით წამოსულ ღვინოდ იქცეოდა და თანაბრად ავსებდა ყველა ქვევრს. ქვევრიდან ხელადა ღვინის ამოღებისას კი დანარჩენ 56 ქვევრსაც თანაბრად აკლდებოდა ღვინის მარაგი. თამარაშენელები ჩამოსულებს მაჩაბელთა მარანზე, ქვევრებსა და ღვინოებზე ათასნაირ ლეგენდას უყვებიან. მათ ნაამბობს თუ დავუჯერებთ, მაჩაბელთა სტუმრიან ოჯახს 300 ტონა ღვინო წლიდან წლამდე, ჰა და ჰა, თუ ყოფნიდა. საბანკეტო დარბაზი ერთდროულად ორას-სამას კაცს იტევდა. მაჩაბლებს წესად ჰქონიათ კვირაში ორჯერ ქეიფი – ეს ამ ოჯახის უცვლელი ტრადიცია იყო.

ამ ლეგენდა-ზღაპრებიდან დღეს მხოლოდ პატარა მიწურია დარჩენილი. შენობის ერთი ფლიგელი მთლიანად განადგურებულია, მეორე ნახევარი კი, სოფლელების ძალისხმევით, ჯერ კიდევ ფეხზე დგას. სახლ-მუზეუმი დღეს კულტურის სამინისტროს ბალანსზე ირიცხება, თუმცა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ჩვენი სეკვესტრირებული ბიუჯეტიდან მუზეუმისთვის ერთი თეთრიც არ გამოუყვიათ. წელს კი ბიუჯეტიდან მუზეუმისთვის მცირე თანხის გამოყოფა მაინც მოხერხდა. 150 000 ლარი, რომელიც პარლამენტარმა გურამ შარაძემ ფინანსთა სამინისტროს "გამოსტყუა", გუშინ მუზეუმის საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა. კულტურის სამინისტრო იმედოვნებს, რომ დასაწყისისთვის ეს საკამრისია, მერე... სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების და ქველმოქმედი ბიზნესმენების იმედი აქვს.

აღდგენით სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო-საპროექტო კომპანია "არქიტექსი" შეასრულებს. "სამუშაო ბევრია, ფული კი - ცოტა, თუმცა ამ პირობებშიც შეიძლება დიდი საქმის გაკეთება", - ამბობს კომპანიის არქიტექტორი, შალვა მელქაძე. პირველ რიგში, კომპანია საოჯახო თეატრისა და მარნის აღდგენას გეგმავს. სოფლის გამგეობა უფრო შორს მიდის და მუზეუმისთვის რამდენიმე ფუნქციურ დატვირთვაზეც საუბრობს. თუკი ყველაფერი კარგად იქნება, კინოს, თეატრისა და სხვა ბევრი რამის გარეშე დარჩენილ თამარაშენელებს თეატრი ნამდვილად ექნებათ. მაჩაბელთა საოჯახო თეატრში, ყოველკვირეული წარმოდგენების პარალელურად, სოფლის გამგეობა საერთაშორისო ფესტივალის - "მხოლოდ შექსპირის" ჩატარებასაც გეგმავს.

მანამდე კი სოფელი ჩვეული რიტმით განაგრძობს ცხოვრებას. თამარაშენელების თქმით, საერთო ჯამში სოფელში, კარგა ხანია, მშვიდობა და სიწყნარეა. ათასში ერთხელ "დაუდევარ" მეზობელს ქათამი, დიდი-დიდი, ძროხა თუ დაეკარგება.

სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად სოფელში საავადმყოფო არ არის, სკოლაც, ევროკავშირის ეგიდით, ახლახან აშენდა. თავშესაქცევი და გასართობი ადგილი სოფლის ბირჟაა, სადაც ძირითადად კარტის, დომინოს ან ნარდის თამაშით ერთობიან. თამარაშენელები ბილიარდის, დისკო-ბარების თუ სპორტული მოედნების უქონლობაზე არ წუწუნებენ. ის, რაც, სოფლელების თქმით, დღეს თამარაშენს ყველაზე მეტად აკლია - ცენტრალური ხელისუფლების ყურადღებაა. "მათი ჩამოსვლა და თითო-ოროლა თბილი სიტყვის მეტი ჩვენ არაფერი გვინდა, ერთ ლუკმა პურს, როგორც იქნება, ისედაც ვიშოვით", - შემოგვჩივლეს სოფლელებმა.

დანგრეულ-გადაბუგულ სოფელში გუშინ პარლამენტარ გურამ შარაძის გამოჩენამ დიდიან-პატარიანად ყველა გაახალისა და ააფორიაქა. თამარაშენელთათვის თბილისიდან სტუმრის, მითუმეტეს ხელისუფლების წარმომადგენლის ჩასვლა ქორწილის ან ოჯახში ვაჟის დაბადების ტოლფასი ყოფილა. ამას წინათ სოფელში ნოდარ ნათაძე ჩასულა. წვიმისა და საშინელი ქარის მიუხედავად, სოფლის ცენტრი რამდენიმე წუთში ქოლგიანი მასპინძლებით აივსო. იგივე მოხდა გუშინაც.

„ქართული ლიგა" იკრიბება

ამა წლის იანვარში შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია "ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი), რომლის დამფუძნებლებს, მათი თქმით - ერთი დიდი მიზანი ამოძრავებთ: ჩვენს საზოგადოებაში ოდესღაც ტრადიციული, მაგრამ ამჟამად დეფიციტური ეროვნული ღირებულებების აღდგენა. ლიგის დამფუძნებლები გია ყარყარაშვილი, კახა გველესიანი, გიორგი გაჩეჩილაძე, გიგა მახარაძე და ზაზა დვალი იღვაწებენ იმისთვის, რომ ქვეყანაში ეროვნული ღირებულებების მატარებელი მორალური უმრავლესობა ჩამოყალიბდეს.

ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, მათი ფიზიკური, სოციალური და მორალური რეაბილიტაცია, დაღუპულთა და დაკარგულთა ოჯახებზე ზრუნვა ქართული ლიგის ყოველდღიური საქმიანობა იქნება, მაგრამ იგი ამით არ დაკმაყოფილდება.

"ქართული ლიგა" აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ნატოში სამხედრო ინტეგრაციის პროცესებში, ჯარისა და საზოგადოების ერთმანეთთან დაახლოებაში და ყველა იმ ღირებულების აღდგენაში, რითიც იკვებება ეროვნული ღირსება. ეს ღირებულებებია: მხედრულ სულზე დაფუძნებული მორალური სიტყვა არ წამოგცდეს რომ შენ დაიღალე

"ქართული ლიგის" გეგმების წარდგენა

კოდექსის ერთგულება; ზოგადსაკაცობრიო, ეროვნული და პიროვნული იდეალების ერთიანობა; ეროვნული და პიროვნული ღირსების თვითშეგნება; ერთგულება და პიროვნული პასუხისმგებლობა.

დღეს, 14 საათზე სპორტის სასახლეში, ვეტერანთა თავყრილობაზე 7 ათას დელეგატს ელოდებიან. ვეტერანები, დაღუპულთა და დაკარგულთა ოჯახის წევრები, ინტელიგენცია, პოლიტიკური და დიპლომატიური საზოგადოება ერთი პირითა და ერთი სულით გაერთიანდებიან ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემის გარშემო.

დელეგატებს მისალმება გამოუგზავნეს ამერიკელმა სენატორმა მაკკეინმა და ამერიკა-ნატოს ორგანიზაციის პრეზიდენტმა ბრიუს ჯექსონმა. მისალმებით გამოვლენ აფხაზეთის მებრძოლთა საზოგადოების თავმჯდომარე გიორგი მხეიძე, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების კომისიის წარმომადგენელი ვლადიმერ დობორჯგინიძე, სსრკ-ს გმირი მფრინავი შოთა შურღაია, თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე და სხვები. მოხსენებას გააკეთებენ გია ყარყარაშვილი და კახა გველესიანი.

ბოლოს წაიკითხავენ სპეციალურად მომზადებულ ოთარ ჭილაძის მიმართვას.

"24 საათი"

ბიუჯეტის კანონს ცვლილება „ემუქრება"

გუშინ, განათლების მინისტრმა ალექსანდრე კარტოზიამ პრესკონფერენციაზე ახალი კანონპროექტის შესახებ განაცხადა. განათლების სამინისტრო ვალდებულად თვლის თავს მოამზადოს კანონპროექტი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ და თხოვნით მიმართოს პრეზიდენტს, რათა მან განსახილველად გადასცეს საქართველოს პარლამენტს. საკითხი განათლების მუშაკთა "არშემცირებას" ეხება.

დალი კუპრავა

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიმდინარე წლის პირველი ივნისიდან მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების შესახებ და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკთა 20-პროცენტიანი შემცირების გადაწყვეტილების ტანდემი განათლების სისტემაში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

განათლების სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ განათლების მუშაკთა ხელფასის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცალმხრივად საბიუჯეტო კანონის მე-19 მუხლში არ იგულისხმება საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები, მაგრამ თუ საარსებო მინიმუმს გაუთანაბრდება ხელფასი, განათლების სფეროს შესაძლოა სერიოზული საფრთხე დაემუქროს.

სპეციალისტთა დასკვნით, როგორც სამინისტროს მიერ გავრცელებულ პრესრელიზშია აღნიშნული, "მინიმალური ხელფასის ხუთჯერ გაზრდა შესაძლოა მიღწეულ იქნას მხოლოდ შემდეგი ორი გზიდან ერთ-ერთის არჩევით: ან ფულის ემისია და ინფლაცია, ან მასობრივი შემცირებები და უმუშევრობის გაზრდა. საეჭვოა, რომ საქართველოს პარლამენტი დაეთანხმოს პირველს-ემისიას და ინფლაციას, ყოველ შემთხვევაში, მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან სამ თვეში გათანაბრების ინიციატორები ამას გამორიცხავენ. ამიტომ, სავარაუდოა, რომ ისინი მასობრივ შემცირებას მისცემენ უპირატესობას... თუ მოვლენები ამ სცენარით განვითარდება, მაშინ ძალზე საეჭვოა, რომ განათლების სისტემა დაცული აღმოჩნდეს მასობრივი შემცირებებისაგან, რაც გამოუსწორებელ - საზიანო შედეგს მოიტანს მოზარდი თაობისათვის და მთლიანად ქვეყნისათვის".

"ამგვარი პროგნოზის გათვალისწინებით, განათლების სამინისტრო ვალდებულად თვლის თავს მოამზადოს კანონპროექტი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ და თხოვნით მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს, რათა პრეზიდენტმა ეს კანონპროექტი განსახილველად გადასცეს საქართველოს პარლამენტს.

კანონპროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მე-19 მუხლში გაჩნდეს ჩანაწერი იმის შესახებ, რომ 2003 წლის 1 ივნისიდან საშტატო რიცხოვნობის შემცირება არ შეეხება საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებს", - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

განათლების მინისტრს იმედი აქვს, რომ ბიუჯეტის კანონში ახალი ჩანაწერი გაჩნდება. თუ როგორ შეაფასებს კანონპროექტს განათლების სამინისტროს ოპოზიციური ძალა, მინისტრის თქმით, ამის პროგნოზირება ძნელია.

პოლიცია წვრილფეხა „კანონიერ" ქურდებს დაერია

პირველი გვერდიდან

ალეკო ტაბატაძე, ზაზა ფერაძე და მალხაზ ლიპარტია პრესკონფერენციაზე შსს-ში.

"სიო", "სიუ", "ქოჩორა" და სხვა კრიმინალები უკვე წინასწარი დაკავების საკნებში არიან გამომწყვდეულნი. შსს-ს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის მოადგილის ზაზა ფერაძის ინფორმაციით, გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად გასულ კვირას საქართველოში დააკავეს 16 კანონიერი ქურდი, მათგან 7 - თბილისში. გარდა ამისა, შსს-ს წვრილფეხებიც - 52 ძებნილი დაუკავებია, რომელთაგან 6 განზრახ მკვლელობისთვის იძებნებოდა.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე დავით კეკუა გასულ კვირას ნარკოტიკების რეალიზატორთა ჯგუფის დაკავებას ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ოპერაციად მიიჩნევს. ოპერაციის შედეგად პოლიციამ კილოგრამზე მეტი ნარკოტიკული ნივთიერება ოპიუმი ამოიღო. ჩატარებული კვირეულის "ნადავლია" ავტომობილების გამტაცებელთა 5 ჯგუფის დაკავება, რომელთაგან ორი - ნოზაძისა და ზარაგუას სახელით ცნობილი - მანქანის გატაცებების სიმრავლით გამოირჩეოდნენ.

ჟურნალისტებს ანგარიში ჩააბარა ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსმა ალეკო ტაბატაძემაც. გარდა კეკუას მიერ მოხსენიებული ერთი კილოგრამი ოპიუმისა, გასულ კვირას ნარკომებრძოლებს, თურმე, 2 კილოგრამზე მეტი ნარკოტიკული ნივთიერება ამოუღიათ და 10 დღეში 5 ნარკორეალიზატორიც დაუპატიმრებიათ. თუმცა, მიუხედავად ბიუროს თანამშრომელთა მიერ გაჩაღებული ნარკომომისა, ალეკო ტაბატაძის ინფორმაციით, თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში ოპიუმის, მეტადონის, მარიხუანასა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების შემოდინებამ იმატა. მთავარი ნარკომებრძოლი აცხადებს, რომ ნარკოტიკები, ძირითადად, აზერბაიჯანიდან – წითელი ხიდიდან შემოდის. ალეკო ტაბატაძე მისი ბიუროს წარმატებად მიიჩნევს "შავი სამყაროს" წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის შედეგს. კერძოდ, იმას, რომ 16 "კანონიერი" ქურდიდან 11 ნარკოტიკების შენახვა-მოხმარებისთვისაა დაპატიმრებული. "კანონიერ ქურდთა უმრავლესობა ნარკოტიკების მომხმარებელია და ამიტომაც მათი დაკავება ამ დანაშაულისთვის მოხდა; სხვა დანაშაულზე სხვამ აგოს პასუხი," – აცხადებს ალეკო ტაბატაძე.

სხვათა შორის, უკვე არავისთვისაა საიდუმლო, რომ "კანონიერ" ქურდთა დაპატიმრების ერთ-ერთი ტრადიციული მეთოდი სწორედ ნარკოტიკისა და იარაღის "ჩადებაა", რადგან სამართალდამცველები "შავი სამყაროს" ლიდერებს კანონიერი მეთოდებით ვერ მოიხელთებენ. ერთიცაა, გასული კვირის პოლიციური რეიდის მსხვერპლი არც ერთი მსხვილი "კანონიერი" ქურდი არ გამხდარა. ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების ბოსების დაჭერა სამართალდამცველებს არ ძალუძთ. ჩვენი ინფორმაციით, რეიდის დაწყებამდე კრიმინალური სამყაროს ზოგიერთმა ლიდერმა თავი რუსეთს შეაფარა, ზოგი კი კვლავაც მშვიდად აგრძელებს საქართველოში საქმიანობას და მათი ხელშეუხებლობის "იმუნიტეტი" პოლიციამ ვერ დაარღვია.

"ვერ გეტყვით, არ ვიცით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე კომენტარის გაკეთება არ შეგვიძლია, გენერალურ პროკურატურას მიმართეთ," – შსს-ს მაღალჩინოსნები ასეთ მოკლე პასუხებს იძლეოდნენ ზაზა ჯიქიას გატაცების საქმესთან დაკავშირებით. თუმცა, მათ არც დაადასტურეს და არც უარყვეს გავრცელებული ვერსია, რომ ბონდო ჯიქიას ვაჟმა, რომელსაც სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა, გატაცება თავად დაგეგმა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გამოძიება ამ ვერსიაზე სერიოზულად მუშაობს. მეტიც, საგამოძიებო ჯგუფისთვის ეს ვარაუდი ერთ-ერთ პრიორიტეტულ ვერსიადაა მიჩნეული.

ბარისახოსთან დიდძალი იარაღის სამალავი აღმოაჩინეს

გუშინწინ, მცხეთა-მთიანეთის უშიშროების რეგიონული სამსახურის თანამშრომლებმა, ბარისახოდან, დაახლოებით, 20 კილომეტრის მოშორებით, სოფელ ბლოს ტერიტორიაზე დიდი არსენალი აღმოაჩინეს. ვინ დამალა საკმაოდ სერიოზული შეიარაღება – ავტომატები, ხელყუმბარები, ნაღმმტყორცნები, სხვადასხვა სახის ასაფეთქებელი მოწყობილობები და საკმაოდ დიდი რაოდენობის საბრძოლო ვაზნები საგულდაგულოდ გათხრილ სამალავში, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. თუმცა, უშიშროების სამინისტროში აცხადებენ, რომ აღმოჩენილი იარაღის საცავი, სავარაუდოდ, პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაციის დაწყების დროს შეიქმნა.

"ჩვენი აზრით, სოფელ ბლოს ტერიტორიაზე საცავში იარაღი იმ დროს ჩამარხეს, როცა პანკისში ანტიტერორისტული ოპერაცია მიმდინარეობდა და ხეობიდან გარკვეული ჯგუფები გადიოდნენ", – ასეთია უშიშროების სამინისტროს მიერ გაკეთებული ოფიციალური კომენტარი. "ჩვენი ინფორმაციით, უფრო დიდი საცავი კიდევ არის მთებში, მაგრამ დიდთოვლობის გამო, ჯერჯერობით, ვერ ვახერხებთ საძიებო სამუშაოების ჩატარებას" – განაცხადა "24 საათთან საუბრისას" უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკა ლალიაშვილმა.

"ჭიათურმანგანუმის" ერთ-ერთ მმართველს ტერაქტი მოუწყვეს

ორი დღის წინ, ჭიათურაში, დაახლოებით საღამოს ათ საათზე, სააქციო საზოგადოება "ჭიათურმანგანუმის" სარეაბილიტაციო სამსახურის მმართველის გიორგი ლეჟავას საცხოვრებელ სახლში დაუდგენელმა პირებმა ასაფეთქებელი მოწყობილობა ისროლეს. ასაფეთქებელი ნივთიერება მეორე სართულის აივანზე დაეცა და აფეთქებამ მხოლოდ ფანჯრის მინები ჩაამსხვრია. ჭიათურის რაიონის პროკურორის ალეკო ცუცქირიძის ინფორმაციით, ასაფეთქებელი ნივთიერება იმდენად მცირე სიმძლავრის იყო, რომ მას ნგრევის გამოწვევა არ შეეძლო. პროკურორი არ გამორიცხავს, რომ აფეთქება ლეჟავას შეშინების მიზნით მოხდა. მაგრამ ბოროტმოქმედებს ამგვარი ქმედებით რისი მიღწევა სურდათ გამოძიებისთვის, ჯერჯერობით, დაუდგენელია.

დღეისათვის დაკითხულები არიან ლეჟავას ოჯახის წევრები, რომლებიც აფეთქების წინა დღეებში ვინმეს მხრიდან მუქარას ან რაიმე სახის ზეწოლას კატეგორიულად უარყოფენ. "ჭიათურმანგანუმის" სარეაბილიტაციო სამსახურის მმართველი მომხდარს ვერ უკავშირებს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას. თუმცა, პროკურორი არ გამორიცხავს, რომ დაზარალებულები გამოძიებას გარკვეულ ინფორმაციას უმალავენ.

ერთი სიტყვით, ლეჟავების ოჯახის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტი ამ ეტაპზე სამართალდამცველებისთვისაც და დაზარალებულებისთვისაც სრული ბურუსით არის მოცული. ცუცქირიძის განცხადებით, ამ ეტაპზე იკითხებიან ლეჟავას მეზობლები და არ არის გამორიცხული, რომ გამოჩნდეს ისეთი პიროვნება, რომელმაც დამნაშავეები დაინახა.

მოკლედ

თბილისი. ზუგდიდის მე-4 საპყრობილეში პატიმარმა პაატა ნოდიამ, პროტესტის ნიშნად, გუშინ შიმშილობა გამოაცხადა და პირი ამოიკერა. 38 წლის ნოდიას ბრალად ედება ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება. ბრალდებულს მიაჩნია, რომ უდანაშაულოა და პროტესტს გამოთქვამს გამოძიების არაობიექტურობის გამო. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროსა და გურიის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა კიდევ ერთი "კანონიერი ქურდი", ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში მცხოვრები 38 წლის გიორგი ჟღენტი დააკავეს. შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ჟღენტი პოლიციამ თბილისში დააკავა, მას 0,35 გრამი ჰეროინი აღმოაჩნდა. დაკავებისას ჟღენტი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ თბილისის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს მკვლელობისათვის ძებნილი ირაკლი ხომერიკი. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურის ცნობით, 22 წლის ირაკლი ხომერიკს ბრალად ედება ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დანით, თბილისში მცხოვრები ბექა ბაქრაძის მკვლელობა. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც თბილისის პროკურატურა იძიებს. **24 საათი.**

■ ■ ■

თბილისი. შსს-ს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა დააკავეს ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი, თბილისში მცხოვრები, 48 წლის მიმოზა კაკაჩია. შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, კაკაჩიას ბინიდან სამართალდამცავებმა სარეალიზაციოდ გამზადებული, 332 "ჩეკად" დაფასოებული 78,6 გრამი ჰეროინი ამოიღეს. ტარდება ღონისძიებები ნარკოტიკების შემომტანი პირველწყაროს დადგენა-დაკავების მიზნით. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. „კომანდოს" ბატალიონიდან გაქცეული ჯარისკაცების - მამუკა ხუროშვილის, დავით გეგენავას, გიორგი აშქარელისა და ემზარ ბერულავასთვის ჯარიმის დაკისრების მოთხოვნით, თავდაცვის სამინისტროს სასამართლოსთვის ჯერ არ მიუმართავს. ამ ეტაპზე მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვების გამოა აღძრული. თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, თუ დაქირავებული ჯარისკაცი, პირადი ინიციატივით ან ბრალეულობით, შეწყვეტს კონტრაქტს, იგი ვალდებულია, ჯარიმის სახით აანაზღაუროს სწავლების პერიოდში მასზე დახარჯული თანხა. ჯერ კიდევ გასულ წელს, კონტრაქტების გაფორმებამდე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში აცხადებდნენ, რომ ამერიკული პროგრამით თითოეული ჯარისკაცის სამთვიანი მომზადება 25 ათასი დოლარი ჯდება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

ყაზბეგი. შს სამინისტროს კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ყაზბეგში დააკავეს 42 ათასი ლარის კონტრაბანდული ტრანზიტული ტვირთი – შვიდი ცისტერნა 120 ტონა კონიაკის სპირტი, რომელიც საფრანგეთიდან დაღესტანში უნდა გადაეტანათ. ტვირთს არავითარი დოკუმენტაცია არ ახლდა და ქართველი სამართალდამცველები გაოცებას გამოთქვამენ, როგორ ჩამოაღწია ცისტერნებმა საქართველომდე. **24 საათი.**

■ ■ ■

თბილისი. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ყვარლის რაიონის პოლიციამ დააკავა ამავე რაიონში მცხოვრები, 1982 წელს დაბადებული თენგიზ ტიღიაშვილი და ოთხჯერ ნასამართლევი, ეგრეთ წოდებული "კანონიერი ქურდი" - 1964 წელს დაბადებული ზაზა ლურსმანაშვილი. მათ ყვარლის რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, თურგაანის ტყეში დანით მუცელში დაჭრეს ყვარელში მცხოვრები მამუკა ჭამიაშვილი და, თვითმკვლელობის იმიტაციის მიზნით, თოკით ხეზე ჩამოკიდეს. **მედია-ნიუსი.**

ომბუდსმენი ბოდიშის მოხდას არ აპირებს

სოფიკო ჩხაიძე

საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი გია ჯიქია სახალხო დამცველისგან სასამართლოს მიერ დაკისრებულ ბოდიშის მოხდას, შესაძლოა, ხუთი დღე კი არა, ხუთი თვეც ელოდოს. მეტიც - არ არის გამორიცხული, მოლოდინმა სულაც არ გაუმართლოს.

თინათინ ხიდაშელი და ნანა დევდარიანი გადაწყვეტილებით უკმაყოფილონი არიან

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თამაზ ყაჭეიშვილის გადაწყვეტილებას სახალხო დამცველის ადვოკატმა "ორიანზე შესრულებული" უწოდა, სამაგიეროდ, გია ჯიქიას ინტერესების დამცველი მათი სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით სიხარულს ვერ მალავდა და სარჩელის დაუკმაყოფილებელ პუნქტებს უმნიშვნელოდაც კი მიიჩნევდა. თავად მოპასუხე ომბუდსმენი კი, რომელიც მოსარჩელისგან განსხვავებით, სასამართლოს ყველა სხდომას ესწრებოდა, მიიჩნევს, რომ ეს პროცესი მან კი არა, საზოგადოებამ წააგო.

როგორც მოგეხსენებათ, სახალხო დამცველმა მთავარი სამხედრო პროკურორი იარაღის კონტრაბანდაში, სხვადასხვა დოკუმენტების გაყალბებასა და კორუფციაში დაადანაშაულა და თანამდებობის შეუფერებლობისთვის გენერალურ პროკურორს მისი თანამდებობიდან გათავისუფლება მოსთხოვა. ბრალდებებით შეწუხებულმა სამხედრო პროკურორმა დევდარიანს სასამართლოში უჩივლა, ოღონდ პატივისა და სამსახურებრივი რეპუტაციის შელახვისათვის და არა ცილისწამებისთვის, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია და შესაბამისი გამოძიების ჩატარებასაც მოითხოვს. გამოძიების ჩატარება კი ნიშნავდა, რომ ჯიქიას ბრალეულობა-უბრალოება მტკიცებულებების საფუძველზე უნდა დადასტურებულიყო. თუმცა, პატივისა და სამსახურებრივი რეპუტაციის შელახვისთვის წამოწყებული სამოქალაქო სარჩელის გამო გამოტანილ გადაწყვეტილებაშიც მოსამართლემ ომბუდსმენს სწორედ ჯიქიას დამნაშავეობის დამადასტურებელი მასალების ვერწარდგენა უსაყვედურა და სახალხო დამცველს სამხედრო პროკურორისთვის ხუთ დღეში სამჯერ ბოდიშის მოხდა დააკისრა: ერთხელ - "ჯორჯიან თაიმსის" საშუალებით, იმის გამო, რომ დევდარიანმა გია ჯიქიას დანაშაულებში მონაწილეობა ამ გაზეთში დაბეჭდილ ინტერვიუში დააბრალა, მეორეჯერ – "ახალ თაობაში", სადაც არამარტო ჯიქიასთვის დანაშაულების ჩადენის მიწერისთვის უნდა მოიხადოს ომბუდსმენმა ბოდიში, არამედ მის ბიზნესზე საუბრისთვისაც და მესამეჯერ – "რეზონანსში", რადგანაც ამ გაზეთის საშუალებით მან სამხედრო პროკურორის მიერ დოკუმენტების გაყალბების შესახებ გააკეთა განცხადება. მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ ნანა დევდარიანი ბოდიშის მოხდას საერთოდ არ აპირებს. ჯერ ერთი, დევდარიანი მიიჩნევს, რომ მას ჯიქიას ბრალეულობის დამადასტურებელი დოკუმენტები ჰქონდა, მეორეც - ომბუდსმენი სამხედრო პროკურორის მაკომპრომეტირებელი ყველა მოსაზრების გამოთქმისას გენერალურ პროკურორს მიმართავდა, რათა ეს უკანასკნელი ხელქვეითის საქმიანობაში გარკვეულიყო.

"სახალხო დამცველი ვალდებულიც კია, რომ მისთვის ცნობილი ყველა შემაშფოთებელი ფაქტი საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანოს", - ამბობს დევდარიანის ადვოკატი თინათინ ხიდაშელი. ამიტომაც:**"თუ საჭირო გახდა, სტრასბურგის სასამართლომდეც მივალ"**, - აცხადებს სახალხო დამცველი, თუმცა, ვიდრე ევროპულ მართლმსაჯულებას მიმართავდეს, იგი ბედის ცდას საოლქო სასამართლოში აპირებს. თუ საოლქომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, დევდარიანი უზენაეს სასამართლოს მიმართავს და, მხოლოდ საქართველოში სიმართლის ვერდამტკიცების შემთხვევაში, გეზს სტრასბურგისკენ აიღებს.

რაც შეეხება გია ჯიქიას, ის სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილია და ამბობს, რომ **"სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სახალხო დამცველის, ისევე, როგორც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის, უფლებაა. მე საპრეტენზიო არაფერი მაქვს, თუმცა ჩემი ოპონენტის არგუმენტები არადამჯერებელი და არარეალურია"**.

„ავტორიტეტული დამნაშავეები და ავტორიტეტდაკარგული ხელისუფლება

ბექა სისაური
ქუთაისი

ხელისუფლების წარმომადგენლები და ქურდები ახალ წელს ერთად ხვდებიან

ძიების მასალების მიხედვით, 2003 წლის პირველ იანვარს, დაახლოებით 20 საათზე, შპს "საბას" დამფუძნებელმა და ფაქტობრივმა მმართველმა, ქუთისის ვიცე-მერმა დავით სანიკიძემ, მერიის კულტურის სამსახურის უფროს ზაზა კოლელიშვილთან ერთად, რესტორან "ტირიფებ-ის" (რომელიც ასევე დავით სანიკიძეს ეკუთვნის) საბანკეტო დარბაზში, მსახიობ დუტა სხირტლაძისა და სხვა შემსრულებელთა მონაწილეობით, საახალწლო საღამო მოაწყო. სუფრაზე მიწვეულნი იყვნენ ქუთაისის მერი ნუგზარ ფალიანი, პირველი ვიცე-მერი ონისე უგრეხელიძე, წყალთა მეურნეობისა და ენერგეტიკის მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ ყურაშვილი, საკრებულოს წევრები და სხვა თანამდებობის პირები. რესტორნის ადმინისტრაციამ საღამოზე დასასწრები ბილეთებიც კი გაყიდა და სტუმრებიც მაგიდების მიხედვით გაანაწილა. შედეგად, მე-16 მაგიდასთან მოხვდნენ ქუთაისის საოლქო სასამართლოს შვიდი და უზენაესი სასამართლოს ორი მოსამართლე და წყალტუბოს სასამართლოს თავმჯდომარე. მოსამართლეთა გვერდით მაგიდაზე აღმოჩნდნენ "კანონიერი ქურდები" გაიოზ ზვიადაძე, ვარლამ კუხიანიძე (მეტსახელად "ვატია"), ზვიად დარსაძე, მათი მეუღლეები და გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირები. საღამოს დაწყებიდან, დაახლოებით, საათნახევრის შემდეგ ქურდებმა მოსამართლეები სცემეს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე ზაალ მარუაშვილმა გაიოზ ზვიადაძის სუფრასთან მყოფ ერთ-ერთ მანდილოსანს ცეკვა შესთავაზა, უარის მიღების შემდეგ კი თავის კოლეგებთან დაბრუნდა. გავრცელდა ხმები, რომ მარუაშვილმა ქალბატონს ცეკვა უტაქტო ფორმით მოსთხოვა, თუმცა აღნიშნულ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს როგორც გამოძიება, ასევე დაზარალებული მოსამართლეები.

გამოძიების მასალებში განვითარებული მოვლენები შემდეგნაირადაა აღწერილი: **"გაიოზ ზვიადაძემ, ვარლამ კუხიანიძემ და გამოძიებით დაუდგენელმა კიდევ ხუთმა პირმა, ზაალ მარუაშვილის ცემა გაიზრახეს. ვარლამ კუხიანიძემ ჩხუბის დაწყებისთვის ხელოვნური მიზეზის შექმნის მიზნით, მარუაშვილს, მოსამართლე ვერა დოლიძესთან ცეკვისას, გამომწვევად ბეჭი გაარტყა, თუმცა ამ გზით მარუაშვილი კამათში ვერ გამოიწვიეს, რის შემდეგაც იგი დარბაზიდან გაიხმეს. მარუაშვილის დარბაზიდან გაყვანა საეჭვოდ მიიჩნია ვერა დოლიძემ, რომელმაც საოლქო სასამართლოს მოსამართლე დავით სვანაძეს სიტუაციაში გარკვევა სთხოვა. ამ მიზნით ორივე მოსამართლე კუხიანიძესა და მარუაშვილს დაედევნა. იმისათვის, რომ "კანონიერ ქურდებს" განზრახვაში ხელი არ შეშლოდათ, მოსამართლეებს საბანკეტო დარბაზის გასასვლელში გზა გადაუღობეს გამოძიებით დაუდგენელმა პირებმა. მიუხედავად ამისა, დავით სვანიძემ ხელის კვრით ჩამოიცილა უცნობი პირები და მარუაშვილი შეაჩერა. ამით გაღიზიანებულმა "ვატიამ" ზაალ მარუაშვილს სახეში მუშტი დაარტყა, ამ უკანასკნელს ცხვირიდან სისხლი წასკდა. მოძალადის ჩამოცილების მიზნით, დავით სვანიძე ვარლამ კუხიანიძეს წინ გადაუდგა, რომელმაც მუშტი სახეში მასაც დაარტყა. სისხლი დავით სვანიძესაც წასკდა. მომდევნო მუშტი კი სვანიძემ ხელის კვრით აიცილა. ამ უკანასკნელს ვერა დოლიძე გადაეფარა, მაგრამ კუხიანიძე არც ქალს მოერიდა და იგი ხელის კვრით კედელზე მიანარცხა."**

უნიათო პოლიციელები და ქუთაისის მარჯვე ვიცე-მერი

აღნიშნული შემთხვევის შესახებ ქუთაისის პოლიციის სამმართველოში შეტყობინება ღამის 2-ის ნახევარზე მივიდა. რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორან "ტირიფებიდან" შველას ითხოვდნენ. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციას რესტორნის თანამშრომლებმა ახსნა-განმარტების მიცემაზე უარი განუცხადეს. უფრო მეტიც, პროკურატურის მასალებში ნათქვამია, რომ მათ წინ ქუთაისის ვიცე-მერი, პოლიციის პოლკოვნიკი დავით სანიკიძე გადაელობა, პოლიციელებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და მის საკუთრებაში მყოფი რესტორნის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა. პოლიციელები უკან ისე გამობრუნდნენ, რომ შეტყობინების მიზეზი ვერ დაადგინეს.

3 იანვარს მომხდარის შესახებ საქმე ქუთაისის საოლქო პროკურატურამ აღძრა. დადგინდა დანაშაულში მონაწილე პირები - "კანონიერი ქურდები" გაიოზ ზვიადაძე და ვარლამ კუხიანიძე.

საქმის "ჩაწყობაში" ქუთაისის მერიის ჩინოსნებიც ერევიან

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ "კანონიერი ქურდი" გაიოზ ზვიადაძე დარწმუნებული იყო, თავისი კრიმინალური ავტორიტეტის საშუალებით, დაზარალებულ მოსამართლეებს მისთვის სასურველი ჩვენების მიცემაზე დაიყოლიებდა. გამოძიების მასალებში ნათქვამია, რომ **"ამ მიზნით 2003 წლის 4 იანვარს ზვიადაძემ დახმარება სთხოვა თავის მეგობარს, ქუთაისის მერიის წყალთა მეურნეობისა და ენერგეტიკის მართვის სამსახურის უროსს თეიმურაზ ყურაშვილს, რომელიც მომდევნო დილით შეხვდა დაზარალებულ ვერა დოლიძეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა კატეგორიული უარი განუცხადა და როგორც ზვიადაძესთან შეხვედრაზე, ასევე მისთვის სასარგებლო ჩვენების მიცემაზე. აღნიშნულის თაობაზე ყურაშვილმა გაიოზ ზვიადაძეს ამცნო, მაგრამ საკუთარი "ავტორიტეტით" დაიმედებული გაიოზ ზვიადაძე 2003 წლის 5 იანვარს, "კანონიერ ქურდ" ზვიად დარსაძესთან ერთად, იმერეთის საოლქო პროკურატურაში გამოცხადდა, სადაც იგი დააკავეს. ვახტანგ კუხიანიძეზე კი ძებნა გამოცხდდა."**

ზვიადაძის წინააღმდეგ საქმე აღძრულია ხულიგნობისა და სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანებების მიყენების მუხლით, რომელიც ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საქმე ქუთაისის საოლქო სასამართლოს რამდენიმე დღის წინ გადაეგზავნა და, ჯერჯერობით, განხილვის დღე არ დაუნიშნავთ. სავარაუდოა, რომ ადვოკატები ქუთაისის საქალაქო და საოლქო სასამართლოებისადმი აცილებას მოითხოვენ.

სპეცდანიშნულების რაზმი - „დელტა"

სპეცოპერაცია ჰერუში იაპონიის საელჩოს გათავისუფლების დროს.

აშშ-ის არმიის ერთ-ერთი ყველაზე გასაიდუმლოებული რაზმი. საბრძოლო გამოცდილება მიღებული აქვს გრენადაში, პანამაში, სომალიში, ერაყსა და ბალკანეთში. დაზუსტებული მონაცემები ამ რაზმის თაობაზე არ არსებობს. ჟურნალ "ნიუსუიკის" შეფასებებით, "დელტა" თავის რიგებში დაახლოებით 1300 მებრძოლს ითვლის, ხოლო ჟურნალ "უცხოეთის სამხედრო მიმოხილვის" ცნობით, რაზმის საერთო რაოდენობა 400 კაცს არ აღემატება.

შეიქმნა 1977 წელს. რაზმის დამფუძნებლად და პირველ ხელმძღვანელად ასახელებენ არმიის პოლკოვნიკ ჩარლზ ბეკვითს. მუდმივი დისლოკაციის ადგილს წარმოადგენს ჩრდილოეთ კაროლინის შტატი.

ცნობები დელტას მიერ ჩატრებული ოპერაციების შესახებ:

1979 წელი – გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან ერთად ანტიტერორისტული ოპერაცია პანამაში.

1983 წელი – მოულოდნელი სპეცოპერაცია გრენადაში, სადაც ვერტმფრენების მეშვეობით შეძლეს ძირითადი აეროდრომის ხელში ჩაგდება.

1984 წელი – ტერორისტების მიერ გატაცებული ქუვეითის ავიაკომპანიის თვითმფრინავის გათავისუფლების ოპერაცია. ტრაქტის შედეგად ორი ამერიკელი დაიღუპა.

1985 წელი – კვიპროსში გატაცებული თვითმფრინავის გათავისუფლების ოპერაცია.

1987 წელი – ოპერაცია საბერძნეთში. ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა არმიის პოლკოვნიკის ჯეიმს "ნიკ" როუვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელსაც ვიეტნამელი კომუნისტები მოკვლით ემუქრებოდნენ.

1989 წელი – ოპერაცია პანამაში რომლის მიზანსაც წარმოადგენდა დატყვევებული ამერიკელი მოქალაქის გათავისუფლება და გენერალ ნორიეგას და მისი მრჩევლების მოძებნა.

1991 წელი – ოპერაცია სპარსეთის ყურეში. ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა აშშ-ის არმიის უმაღლესი სარდლობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე "სკადის" ტიპის რაკეტების მობილური გამშვებების განადგურება ავიადარტყმების მეშვეობით.

1993 წელი – ოპერაცია სომალიში. ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა სომალის მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული ტვირთის ჩატანა და გენერალ აიდიდის განადგურება. ოპერაცია მარცხით დასრულდა.დაიღუპა 18 ამერიკელი მოსამსახურე, ხოლო 77 მძიმედ დაიჭრა.

1997 წელი – ოპერაცია პერუს დედაქალაქ ლიმაში. ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა ტერორისტებისგან იაპონიის საელჩოს გათავისუფლება.

აშშ-ს კოსმოსური დაზვერვის სააგენტოს თანამშრომელს სიკვდილით აღარ დასჯიან

ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური დაზვერვის ნაციონალური სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა, ბრაიან რიგანმა, რომელმაც ერაყის სასარგებლოდ ჯაშუშობა აღიარა, სასიკვდილო განაჩენის თავიდან აცილება შეძლო.

ვირჯინიის შტატის ფედერალური სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ მისი საქმის ყურდაღებით შესწავლის შემდეგ დაასკვნა, რომ რიგანს ერაყელებისა და ჩინელებისათვის ბირთვული საიდუმლოებები, კოსმოსური თანამგზავრების შესახებ მონაცემები და აშშ-ს სამხედრო გეგმები არ გადაუცია - ამისთვის შეერთებულ შტატებში სიკვდილით დასჯაა დაწესებული.

2001 წლის აგვისტოში ბრაიან რიგანი ვაშინგტონის დაღესის აეროპორტში დააკავეს, გამგზავრების წინ. მას თან ჰქონდა საიდუმლო დოკუმენტაცია. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

სასამართლოსთვის გადაცემული მასალების თანახმად, რიგანმა მუშაობა კოსმოსური დაზვერვის სააგენტოში 2001 წელს დაიწყო. მას მშიფვრელის თანამდებობა ეკავა. რიგანს ბრალად წაუყენეს საიდუმლოების შემცველი დოკუმენტაციის სხვა სახელმწიფოებისათვის გადაცემის მცდელობა. ამასთანავე რიგანს აღმოუჩინეს ერაყის ჩრდილეოთ ნაწილში "არასაფრენ" ზონაში განლაგებული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების დაშიფრული კოორდინატები და მონაცემები ჩინეთის სარაკეტო გამშვები დანადგარების შესახებ. რიგანს მარჯვენა ფეხსაცმელში დამალული ჰქონდა ევროპულ ქვეყნებში ერაყის, ჩინეთის და ლიბიის საელჩოების მისამართებიც. მის სახლში ჩატარებული ჩხრეკისას აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა მის პერსონალურ კომპიუტერში აღმოაჩინეს წერილის შავი ვარიანტი სადამ ჰუსეინის სახელზე. წერილში რიგანი ერაყის პრეზიდენტს სთავაზობდა ინფორმაციების მიწოდებას ამერიკული სადაზვერვო თანამგზავრების შესახებ, რაც ერაყს საკუთარი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების დამალვში დაეხმარებოდა.

რიგანს, რომელსაც დაპატიმრებამდე საკმაოდ სოლიდური ვალები ჰქონდა (116 ათასი ამერიკული დოლარი), ერაყის პრეზიდენტს ინფორმაციების მიწოდებისათვის და თანამშრომლობისათვის 13 მილიონ ამერიკულ დოლარს სთხოვდა. ანალოგიური წერილი იყო შედგენილი ლიბიის პრეზიდენტის, მუამარ კადაფის სახელზე. რიგანმა ვერცერთი ამ წერილის გაგზავნა ვერ მოახერხა.

თავად ბრაიან რიგანმა მის მიმართ ჯაშუშობის მუხლით წაყენებული ბრალდებები უარყო. სასამართლომ დაადგინა, რომ რიგანი უცხო ქვეყნების სპეცამსახურებთან არ თანაშრომლობდა და საიდუმლო დოკუმენტაციაც არავისთვის გადაუცია. ეს, რასაკვირველია, სიმართლეა, რადგანაც რიგანმა ამის გაკეთება უბრალოდ ვერ მოასწრო. მართალია, სასამართლომ უარი თქვა მისთვის სასივდილო განაჩენის გამოტანაზე, მაგრამ როგორც ვარაუდობენ, ბრიან რიგანს სამუდამო პატიმრობა ელის.

მზვერავების შეცდომები და მათი შედეგები

გორდონ ლონსდეილი - არალეგალი მზვერავი

რევაზ ასათიანი
ჰოლკოვნიკი

გაგრძელება

პოლკოვნიკი კონონ ტროფიმის ძე მოლოდი (ლონსდეილის ნამდვილი სახელი) დაიბადა 1922 წელს მოსკოვში მეცნიერის ოჯახში. ათიდან თექვსმეტ წლამდე აშშ-ში გაატარა - დეიდასთან. სწავლობდა ამერიკულ სკოლაში, სადაც სრულყოფილად დაეუფლა ინგლისურ ენას. მეორე მსოფლიო ომის დროს ფრონტზე იმყოფებოდა და სათარტილერიო დაზვერვაში გადიოდა სამსახურს. მას მიიჩნევდნენ უშიშარ საველე მზვერავად, რომელიც არაერთხელ ყოფილა მტრის ზურგში მოენის ასაყვანად წასული. ომის შემდეგ დაამთავრა საგარეო ვაჭრობის ინსტიტუტი. აღნიშნული ინსტიტუტის მესამე კურსელმა მზვერავთა ყურადღება, პირველ რიგში, ინგლისური ენის ბრწყინვალე ცოდნით და აშშ-ში ცხოვრების გარკვეული გამოცდილებით მიიპყრო. მისი პირადი და საქმიანი თვისებების ორწლიანმა შესწავლამ დაადასტურა, რომ კანდიდატურა არალეგალურ პირობებში მუშაობის მოთხოვნებს სრულიად შეესაბამებოდა. იგი ჩაირიცხა განსაკუთრებული რეზერვის კადრებში და მიიღო ოპერატიული ფსევდონიმი - ბენი. 1954 წლის დასაწყისისთვის მისი მომზადება დასრულდა და იგი მუშაობას შეუდგა. ლეგალიზაციისათვის თავდაპირველად კანადაში, შეთხზული ლეგენდის მიხედვით, თავის „სამშობლოში" გაემგზავრა. იქიდან კი 1955 წლის დასაწყისში ჩავიდა ინგლისში, სადაც უკვე უნდა დაფუძნებულიყო - როგორც კანადელი დამწყები ბიზნესმენი, გორდონ ლონსდეილი. ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად საჭირო საბუთების გაფორმებამ წარმატებულად ჩაიარა. აქ მან შექმნა სათამაშო ავტომატების გაყიდვისა და მომსახურების ფირმა - მოხერხებული საფარი სადაზვერვო მუშაობისათვის და ცენტრიდან მიღებული თანხების ლეგალიზაციისათვის.

ცოტა ხანში ცენტრმა ბენთან, აგენტ-მეკავშირეების სახით, გააგზავნა ცოლ-ქმარი, რომლებიც ინგლისში ჩავიდნენ პიტერ კროგერის (სინამდვილეში მორის კოენი) და ჰელენ კროგერის (ლეონტინა ტერეზე პეტკე) სახელებზე გაფორმებული პასპორტებით.

საინტერესოა კროგერების (ამ გვარით გახდნენ ისინი ცნობილნი მთელს მსოფლიოში დაპატიმრების შემდეგ) წყვილის ბიოგრაფია, რომლებსაც მოგვიანებით რუსეთის გმირების წოდება მიენიჭათ. მორის კოენი (ოპერატიული ფსევდონიმი ლუისი) დაიბადა 1910 წელს ნიუ-იორკში რუსი ემიგრანტის ოჯახში. 1935 წელს დაამთავრა კოლუმბიის უნივერსიტეტი და საშუალო სკოლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. 1937-1938 წლებში მონაწილეობდა ესპანეთში ფაშისტების წინააღმდეგ მიმდინარე სამოქალაქო ომში, სადაც ორივე ფეხში დაიჭრა. 1938 წელს საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტმა იგი ესპანეთში გადაიბირა; იმავე წლის ნოემბერში დაბრუნდა ნიუ-იორკში, სადაც მასთან, როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილი აგენტურული ჯგუფის „ვოლონტიორების" ხელმძღვანელთან, კავშირი აღდგა; 1941 წელს დაქორწინდა ლეონტინა პეტკეზე, რომლის მშობლები წარმოშობით პოლონეთიდან იყვნენ. მ. კოენის წინადადებით, სადაზვერვო მუშაობაში ისიც ჩაერთო. 1942-1945 წლებში მ. კოენი, ამერიკის ჯარების შემადგენლობაში, ევროპაში მიმდინარე გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობდა. არმიიდან დემობილიზაციისა და აშშ-ში დაბრუნების შემდეგ მასთან გაწყვეტილი კავშირი აღდგა და იგი აქტიურად ჩაერთო სადაზვერვო მუშაობაში, მაგრამ, აშშ-ში ვითარების მკვეთრი გართულების გამო, მასთან დროებით გაწყდა კავშირი, რომელიც ლეგალურმა რეზიდენტურამ მხოლოდ 1948 წლისათვის აღადგინა.

ცოლთან ერთად, რომელიც მეკავშირის როლს ასრულებდა, მ. კოენი ჯგუფი „ვოლონტიორების" ფასეული აგენტების მუშაობას უზრუნველყოფდა. მათ შორის იყო მის მიერვე გადაბირებული მნიშვნელოვანი აგენტი – პერსეი (იგი ბოლომდე დარჩა გფბ-ს მხედველობის მიღმა), რომელიც მას ატომურ პრობლემატიკაზე აწვდიდა მასალებს. 1949 წელს კოენები, ქვეყანაში ვითარების უკიდურესი გართულების პირობებში „ვოლონტიორებთან" მუშაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ მზვერავ-არალეგალთან, მარკთან (რუდოლფ ივანეს ძე აბელი) კავშირზე გაიყვანეს. მაგრამ მათი თანამშრომლობა ხანმოკლე გამოდგა, ამერიკის კონტრდაზვერვის მიერ 1950 წლის დასაწყისში საბჭოთა დაზვერვის ორი აგენტის დაპატიმრების გამო. მათ მორისისა და ლეონტინას დაზვერვასთან თანამშრომლობის შესახებ იცოდნენ და მათი მისამართიც გაგებული ჰქონდათ. ეს მათაც და მთელს მათ ჯგუფსაც საშიშროებას უქმნიდა. ჩავარდნის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ცენტრმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ კოენებს აშშ დაეტოვებინათ და კვალის დასაფარად, რამდენიმე ქვეყნის გავლით, ჩასულიყვნენ მოსკოვში, სადაც შემუშავებული იყო მათი აგენტ-არალეგალებად სპეცმომზადების გეგმა - ლონსდეილის რეზიდენტურაში ცენტრთან რადიოკავშირის უზრუნველსაყოფად. აშშ-ში მათი „გაშიფვრის" გათვალისწინებით, ისინი ბრიტანეთის ქვეშევრდომ ახალზელანდიელებად, პიტერ და ჰელენ კროგერებად იქცნენ. 1954 წლის დეკემბერში, რამდენიმე ევროპული ქვეყნის გავლით, ისინი ინგლისში ჩავიდნენ. ლონდონში პიტერმა საფარად აირჩია ანტიკვარ-ბუკინისტის პროფესია, ჰელენი კი დიასახლისი იყო.

პიტერმა და ჰელენმა მალევე შეიძინეს ინგლისში ამერიკის სამხედრო საჰაერო ძალების შტაბის შენობიდან ორი კილომეტრის დაშორებით მდებარე სახლი და მასში რადიობინა მოაწყვეს პორტატული რაციით სამუშაოდ, რომელიც შიფრირებულ ტელეგრამებს წამში 600 სიტყვის სიჩქარით გადასცემდა.

ამ შტაბის რადიოოპერატორების მიერ მოკლე და გრძელ ტალღებზე გაკეთებული სადღეღამისო გადაცემები საიმედოდ ნიღბავდა რეზიდენტურის რაციის მუშაობას. კროგერები მტკიცედ დაფუძნდნენ და სადაზვერვო მუშაობას უაღრესად პროფესიულად და წინდახედულად ეწეოდნენ.

ლონსდეილის არალეგალურმა რეზიდენტურამ 6 წლის განმავლობაში ინგლისში მოღვაწეობის მანძილზე მოიპოვა და ცენტრს გადასცა უამრავი მნიშვნელოვანი საიდუმლო მასალა, რის გამოც მაღალი შეფასება დაიმსახურა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ინფორმაცია პორტლენდში განლაგებულ საიდუმლო სამხედრო-საზღვაო ბაზაზე, სადაც ატომური წყალქვეშა ნავების (მათ შორის ამერიკულებისაც) აღჭურვის, წყალზედა და წყალქვეშა ხომალდების შეიარაღების უახლესი საშუალებები გამოიყენებოდა.

1960 წლის ბოლომდე რეზიდენტურა წარმატებით მუშაობდა და აქტიურად იყენებდა ამ ბაზაზე მომუშავე საკუთარ ინფორმატორებს - ჰაუტონს და ჯის. მაგრამ მოულოდნელად, 1961 წლის 7 იანვარს ლონდონში, ვატერლოოს სადგურთან სკოტლანდ იარდის თანამშრომლებმა ლონდსეილი, ჰაუტონი და ჯი იმ მომენტში დააპატიმრეს, როდესაც ეს უკანასკნელი რეზიდენტს გადასცემდა თავის ჩანთას. ჩანთაში საიდუმლო მასალები იყო მოთავსებული. იმავე დღეს დააპატიმრეს კროგერებიც, რომელთა სახლის ჩხრეკისას აღმოაჩენეს ჯაშუშური აღჭურვილობის ნივთები (რაცია, სპეციალური ფოტოაპარატურა, დოკუმენტები ინგლისის სამხედრო-საზღვაო ბაზიდან და ა.შ). ლონსდეილმა მათი ცენტრში გადაგზავნა ვერ მოასწრო.

ტად ვერ დაასახელა, მაგრამ მიუთითა, რომ იგი ინგლისის სამხედრო-საზღვაო ჯარში მსახურობდა. ამერიკელებმა ეს ინფორმაცია ბრიტანულ კონტრდაზვერვას გადასცეს, რომელმაც ერთი წლის ძიების შემდეგ, 1960 წელს დაადგინა და ჰაუტონის პერსონაზე მუშაობას შეუდგა. იმავე წლის ბოლოსათვის ინგლისელები, ჰაუტონზე ფარული თვალთვალისას, გავიდნენ სხვა აგენტზე, მის საყვარელზე, ჯიზე, რომელიც პორტლანდში განლაგებული სამხედრო-საზღვაო ბაზის არქივის თანამშრომელი იყო (სხვათა შორის, სწორედ ჯი იყო ინფორმაციის ძირითადი წყარო, რომელსაც ჰაუტონი რუსეთის დაზვერვას გადასცემდა). 1960 წლის შუა პერიოდში სკოტლანდ იარდმა ლონსდეილთან ჯის ერთი შეხვედრა დააფიქსირა, როცა იგი ამ უკანასკნელს დოკუმენტების მორიგ პაკეტს გადასცემდა (გამოცდილმა ლონსდეილმა ვერ შეძლო ჯიზე თვალთვალის აღმოჩენა - რ.ა.). იმავე წლის ბოლოს კი კონტრდაზვერვამ კროგერების წყვილიც გაშიფრა: ლონსდეილმა ერთხელ მათი ავტომობილი გამოიყენა (მორიგი სერიოზული შეცდომა - რ.ა.).

ჩნდება კითხვა, რატომ იჩქარეს ინგლისელებმა ლონსდეილის, კროგერების, ჰაუტონის და ჯის დაპატიმრება 1961 წლის 7 იანვარს და არ გამოავლინეს არალეგალური რეზიდენტურის სხვა წყაროები? სავარაუდოა, რომ პოლკოვნიკი გოლენევსკი, მხილების შიშით, 1961 წლის 5 იანვარს, ანუ აღნიშნულ დაპატიმრებამდე ორი დღით ადრე, პოლონეთიდან აშშ-ში გაიქცა.

ლონსდეილმა სასამართლო პროცესზე ყველაფერი თავის თავზე აიღო და ამტკიცებდა, რომ კროგერებმა არაფერი იცოდნენ მისი საქმიანობის შესახებ, ხოლო მათთან აღმოჩენილი რადიოსადგური და სხვა ნივთები მას ეკუთვნის და, მათ არყოფნაში გაკეთებულ სამალავში თავადვე ინახავდა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ვერ შეძლო კროგერების საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობის დამტკიცება, მათ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ გფბ-მ ინგლისელებს გადასცა ამერიკის მოქალაქეების, კოენების ბრალეულობის შესახებ მტკიცებულებები. მათ ხელისუფლება დიდ ხანს ეძებდა, როგორც აშშ-ს წინააღმდეგ ჯაშუშობაში ეჭვმიტანილებს. ლონსდეილს მიუსაჯეს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. მოგვიანებით სამივე მზვერავი საბჭოთა კავშირში დაპატიმრებულ ინგლისის აგენტებზე გაცვალეს, მათ კი დარჩენილი ცხოვრება ახალგაზრდა მზვერავების მომზადებას მიუძღვნეს. ჰელენი გარდაიცვალა 1993 წელს, პიტერ კროგერი კი ორი წლის შემდეგ. უფრო ადრე, 1970 წელს, 48 წლის ასაკში ინსულტით გარდაიცვალა ერთ-ერთი უნიჭიერესი მზვერავი - პოლკოვნიკი ლონსდეილი.

გავარკვიოთ, რატომ ჩავარდა ინგლისში 6 წლის მანძილზე ასე წარმატებით მომუშავე გორდონ ლონსდეილის არალეგალური რეზიდენტურა. სრულიად ნათელია, რომ ეს პოლონეთის დაზვერვის თანამშრომლის, პოლკოვნიკ მ. გოლენევსკის ღალატის შედეგად მოხდა, რომელიც ცსს-თან აგენტურული თანამშრომლობის გზას დაადგა და მას ინფორმაცია გადასცა ვარშავაში დაზვერვის მიერ თავის დროზე გადაბირებულ ჰაუტონზე. ლონსდეილისა და მისი ჯგუფის ჩავარდნის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, მოსკოვის სადაზვერვო ცენტრს რომ არ დაეშვა ინგლისელი მშიფრავის გადაბირების ოპერაცია პოლონეთის დაზვერვის თუნდაც უმნიშვნელო მონაწილეობა. დაზვერვამ, ჩვენი აზრით, თავის წყაროთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მიმართოს საკუთარი აგენტურული ოპერაციების ჩატარებისას (იქნება ეს გადაბირებითი დამუშავება თუ აგენტთან კავშირის უზრუნველყოფა და ა.შ.) სხვა, თუნდაც მეგობრული დაზვერვების დახმარებას. ამ საკითხში არ უნდა არსებობდეს არანაირი გამონაკლისი. დაზვერვა, თუკი იგი მართლაც უფრთხილდება საკუთარ აგენტებს, ვალდებულია, მაქსიმალურად შეზღუდოს იმ პირთა წრე (აღარაა საუბარი სხვა დაზვერვებზე), რომლებთანაც თუნდაც სულ მცირე კავშირი აქვს და მსგავსი ოპერაციების ჩასატარებლად მხოლოდ თავისი საიმედო და კვალიფიციური კადრები უნდა გამოიყენოს. ამ პოსტულატის იგნორირების შედეგები ჩვენ მიერ განხილული მაგალითიდანაც კარგად ჩანს.

შესაძლებელი იყო, ასევე, დაპატიმრების თავიდან აცილება - ლონსდეილს დროულად რომ აღმოეჩინა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე მასზე, ჯისა და ჰაუტონზე გარე თვალთვალი. თვალთვალის აღმოჩენის შემთხვევაში, მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე თავისი აგენტების წინასწარი გაფრთხილების შემდეგ, მას შეეძლო ქვეყნის დაუყოვნებლივ დატოვება. მაგრამ ისე მოხდა, რომ სკოტლანდ იარდმა, რომელიც მხოლოდ ჰარი ჰაუტონის შესახებ ფლობდა ინფორმაციას, მასზე და მის მეგობარ ქალზე ეტეელ ჯიზე კარგად განხორციელებული თვალთვალის შედეგად, მიუხედავად ამ წყვილის მიერ ჩატარებული მარშრუტის შემოწმებისა (თუმცა, ასეთი „შემოწმება" ჩალის ფასადაც არ ღირს), ქუჩაში ლონსდეილთან მათი შეხვედრის დაფიქსირება მოახერხა, მისთვის პაკეტის გადაცემის დროს. ლონსდეილზე თვალთვალის ორგანიზებით ინგლისელებმა შეძლეს კროგერებზე გასვლა, რომლებსაც იგი ხშირად სტუმრობდა. რატომ ვერ შეძლო ლონსდეილმა თვალთვალის, თუნდაც ძალზე პროფესიულის, აღმოჩენა? რა თქმა უნდა, მას ამის გაკეთება შეეძლო და ამაში ეჭვის შეტანა არ ღირს. როგორც ჩანს, სხვა მიზეზია - წარმატებებს ნაჩვევი, თავის შესაძლებლობებში მეტისმეტად თავდაჯერებული ლონსდეილი (საკუთარ თავში დარწმუნებულობა აუცილებელია, მაგრამ მთავარია მისი სწორი შეფარდება სიფხიზლესთან, სიფრთხილესთან და მუდმივ თვითკონტროლთან) ერთგვარად მოდუნდა და ნაკლებად ყურადღებიანი გახდა. მაგალითად, კროგერების მანქანის გამოიყენება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ეს აშკარა შეცდომაა, რომლის შედეგად კონტრდაზვერვა კროგერებზე გავიდა.

გორდონ ლონსდეილი თავის ერთ-ერთ საყვარელთან ერთად.

როგორ მოახერხა სკოტლანდ იარდმა რეზიდენტსა და მის თანამშრომლებზე გასვლა? როგორც მოგვიანებით გაირკვა, თავიდან კონტრმზვერავებმა დაადგინეს ჰაუტონი და ჯი და მათი დამუშავება დაიწყეს, რის შედეგადაც ლონსდეილზე გავიდნენ, მისი მეშვეობით კი - კროგერებზე. რატომ და როგორ მოხვდნენ სკოტლანდ იარდის მხედველობის არეში ჰაუტონი და მისი მეგობარი ქალი? საქმე ისაა, რომ ლონსდეილის რეზიდენტურის ჩავარდნა პოლონეთის დაზვერვის განყოფილების უფროსის, მიხაილ გოლენევსკის ღალატის მიზეზით მოხდა, რომელიც 40-იანი წლების დასასრულს და 50-იანი წლების დასაწყისში ტექნიკურ დახმარებას უწევდა საბჭოთა მზვერავებს ვარშავაში ჰაუტონის გადმობირებისას, რომელიც ამ დროს პოლონეთში ბრიტანული სამხედრო-საზღვაო ატაშატში მშიფრავად მუშაობდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, 1958 წლის ბოლოს გოლენევსკიმ ცსს-თან კავშირი დაამყარა და მასთან დაიწყო საიდუმლო თანამშრომლობა. სწორედ გოლენევსკიმ შეატყობინა ამერიკელებს მისთვის ცნობილი მონაცემები ჰაუტონის შესახებ; თუმცა, მისი გვარი მან ზუსტად ვერ დაასახელა, მაგრამ მიუთითა, რომ იგი ინგლისის სამხედრო-საზღვაო ჯარში მსახურობდა. ამერიკელებმა ეს ინფორმაცია ბრიტანულ კონტრდაზვერვას გადასცეს, რომელმაც ერთი წლის ძიების შემდეგ, 1960 წელს დაადგინა და ჰაუტონის პერსონაზე მუშაობას შეუდგა. იმავე წლის ბოლოსათვის ინგლისელები, ჰაუტონზე ფარული თვალთვალისას, გავიდნენ სხვა აგენტზე, მის საყვარელზე, ჯიზე, რომელიც პორტლანდში განლაგებული სამხედრო-საზღვაო ბაზის არქივის თანამშრომელი იყო (სხვათა შორის, სწორედ ჯი იყო ინფორმაციის ძირითადი წყარო, რომელსაც ჰაუტონი რუსეთის დაზვერვას გადასცემდა). 1960 წლის შუა პერიოდში სკოტლანდ იარდმა ლონსდეილთან ჯის ერთი შეხვედრა დააფიქსირა, როცა იგი ამ უკანასკნელს დოკუმენტების მორიგ პაკეტს გადასცემდა (გამოცდილმა ლონსდეილმა ვერ შეძლო ჯიზე თვალთვალის აღმოჩენა - რ.ა.). იმავე წლის ბოლოს კი კონტრდაზვერვამ კროგერების წყვილიც გაშიფრა: ლონსდეილმა ერთხელ მათი ავტომობილი გამოიყენა (მორიგი სერიოზული შეცდომა - რ.ა.).

ჩნდება კითხვა, რატომ იჩქარეს ინგლისელებმა ლონსდეილის, კროგერების, ჰაუტონის და ჯის დაპატიმრება 1961 წლის 7 იანვარს და არ გამოავლინეს არალეგალური რეზიდენტურის სხვა წყაროები? სავარაუდოა, რომ პოლკოვნიკი გოლენევსკი, მხილების შიშით, 1961 წლის 5 იანვარს, ანუ აღნიშნულ დაპატიმრებამდე ორი დღით ადრე, პოლონეთიდან აშშ-ში გაიქცა.

ლონსდეილმა სასამართლო პროცესზე ყველაფერი თავის თავზე აიღო და ამტკიცებდა, რომ კროგერებმა არაფერი იცოდნენ მისი საქმიანობის შესახებ, ხოლო მათთან აღმოჩენილი რადიოსადგური და სხვა ნივთები მას ეკუთვნის და, მათ არყოფნაში გაკეთებულ სამალავში თავადვე ინახავდა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ვერ შეძლო კროგერების საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობის დამტკიცება, მათ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ გფბ-მ ინგლისელებს გადასცა ამერიკის მოქალაქეების, კოენების ბრალეულობის შესახებ მტკიცებულებები. მათ ხელისუფლება დიდ ხანს ეძებდა, როგორც აშშ-ს წინააღმდეგ ჯაშუშობაში ეჭვმიტანილებს. ლონსდეილს მიუსაჯეს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. მოგვიანებით სამივე მზვერავი საბჭოთა კავშირში დაპატიმრებულ ინგლისის აგენტებზე გაცვალეს, მათ კი დარჩენილი ცხოვრება ახალგაზრდა მზვერავების მომზადებას მიუძღვნეს. ჰელენი გარდაიცვალა 1993 წელს, პიტერ კროგერი კი ორი წლის შემდეგ. უფრო ადრე, 1970 წელს, 48 წლის ასაკში ინსულტით გარდაიცვალა ერთ-ერთი უნიჭიერესი მზვერავი - პოლკოვნიკი ლონსდეილი.

გავარკვიოთ, რატომ ჩავარდა ინგლისში 6 წლის მანძილზე ასე წარმატებით მომუშავე გორდონ ლონსდეილის არალეგალური რეზიდენტურა. სრულიად ნათელია, რომ ეს პოლონეთის დაზვერვის თანამშრომლის, პოლკოვნიკ მ. გოლენევსკის ღალატის შედეგად მოხდა, რომელიც ცსს-თან აგენტურული თანამშრომლობის გზას დაადგა და მას ინფორმაცია გადასცა ვარშავაში დაზვერვის მიერ თავის დროზე გადაბირებულ ჰაუტონზე. ლონსდეილისა და მისი ჯგუფის ჩავარდნის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, მოსკოვის სადაზვერვო ცენტრს რომ არ დაეშვა ინგლისელი მშიფრავის გადაბირების ოპერაცია პოლონეთის დაზვერვის თუნდაც უმნიშვნელო მონაწილეობა. დაზვერვამ, ჩვენი აზრით, თავის წყაროთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მიმართოს საკუთარი აგენტურული ოპერაციების ჩატარებისას (იქნება ეს გადაბირებითი დამუშავება თუ აგენტთან კავშირის უზრუნველყოფა და ა.შ.) სხვა, თუნდაც მეგობრული დაზვერვების დახმარებას. ამ საკითხში არ უნდა არსებობდეს არანაირი გამონაკლისი. დაზვერვა, თუკი იგი მართლაც უფრთხილდება საკუთარ აგენტებს, ვალდებულია, მაქსიმალურად შეზღუდოს იმ პირთა წრე (აღარაა საუბარი სხვა დაზვერვებზე), რომლებთანაც თუნდაც სულ მცირე კავშირი აქვს და მსგავსი ოპერაციების ჩასატარებლად მხოლოდ თავისი საიმედო და კვალიფიციური კადრები უნდა გამოიყენოს. ამ პოსტულატის იგნორირების შედეგები ჩვენ მიერ განხილული მაგალითიდანაც კარგად ჩანს.

შესაძლებელი იყო, ასევე, დაპატიმრების თავიდან აცილება - ლონსდეილს დროულად რომ აღმოეჩინა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე მასზე, ჯისა და ჰაუტონზე გარე თვალთვალი. თვალთვალის აღმოჩენის შემთხვევაში, მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე თავისი აგენტების წინასწარი გაფრთხილების შემდეგ, მას შეეძლო ქვეყნის დაუყოვნებლივ დატოვება. მაგრამ ისე მოხდა, რომ სკოტლანდ იარდმა, რომელიც მხოლოდ ჰარი ჰაუტონის შესახებ ფლობდა ინფორმაციას, მასზე და მის მეგობარ ქალზე ეტეელ ჯიზე კარგად განხორციელებული თვალთვალის შედეგად, მიუხედავად ამ წყვილის მიერ ჩატარებული მარშრუტის შემოწმებისა (თუმცა, ასეთი „შემოწმება" ჩალის ფასადაც არ ღირს), ქუჩაში ლონსდეილთან მათი შეხვედრის დაფიქსირება მოახერხა, მისთვის პაკეტის გადაცემის დროს. ლონსდეილზე თვალთვალის ორგანიზებით ინგლისელებმა შეძლეს კროგერებზე გასვლა, რომლებსაც იგი ხშირად სტუმრობდა. რატომ ვერ შეძლო ლონსდეილმა თვალთვალის, თუნდაც ძალზე პროფესიულის, აღმოჩენა? რა თქმა უნდა, მას ამის გაკეთება შეეძლო და ამაში ეჭვის შეტანა არ ღირს. როგორც ჩანს, სხვა მიზეზია - წარმატებებს ნაჩვევი, თავის შესაძლებლობებში მეტისმეტად თავდაჯერებული ლონსდეილი (საკუთარ თავში დარწმუნებულობა აუცილებელია, მაგრამ მთავარია მისი სწორი შეფარდება სიფხიზლესთან, სიფრთხილესთან და მუდმივ თვითკონტროლთან) ერთგვარად მოდუნდა და ნაკლებად ყურადღებიანი გახდა. მაგალითად, კროგერების მანქანის გამოიყენება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ეს აშკარა შეცდომაა, რომლის შედეგად კონტრდაზვერვა კროგერებზე გავიდა.

ინგლისში ლონსდეილის მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალების უფრო დაწვრილებით განხილვის შემთხვევაში შესაძლებელია დაზვერვის ან რეზიდენტურის მიერ დაშვებული სხვა სერიოზული შეცდომების მოძებნაც, მაგრამ, ვფიქრობ, ზემოთ მოტანილი მაგალითებიც საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ დაზვერვაში ნებისმიერი შეცდომა შეიძლება საბედისწერო გახდეს, მით უმეტეს, როცა იგი ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხება, როგორიცაა აგენტურული ოპერაციების კონსპირაციისა და უსაფრთხოების უმკაცრესი უზრუნველყოფა. დაზვერვის საქმეში ეს აქსიომაა. და მაინც... მსგავსი შეცდომები ხდება.

გაგრძელება იქნება

„სიყვარულის სულთათანა“ სანქტ-პეტერბურგში B2

ზამერს და გერმანიას ზღაპრების არ სჯერათ B4

TV-პროგრამა B6

ნომრის პერსონა

არა მგონია, ერაყმა ჩვენთვის მოიცვალოს

ბევრად უფრო სერიოზული პრობლემები ექნებათ...

მაია ჭალაგანიძე

მოვლენები ელვის უსწრაფესად იცვლება. მინისტრი საუბრისას აღნიშნავდა, რომ ინტერვიუში ნათქვამი ნებისმიერი მისი წინადადება დღეს დაგვიანებული შეიძლება ყოფილიყო...
არავინ იცის, რა იქნება დღეს. პაციფისტებმაც და ომის მომხრეებმაც თავისი თქვეს. მოწინააღმდეგე ბანაკები განცხადებების ომის სტადიაში არიან. პოლიტიკური და სამხედრო ლოგიკით ომი გარდაუვალია. დიპლომატია მორჩა. ახლა საკუთარი ქვეყნების ომის გამომძახილისგან დაცვაა საზრუნავი. როგორ ზიდავს ჩვენი ქვეყანა თითქმის მეზობლად მიმდინარე ომის ტვირთს? გვესაუბრება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ბატონი ირაკლი მენაღარიშვილი.

ირაკლი მენაღარიშვილი

ბერძენიშვილის ფოტოები

- როგორ ხვდება საქართველო 21-ე საუკუნის პირველ ომს?

- არ შეიძლება ომის პერსპექტივა შემაშფოთებელი არ იყოს. მოგეხსენებათ, საქართველომ ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი ამერიკის პოზიციას ერაყის განიარაღებასთან დაკავშირებით. თუმცა, ჩვენ ხაზი გავუსვით იმას, რომ უმჯობესია, ეს პრობლემა მშვიდობიანი გზით მოგვარებულიყო. სამწუხაროდ, ჩვენი დამოუკიდებლობის არც თუ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მშვიდობა არაერთხელ გაგვიხდა სანატრელი და კარგად ვიცით, რას ნიშნავს ომი. როგორც ჩანს, ომის გარეშე ამ პრობლემის მოგვარება, სამწუხაროდ, შეუძლებელი ხდება. ამის მიზეზი კი საერთაშორისო თანამეგობრობის არაერთსულოვნებაა.

- ერთი შეხედვით, ამ ომში საქართველოს როლი შორიდან თვალთვალია. თუმცა, არსებული საერთაშორისო ვითარების გამო მხოლოდ ამ როლის შესრულება გაგვიჭირდება. რამდენად შეძლებს პატარა საქართველო ომის ტვირთის ზიდვას?

- დღეს მსოფლიო იმდენად გლობალიზებულია და მოვლენები იმდენად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ არა მარტო ჩვენს სამეზობლოში (შუამდინარეთი სწორედ ასეთად შეიძლება ჩაითვალოს), არამედ ჩვენგან შორეულ წერტილებში მიმდინარე მოვლენებმაც შეიძლება საქართველოსთვის სერიოზული პრობლემები წარმოშვას. აქ საუბარი არ არის პირდაპირ სამხედრო საშიშროებაზე. იმედი მაქვს, რომ ამგვარი საშიშროება არ გაჩნდება. კარგად მოგეხსენებათ, თუნდაც ის, რომ ამ პროცესებში აქტიურად არის ჩაბმული ჩვენი მეზობელი თურქეთი და იქ მიმდინარე პროცესები ჩვენთვის სულერთი ვერ იქნება.

ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ერთსულოვნების მიღწევის მცირე შანსი კიდევ არის (ის გულისხმობდა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომას).

- შეიარაღებულ კონფლიქტზე გადასვლამდე ბუში გაეროს პასუხისმგებლობის ნაწილის თავზე აღებას სთავაზობს... როგორ გგონიათ, გასცემს თუ არა სანქციას გაეროს უშიშროების საბჭო?

- მიუხედავად იმ ოპტიმიზმისა, რომელიც გუშინ აზორის კუნძულებზე გამართული პრესკონფერენციიდან გამოსჭვიოდა, საეჭვოა, დღეს ეს მოხერხდეს. დღეს ჩემთვის ცნობილი გახდა პრეზიდენტ შირაკის ძალზე მკაცრი განცხადება იმის თაობაზე, რომ საფრანგეთი ბოლომდე უარყოფს ძალის გამოყენების შესაძლებლობას. საფრანგეთი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია და მას ვეტოს უფლება აქვს. ის არაფრით არ დაუშვებს რეზოლუციის მიღებას. უფრო მოქნილი იყო პრეზიდენტ პუტინის უკანასკნელი განცხადება, მაგრამ ისიც იმას ნიშნავდა, რომ რუსეთიც, ალბათ, ბოლომდე წინ აღუდგება უშიშროების საბჭოს მიერ სამხედრო მოქმედებათა სანქცირებას. ასე რომ, სამწუხაროდ, ამ გადამწყვეტ მომენტში, რომელსაც პრეზიდენტმა ბუშმა „ჭეშმარიტების მომენტი“ უწოდა, საერთაშორისო თანამეგობრობა კვლავ ვერ იქნება ერთსულოვანი.

- თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანი იქნება ეს გადაწყვეტილება, რომელიც, ფაქტობრივად, სადამის ჩამოგდების ოფიციალური მანდატი გახდება?

- ჰუსეინმა ზოგიერთი ნაბიჯი გადადგა - დაიწყო მოდერნიზებული „სკადების“ ტიპის რაკეტების განადგურება (ის სხვა საკითხია, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს რაკეტები ერაყის სამხედრო ძლიერებისთვის). მან, აგრეთვე, ინსპექტორები ადრე აკრძალული ადგილების შესამოწმებლად დაუშვა; მათ ინტერვიუების უფლება მისცა... მოკლედ, რაღაც ნაბიჯები გადადგა... ამ ნაბიჯების გათვალისწინებით, ალბათ, შეიძლება, დავეთანხმოთ მათ, ვინც ამტკიცებს, რომ პროგრესი გაჩნდა და თანაც, ომი არავის სურს. ეს ყველასთვის არასასურველი სცენარია. მაგრამ, მეორეს მხრივ, არსებობს მკაცრი, მტკივნეული, მაგრამ ობიექტური რეალობა, რომელზეც თვალის დახუჭვამ, ხშირ შემთხვევაში, ტრაგიკული შედეგები გამოიღო. ისტორიამ ამგვარი მაგალითები იცის. ამის სამწუხარო მაგალითი საქართველო და, კერძოდ, აფხაზეთია - როდესაც საერთაშორისო თანამეგობრობის ეს უმაღლესი ორგანო, რომელიც მხოლოდ იმისთვის შეიქმნა, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობა და უსაფრთხოება უზრუნველყოს, აბსოლუტურად უძლური აღმოჩნდა, ობიექტური შეფასება მისცეს და სახელი დაარქვას იმ მოვლენას, რომელიც საქართველოში ხდება...

- ხომ ვერ დაასახელებდით რაიმე ობიექტურ მიზეზს საიმისოდ, რომ გაეროს უშიშროების საბჭო აფხაზეთთან დაკავშირებით კონკრეტულ სანქციას არ აქვეყნებს?

- სამწუხაროდ, ობიექტური მიზეზები არ არსებობს. ობიექტურად თუ არ ჩავთვლით გაეროს წესდების იმ მუხლს, რომელიც ვეტოს უფლების განუსაზღვრელად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

ათასწლეულის სამიტზე, შევარდნაძემ კრიტიკული შეფასება მისცა გაეროში შექმნილ ვითარებას და, კერძოდ, გაეროს უშიშროების საბჭოს ეფექტურობის საკითხს. ვეტოს უფლების მქონე ერთ-ერთი ქვეყანა -რუსეთი - ეფექტურად იყენებს ამ უფლებას. გაერო არ აღიარებს იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, რაც ეუთოს სამიტებმა არაერთხელ დაადასტურეს საქართველოში. არ მინდა, ერთმანეთს შევადარო აფხაზეთისა და ერაყის პრობლემები, მაგრამ გაეროს უშიშროების საბჭოს, საქართველოს შემთხვევაში, მისი დანიშნულების გამართლების არასაკმარისი უნარი აღმოაჩნდა. ერაყის შემთხვევაში კი, უშიშროების საბჭომ ვერ აიძულა ქვეყანა, რომელსაც მასობრივი განადგურების იარაღის შექმნა და გამოყენება უნდა, უარი თქვას ამ სურვილზე. სხვათა შორის, ის ქვეყნებიც, რომელთაც ვეტოს უფლება აქვთ - საფრანგეთი, რუსეთი, ჩინეთი - ვერ უარყოფენ, რომ ერაყისგან ამგვარი საშიშროება მოდის. ისინი ამბობენ - მოდით, მაინც გავაგრძელოთ მშვიდობიანი მცდელობები... ამ გზით სიარული შეიძლება, მაგრამ, როგორც წესი, ამგვარ განწყობას უფრო დიდ ტრაგედიამდე მივყავართ ხოლმე.

- რა უნდა ამერიკას ერაყში?

- ამ რეგიონში ამერიკას სტაბილურობა სჭირდება, რადგან ეს რეგიონი ბევრი განზომილებით არის მნიშვნელოვანი. უპირველესად ყოვლისა, აქ გადაუჭრელია კონფლიქტი ისრაელსა და პალესტინას შორის. თუმცა, ამ დაპირისპირებამ სხვა სახელმწიფოებიც მოიცვა. ერაყის პოზიციაც ცნობილია. მან 1991 წელს დაადასტურა, რისი შნოც აქვს. გახსოვთ, ალბათ - მან, პირველ რიგში, ისრაელზე მიიტანა შეტევა. არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ თუკი საშუალება მიეცა, სადამ ჰუსეინი ისრაელის წინააღმდეგ გამოიყენებს ყველა საშუალებას, მათ შორის, მასობრივი განადგურების იარაღის სრულ პოტენციალს. მეორე - რეგიონი მნიშვნელოვანი ენერგორესურსების წყაროა. ერაყის დღევანდელი რეჟიმი გარკვეული რეგულარობითა და შესაშური გულმოდგინებით ქმნის ხოლმე დესტაბილიზაციის მომენტებს. ისეთი დესტაბილიზაციისა, რომელიც არა მხოლოდ საერთაშორისო ნავთობპროდუქტების ფასებზე, არამედ მშვიდობასა და სტაბილურობაზე მოქმედებს ნეგატიურად.

თავი დავანებოთ ერაყის კავშირს საერთაშორისო ტერორიზმთან. საქართველოში მიგვაჩნია, რომ აშშ-ს მონაცემები სავსებით საკმარისია საიმისოდ, რომ ეს კავშირი არსებობს.

როცა ვამბობთ ერაყს, არავითარ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ ხალხს. რა თქმა უნდა, საუბარია მხოლოდ რეჟიმზე.

- ეს ომი გარკვეულ ეკონომიკურ კატაკლიზმებსაც გამოიწვევს. მსხვილი ფინანსური მაგნატები, ალბათ, ემზადებიან ამ კრიზისის შესახვედრად. ვინ უფრო დაზარალდება ამ ომით - ჰუსეინის რეჟიმი თუ მსოფლიო?

- თავს შევიკავებდი ისეთი ტერმინების გამოყენებისგან, როგორიცაა „კატაკლიზმები“, „კატასტროფები“ და ა.შ. რა თქმა უნდა, ერაყში შესაძლო სამომარ მოქმედებებს სერიოზული გავლენა ექნება მსოფლიოს ეკონომიკურ პროცესებზე, მაგრამ არსებობს ეკონომისტების, პოლიტიკოსების მიერ წარმოდგენილი უამრავი სცენარი. თუ რომელი სცენარით განვითარდება მოვლენები - ამგვარი წინასწარმეტყველებისგან თავს შევიკავებდი.

ომი, თავისთავად, უბედურებაა. რა თქმა უნდა, ის არ შეიძლება უმტკივნეულო იყოს და უბედურება არ მოუტანოს იმ ქვეყნის ხალხს, სადაც ეს ომი მიმდინარეობს. თუმცა, ნავთობზე მსოფლიო ფასების საკმაოდ ხანგრძლივი დროით დაწევა სრულიად რეალურად მიგვაჩნია. რა თქმა უნდა, ნავთობის ექსპორტით მცხოვრები ქვეყნებისთვის ეს არ იქნება სასიამოვნო მოვლენა... სამაგიეროდ, იგი მსოფლიო ეკონომიკისთვის წამახალისებელ ფაქტორადაც შეიძლება იქცეს. ჯობს დაველოდოთ, როგორ დაბალანსდება ყველაფერი - რადგან იმდენად ბევრი და ერთმანეთის გამომრიცხავი სცენარი არსებობს, რომ მკვეთრი პროგნოზებისგან თავის შეკავება გვმართებს.

- სადამ ჰუსეინის თქმით, ერაყი ამერიკას მთელი დედამიწის მასშტაბით შეებრძოლება. ეს დაპირება, ალბათ, სერიოზულია. რა ელის ამერიკის მოკავშირე ქვეყნებს?

- არა მგონია, ერაყის ხელმძღვანელობისთვის საიდუმლო იყოს ქვეყნის პოზიცია. თუმცა, საქართველოს მისამართით აგრესიის საშიშროებას ვერ ვხედავ. ვეჭვობ, ერაყმა ჩვენთვის მოიცალოს. მათ ბევრად უფრო სერიოზული პრობლემები ექნებათ მოსაგვარებელი.

- ქართველი პოლიტიკოსები შიშობენ, რომ ომის მიმდინარეობისას საერთაშორისო საზოგადოებრიობას არ ეცლება და წინასაარჩევნოდ უკვე დაძაბული ვითარება უმართავი გახდება (ასე იყო 1991 წელსაც, როცა ერაყში ომი იყო). რამდენად საფუძვლიანია ეს შიში?

- ერაყში განვითარებულ მოვლენებს ჩვენი ქვეყნის სტაბილურობასთან პირდაპირი კავშირი, ალბათ, არ აქვს. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ არსებობენ ძალები, რომელთაც შეიძლება გამოიყენონ ეს ვითარება და შეეცადონ ქვეყანაში არასტაბილურობის დათესვას. ამიტომაც არის, რომ საერთაშორისო არენაზე მსგავსი პროცესების განვითარებისას შიგნით ბევრად უფრო მეტი პასუხისმგებლობა გვმართებს. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების ქსოვილი ჯერ კიდევ არ არის საკმარისად მყარი. ამიტომ, ამ მომენტის გამოყენების შესაძლებლობა არის. მინდა ჩვენს თანამემამულეებს მივმართო, რომ არა მხოლოდ ერაყის კრიზისის, არამედ ნებისმიერი საერთაშორისო გართულების პერიოდში მეტი სიფრთხილე და სიფხიზლე გვმართებს.

- რას ელის საქართველოს ხელისუფლება თავისი მოკავშირე ამერიკისგან ამ ომში მხარდაჭერის სანაცვლოდ? არის ეს დაკავშირებული საშინაო ვითარებასთან, ანუ ხელისუფლების განმტკიცებასთან ამ შინაარსის ჟამს?

- რიტორიკულ განცხადებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ საქართველოს ამერიკისთვის პოლიტიკური მხარდაჭერის ნაბიჯი რაიმე სამაგიერო დაფასების მოლოდინით არ გადაუდგამს. მინდა დავრწმუნოთ, რომ საქართველოს პრეზიდენტისა და ჩვენი მთავრობის ყველა ნაბიჯი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სამოკავშირეო ვალდებულებებითა და ამერიკისადმი ჩვენი დამოკიდებულებით არის განპირობებული. აშშ ბევრს აკეთებდა და აკეთებს ჩვენი ქვეყნისათვის. რა თქმა უნდა, დარწმუნებულნი ვართ, რომ ამგვარი ურთიერთობა ჩვენს ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება, მაგრამ ეს ნაბიჯი მხოლოდ სამაგიერო სიკეთისთვის არ გადაგვიდგამს. აშშ და სხვა მეგობარი ქვეყნებიც საქართველოში ღირსეულ მოკავშირეს ხედავენ და მოქმედებენ ისე, როგორც მოკავშირეებს ევალებათ.

- როგორ განვითარდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები? შევარდნაძისგან განსხვავებით, პუტინმა ბუშს მცირედი მხარდაჭერაც კი არ განუცხადა.

- რა თქმა უნდა, რუსეთს საქართველოს დამოუკიდებელი და რუსეთისგან განსხვავებული პოზიციის დაკავება დიდ სიამოვნებას არ მოჰგვრის. მაგრამ, ჩვენ მსოფლიოში მიმდინარე პრობლემების დამოუკიდებელი ხედვა გვაქვს. ჩვენი დამოკიდებულება გვაქვს სამოკავშირეო ვალდებულებებისადმი და მის შესაბამისად ვიქცევით.

- საჭიროების შემთხვევაში, რუსეთი ყოველთვის იყენებს საქართველოზე ზემოქმედების არაერთხელ აპრობირებულ მექანიზმებს - პანკისის ხეობა და აფხაზეთი... შეიძლება, პრეზიდენტთა პოზიციების არათანხვედრის პირობებში ეს მოხდეს?

- თუ სოჭის შეხვედრაზე გაკეთებულ განცხადებებს გავითვალისწინებთ, არა მგონია, პრეზიდენტ პუტინს ახლა მსგავსი განზრახვა ჰქონდეს, ან მისგან წამოვიდეს ეს იმპულსი. თუმცა, არ გამოვრიცხავ, მსგავსი სურვილი და გეგმებიც არსებობდეს იმ წრეებში, რომელიც წლების განმავლობაში საკმაოდ დესტრუქციულად იქცევა ხოლმე.

- გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აზერბაიჯანში ერაყიდან 110 ლტოლვილი გადავიდა. საქართველოშიც ხომ არ უნდა ველოდოთ მათ?

- არ მგონია. თუმცა, ამ პრობლემას ერაყის მეზობელი ქვეყნები ძალზე უფრთხიან. თურქეთში ლტოლვითა მასობრივი გადმოსვლის პერსპექტივამ სერიოზული შეშფოთება გამოიწვია, განსაკუთრებით ისეთი მგრძნობიარე რეგიონისთვის, როგორიცაა ქურთისტანი. არ მგონია, რომ რაც უნდა მასშტაბური მოვლენები განვითარდეს, ჩვენთან მსგავსი რამ გამოიწვიოს...

- ჩვენ გვიყვარს ლტოლვილთა მოპატიჟება...

- რაღაც, არ მახსოვს, ვინმე დაგვეპატიჟებინოს. თუ ჩეჩნებს გულისხმობთ, კარგად მახსოვს ის ზამთარი, როცა არღუნის ხეობით ათასობით ადამიანი გადმოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე. მაშინ მათთვის უარის თქმა არაადამიანური საქციელი იქნებოდა.

- რაიმე კორექტივებს ხომ არ შეიტანს ერაყის კონფლიქტი ნატო-ში ჩვენი გაწევრიანების პროცედურაზე?

- ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები ამ დინამიკაზე განსაკუთრებულ გავლენას არ მოახდენს. ნატო-ში გაწევრიანება ქვეყნის შიდაპოლიტიკური და შიდაეკონომიკური პროცესების განვითარებაზე უფროა დამოკიდებული. თუ პრაღის სამიტზე მიღებულ დოკუმენტებს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ღია კარის პოლიტიკა გაგრძელდება და, შესაბამისად, საქართველოსთვის შანსი იარსებებს.

- ახალი დაბრუნებული ხართ ბრიუსელის ვიზიტიდან. იყო ეს კონკრეტული ნაბიჯი ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე?

- ეს გახლდათ საქართველო-ნატო-ს პოლიტიკური კონსულტაციების რიგით მესამე რაუნდი. პრაღის სამიტზე საქართველოს მიერ ნატო-ში შესვლის ოფიციალური განაცხადის შემდეგ ეს პირველი დიალოგი იყო. ვიზიტი შედეგიანი გახლდათ. დაგეგმილ დროზე ბევრად ხანგრძლივი დიალოგი გვქონდა. ნატო-ს მხრიდან დელეგაციას პოლიტიკურ საკითხებში გენერალური მდივნის მოადგილე გიუნტერ ალტენბურგი ხელმძღვანელობდა. ჩვენი საუბრის თემატიკა საკმაოდ ფართო იყო.

- რითი წარსდექით, როგორ შეაფასეთ საქართველოში მიმდინარე ის პრობლემები, რომლის მოგვარებაც ნატო-ში მიპატიჟებული ქვეყნისთვის აუცილებელია?

- ამ პოლიტიკური კონსულტაციებისას სრულიად ახალი რამ იყო ის, რომ ჩვენ ევროატლანტიკური ინტეგრაციის ეროვნული პროგრამა წარვადგინეთ. ეს არის აუცილებელი ნაბიჯი ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელიც ნატო-სკენ მიისწრაფვის. ძალზე გულწრფელი საუბარი გვქონდა იმ პრობლემების შესახებ, რაც საქართველოში არსებობს. მოგეხსენებათ, საქართველო მშვიდობისათვის პარტნიორობის ფარგლებში პირველი ქვეყანა გახლავთ, რომელმაც ინდივიდუალური თანამშრომლობის სამოქმედო გეგმის შემუშავების მზაობა გამოაცხადა. ამ გეგმის ჩარჩო დოკუმენტი მზად, ალბათ, მიმდინარე ორი კვირის განმავლობაში იქნება. ეს ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამაა, რაც ორივე მხარის გარკვეული ვალდებულებებით აღჭურვას გულისხმობს.

ვიზიტის პროგრამით შეეხვედით ნატო-ს გენერალურ მდივანს ჯორჯ რობერტსონს. იგი მაისში ეწვევა რეგიონს. სასიხარულო გახლდათ გარკვეული სიგნალი იმის თაობაზე, რომ სამხრეთ კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში ალიანსის წარმომადგენლობა გაიხსნება.

გარდა ამისა, გვქონდა შეხვედრა ვილნიუსის ათეულის ელჩების ჯგუფთან, სადაც საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ ვისაუბრეთ. შევხვდით აშშ-ს ელჩს ნატო-ში, რომელთანაც ქართულ-ამერიკული ურთიერთობის გაფართოებისა და ამერიკის მონაწილეობის პერსპექტივებზე ვისაუბრეთ. ეს საუბარიც იმედისმომცემი გახლდათ. აშშ საქართველოს ნატო-სკენ სწრაფვას ყველა შესაძლო ფორმით დაუჭერს მხარს.

- რას აკეთებს დიპლომატია, როცა დედამიწაზე ომია?

- დიპლომატიის საქმე ომის თავიდან აცილებაა. სამწუხაროდ, როდესაც დიპლომატია უძლური ხდება, მაშინ იწყება ომები. ამ წუთში ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიადგეს საქართველოს ინტერესებს. არა მგონია, შესაძლო საომარმა მოქმედებებმა სერიოზული საფრთხე შეუქმნას საქართველოს, მაგრამ საფრთხე შეიძლება ჩვენს მოკავშირეებს შეექმნათ. ამიტომ, დიპლომატებს ომის დროსაც საკმაო სიფხიზლე მართებთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს კრიზისი ხანგრძლივი არ იქნება და არ იქნება ისეთი დამანგრეველი, როგორც, სამწუხაროდ, ზოგიერთს უნდა თვით ერაყში. თუკი ერაყის სამხედროების ზოგიერთი განცხადებიდან ვიმსჯელებთ, ეს რეჟიმი არაერთ საბედისწერო ნაბიჯზეა წამსვლელი. ჩვენი სურვილია, მოვლენები მათ მიერ შედგენილი სცენარით არ განვითარდეს.



B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

ვრემიერა „სარდაფში"

ზურა ჯამასპიშვილი

ცნობილი იტალიელი დრამატურგის, ედუარდო დე ფილიპოს პიესის, "ცილინდრის" მიხედვით გუშინ "თეატრალურ სარდაფში" ახალგაზრდა, დამწყებმა რეჟისორმა, გიორგი სავანელმა დადგა ამავე სახელწოდების სპექტაკლი. პირველად ეს პიესა საქართველოში თამაზ მესხმა დადგა. მთავარ როლს გუშინდელ სპექტაკლში ასევე ახალგაზრდა, მაგრამ არც ისე ახალი მსახიობი – მაია ციტაიშვილი ასრულებდა; სპექტაკლში მონაწილეობდნენ მარჯანიშვილის თეატრის ცნობილი მსახიობები, თენგიზ პაპიძე და კოტე თოლორაია. ახალგაზრდა რეჟისორს გაუმართლა და წარმოდგენამ სრული ანშლაგით ჩაიარა. "ჭუჭყშიც შეიძლება იყოს სისუფთავე" – ეს არის შილერის ცნობილი ფრაზა და იდეა, რომელიც, უშუალოდ, პიესაშია ჩადებული. "ჩემს მიერ შერჩეულმა მსახიობებმა, რაშიც ნამდვილად არ შევმცდარვარ, გამიმართლეს და სპექტაკლი მაყურებლებს იმ სახით გადასცეს, რა სახითაც უნდოდა პიესის ავტორს თავისი ნაწარმოები ჩვენთვის გადმოეცა" - განაცხადა რეჟისორმა "24 საათთან" საუბარში.

უძლები შედევრის დაბრუნება

საფრანგეთში გადაწყდა პიკასოს სურათი "ქალის თავი" (Tete de femme 1921 წ.) ძველ ადგილსამყოფელს დაუბრუნდეს. ეს სურათი ცნობილ ფრანგ კოლექციონერს ალფონს კანს ეკუთვნოდა. კანის კოლექცია 1940 წელს ნაცისტებმა პირწმინდად გაძარცვეს. როდესაც ომი დასრულდა, კანმა მხოლოდ საკუთარი კოლექციის ნაწილის დაბრუნება შესძლო, დანარჩენი კი უკვალოდ დაიკარგა.

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტებმა სპეციალური ორგანიზაცია შექმნეს, რომელსაც ალფრედ როზენბერგი ხელმძღვანელობდა; ორგანიზაცია ოკუპირებული ევროპის ტერიტორიაზე ხელოვნების ნიმუშების "ამოღებით" იყო დაკავებული. უდიდესი კოლექციების დაცარიელებისას გერმანელები გულდასმით და აკურატულად ადგენდნენ ექსპროპრირებული ნივთების სიებს. მაგრამ ალფონს კანის კოლექციის ნივთები და მათ შორის, პიკასოს "ქალის თავი" სკურპულოზულ გერმანულ აღწერილობაში არ აღმოჩნდა. ხშირად ამოღებული ნივთები არც აღწევდნენ როზენბერგამდე და გადამყიდველების, შემდეგ კი კერძო მფლობელების და მუზეუმების ხელში გადადიოდა. 1948 წელს, ალფონს კანის გარდაცვალების შემდეგ შედევრების ძებნას მისი ნათესავები შეუდგნენ. კანის ერთ-ერთმა ნათესავმა, ფრანსუა ვერენმა რამდენიმე წლიანი თავდაუზოგავი ძიების შემდეგ 40-ზე მეტ სურათს მიაგნო, რომლებიც მთელს მსოფლიოში იყო გაფანტული. მაგრამ მოპარული დაბრუნება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ვენერმა პიკასოს "ქალის თავს" პარიზში, პომპიდუს ცენტრში მიაგნო. მაგრამ მუზეუმის ადმინისტრაციას სურათის დაბრუნება სულაც არ სურდა. სურათის დაბრუნების საკითხი რამდენიმე წელი წყდებოდა - შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც დეტალურად სწავლობდა კოლექციის გაძარცვის ისტორიას. საბოლოოდ სურათი, რომლის ღირებულებაც 3 მილიონ ევროს წარმოადგენს, კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა.

ხირსას ეკლესიის ფრესკები შველას ითხოვს

სიღნაღის რაიონის სოფელ ხირსის ეკლესიის ფრესკები ნადგურდება. როგორც სიღნაღის რაიონის კულტურის განყოფილების გამგემ მურად ვაშაკიძემ გვითხრა, ხირსის ეკლესიის შიდა კედლებიდან ცვივა ბათქაში, რის შედეგადაც იშლება მოხატულობა. რამდენიმე ხნის წინათ, ეკლესიის შესასწავლად ხირსაში ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებიც იყვნენ, თუმცა, მაშინ ფრესკების მდგომარეობა არც ისე სავალალო იყო. ამჯერად, ხირსის ეკლესიის კედელიც გარღვეულია და ფრესკებიც თითქმის აღარ ჩანს. როგორც მურად ვაშაკიძე ამბობს, ეკლესიის გალავნის შიგნით სამუსიკო სკოლა ფუნქციონირებდა, რომელიც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II თხოვნით სხვა შენობაში გადაიტანეს. ეკლესიის გალავანში კი უახლოეს მომავალში მამათა მონასტერი გაიხსნება.

ხირსის ეკლესია მე-6 მე-7 საუკუნეებში 13 ასურელ მამათაგან ერთერთმა, სტეფანე ხირსელმა ააგო. სიღნაღის რაიონის სოფლებში ბაზილიკის ტიპის მრავალი ეკლესიაა, რომელთაც, ძირითადად, მოსახლეობა უვლის. რაიონის ხელმძღვანელობა ბოლო რამდენიმე წელია ცდილობს ისტორიული ძეგლების სარესტავრაციო თანხები მოიძიოს. სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის კულტურის სახლის უნიკალური შენობა მალე თავის ძველ ფუნქციას დაიბრუნებს. ანაგის კულტურის სახლი ეკლესიისათვის განკუთვნილ ნაგებობაში იყო განთავსებული. მისი მშენებლობა 1916 წელს დაიწყო და მხოლოდ ქვედა სართულის დასრულება მოხერხდა, რომელზეც ჯვრებია გამოსახული.

საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ, შენობა კულტურის სახლად გადაკეთდა და იქ 1924 წლიდან დღემდე კულტურის სახლი ფუნქციონირებდა. ამჯერად რაიონის ხელმძღვანელობის ინიციატივით კულტურის სახლს სხვა შენობას გამოუყოფენ და ამ ისტორიულ ნაგებობაში ეკლესია ამოქმედდება.

მედია-ნიუსი

კალენდარი

18 მარტი



ჯონ აპდაიკი 1932 წელს პენსილვანიის შტატში, პატარა ქალაქ შილინგტონში დაიბადა. მამამისი ნიდერლანდებიდან ემიგრირებული მასწავლებელი და დიაკვანი იყო, დედა – გერმანელი ქალი. პატარა ბიჭი ბაბუასთან იზრდებოდა, სადაც ის უნიტარული მსოფლმხედველობით აღზარდეს.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჯონმა ინგლისური ლიტერატურა ჰარვარდში შეისწავლა. 1953 წელს ის პირველად დაქორწინდა – მერი ენტვისტლ პენინგტონთან ერთად მწერალმა 14 წელი გაატარა, მათ ოთხი შვილი ჰყავდათ. მერისთან განქორწინების შემდეგ აპდაიკმა მხოლოდ 10 წლის თავზე შეირთო მეორე ცოლი.

ინგლისში, ოქსფორდის სამხატვრო სკოლაში, ჯონმა წარმატებით ჩააბარა გამოცდები, მაგრამ მისი ოცნება – უოლტ დისნეის კომპანიაში მხატვარი გამხდარიყო – არასოდეს ასრულებულა. ამის ნაცვლად აპდაიკმა ჟურნალ "ნიუ იორკერში" დაიწყო მუშაობა.

ვინაიდან საზოგადოებამ მისი პირველი ლიტერატურული ნაწარმოებები კარგად მიიღო, აპდაიკმა პროფესიონალი მწერლის გზა აირჩია. ის ბოსტონთან, ბევრელი ფარმსში დასახლდა და ყოველწლიურად თითო დიდ ნაწარმოებს აქვეყნებდა. მისი პირველი რომანი, 1959 წელს გამოცემული "ბაზრობა ხანაგაში", დავრდომილთა თავშესაფრის მკვიდრებისა და ამ დაწესებულების დირექტორის ურთიერთობის ამბავია მოთხრობილი.

1960 წელს ე.წ. "ბოცვერის ტეტრალოგიის" გამოცემა დაიწყო. ეს ჰერი ენგსტრიომის, მეტსახელად "ბოცვერის" ცხოვრების ამბავია. ის სრულიად ნორმალური მოქალაქეა, პროვინციული ქალაქის მცხოვრები, რომელიც ბურჟუაზიული გარემოს წინააღმდეგ აღდგომას ცდილობს, მაგრამ ნელ-ნელა ეჩვევა თავისი მონოტონური არსებობის აბსურდულობას.

1968 წელს გამოცემული რომანი, "ოჯახური წყვილი", ბესტსელერი გახდა. რომანის მოქმედების ადგილი პატარა პროვინციული ქალაქია, რომელსაც სექსუალური რევოლუციის ტალღა მისწვდა.

თავის რომანებისა და თანამედროვე საზოგადოებისა და მისი ზნეობის კრიტიკის წყალობით ჯონ აპდაიკმა მნიშვნელოვანი ქრისტიანი მწერლის სახელი მოიპოვა.

ამერიკელი მწერალი, **ჯონ აპდაიკი**, დაიბადა 1932 წლის 18 მარტს.

„სიყვარულის სულთათანა" სანკტ-პეტერბურგში

ნათია ვადაჭკორია

გრასიელა - სოფიკო ჭიაურელი

სანკტ-პეტერბურგში 28 თებერვლიდან 6 მარტის ჩათვლით ჩატარდა მონო სპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალი "მონოკლი", რომლის ორგანიზატორია რუსეთის კულტურის სამინისტრო, პეტერბურგის თეატრის მოღვაწეთა კავშირი, კულტურის განყოფილება და ბალტიის საერთაშორისო საფესტივალო თეატრი Балтиский Дом, რომელიც პეტერბურგში ძალიან ცნობილი თეატრია და საკმაოდ ხშირად ატარებს სხვადასხვა ტიპის ფესტივალებს .

ამჯერად ფესტივალზე წარმოდგენილი გახლდათ რამოდენიმე ქვეყანა 13 სპექტაკლით შემდეგი ქალაქებიდან: ფლორენცია, სანკტ-პეტერბურგი, მოსკოვი, ჩელიაბინსკი, ომსკი, ბრიუსელი, კაუნასი, ვილნიუსი და რაც ყველაზე მთავარია, თბილისი, ერთი მსახიობის თეატრი "ვერიკო", რეჟისორ თემურ ჩხეიძის სპექტაკლით "სიყვარულის სულთათანა", რომელიც გაბრიელ გარსია მარკესის პიესის - "დამჯდარი კაცის წინააღმდეგ მიმართული სიყვარულის დიატრიბას" მიხედვითაა შექმნილი და გრასიელას როლში სოფიკო ჭიაურელს წარმოგვიდგენს. სპექტაკლის მხატვარი იური გეგეშიძე გახლავთ, ხოლო მუსიკა გია ყანჩელს ეკუთვნის. ეჭვქვეშ არ შეიძლება დადგეს სპექტაკლის წარმატება, რადგან მის შექმნაზე, როგორც უკვე მოგახსენეთ, ქართული თეატრის კორიფეები მუშაობდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ესპანურიდან თეა გვასალიას შესანიშნავ თარგმანზე.

"სიყვარულის სულთათანა", რომელიც ამ ფრაზით იწყება – "ვერაფერი შეედრება ისე ჯოჯოხეთს, როგორც ბედნიერი ცოლ-ქმრული ცხოვრება", მოგვითხრობს იმ ქალის განცდებს და განვლილ ცხოვრებას, რომელიც საკუთარ ვერცხლის ქორწილზე იხსენებს მეუღლესთან განვლილ წლებს, ქმრის სიყვარულს, შემდეგ უკვე მის ღალატს. პიესის გმირის - გრასიელას თქმით, მოღალატე ქმარზე საშინელი ხომ არაფერი არსებობს, ეს კი ისე უნდა მიიღოს ცოლმა, ვითომ არაფერი მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წესი, ქმრებს ცოლებზე გაცილებით უშნო საყვარლები ჰყავთ. თუმცა, ქალმა სიამაყეს საკუთარი ღირსება არ უნდა გადააყოლოს, მოღალატე ქმარზე საშინელი ხომ არაფერია. ამ დროს ხომ იგი თვალთმაქცობს და ყველა საშუალებით ცდილობს დამალოს დანაშაული. თუმცა, არც ქალია ამ ცდუნებისგან დაცული, სოფიკო ჭიაურელის გმირი აღიარებს, რომ გათხოვილი ქალი შეიძლება არ დაწვეს სხვა მამაკაცთან, მაგრამ ქმარს მაინც უღალატოს, რას იზამ, რთულია ცხოვრება მთელი თავისი პერიპეტიებით და სპექტაკლის ბოლოს გრასიელა აღიარებს, რომ საკუთარი მეუღლე მთელი თავისი ნაკლით ისევ ისე უსაზღვროდ უყვარს, როგორც პირველად, ისეთი, როგორიც მან შეთხზა თავისი ქმარი ან უნდოდა რომ ყოფილიყო.

სანკტ-პეტერბურგის ფესტივალიდან ჩამოსვლის შემდეგ, გუშინ ქალბატონმა სოფიკომ ითამაშა "სიყვარულის სულთათანა" და ჩვენ მას სპექტაკლის შემდეგ გავესაუბრეთ.

- რამდენად თქვენეულია მარკესის პიესის გმირი – გრასიელა?

- რომ გითხრათ ჩემს ბიოგრაფიასთან ახლოს არის მეთქი, ნამდვილად, არ ვიქნები სწორი. თუმცა, ყველა ქალს აქვს ხსენებული პრობლემა, მით უმეტეს, ქართველ ქალს ქართველ მამაკაცთან. მიუხედავად იმისა, რომ კოტე მახარაძეს დონ ჟუანად თვლიდნენ, ჩვენ ისეთ დროს შევერთდით, რომ მას არაფერი აინტერესებდა ჩემს გარდა. არც პირველ ქმართან მქონია მსგავსი პრობლემები. მაგრამ ეს ხომ მარკესია და ის არ შეიძლება არ იყოს საინტერესო, თან დაერთო თეა გვასალიას საოცარი თარგმანი, ამაში უფრო მეტად დავრწმუნდი, როცა სანკტ-პეტერბურგში წავედით. პიესის რუსული თარგმანი არსებობს და როცა ვნახე, გაოცებული დავრჩი. იმდენად საშინელი იყო, რომ პიესა საერთოდ ვერ ვიცანი. რას ვიზამდი და მე თვითონ ვთარგმნე რუსულად. არადა, ძალიან მომწონს, საოცარი დამოკიდებულებაა ქალსა და მამაკაცს შორის, ფსიქოლოგიურადაა აღწერილი ოჯახური ურთიერთობები, სიყვარული, მარტო დარჩენილი ქალის ტრაგიზმი და საერთოდ, ყველაფერი.

- თემურ ჩხეიძესთან ერთად, მგონი, პირველად იმუშავეთ ერთი მსახიობის თეატრის სცენაზე.

- თემურ ჩხეიძესთან ეს ჩემი მესამე სპექტაკლია. მარჯანიშვილის თეატრში მის მიერ დადგმულ პიესაში, იბსენის "მოჩვენებანი" ვითამაშე, მეორე იყო შილერის "ვერაგობა და სიყვარული", მარკესის პიესა მესამეა, მაგრამ ამ თეატრის სცენაზე პირველი სპექტაკლია.

- თუ შეიძლება, ეხლა სანკტ-პეტერბურგის ფესტივალ "მონოკლსაც" შევეხოთ...

- მონო- სპექტაკლების ფესტივალზე პერსონალურად მიმიწვიეს. თეატრში Балтиский Дом ორი სცენაა – დიდი და მცირე. სწორედ პატარა სცენაზე მიმდინარეობდა ფესტივალი, რომელიც საკონკურსოა, თუმცა, მე საპატიო სტუმარი გახლდით და ფესტივალი ჩემი სპექტაკლით დაიხურა 6 მარტს. მართალი გითხრათ, იქაურ თეატრალურ ელიტას ისე მოეწონა სპექტაკლი, რომ მეორე დღეს 7 მარტს მათი თხოვნით ვითამაშე (დავამატებ, რომ ავტორიტეტებში იგულისხმებოდნენ: კირილ ლავროვი, ალისა ფრეინდლიხი, ოლეგ ბასილაშვილი და სხვანი). სანკტ- პეტერბურგში 4 მარტს ჩავფრინდით და სამწუხაროდ სხვა სპექტაკლების ნახვა ვერ მოვასწარი, თუმცა, ჩვენმა სპექტაკლმა ისეთი დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ აეროპორტში რუსეთის წამყვანი ტელეკომპანიები დაგვხვდნენ - OPT, PTP და სხვანი, რომლებიც, ფაქტობრივად, ჩემს ყოველ ნაბიჯს ფირზე იწერდნენ. ჩემი ჩასვლა მიიღეს, როგორც დიდი საჩუქარი.

- და ბოლოს, როგორი უახლოესი გეგმები აქვს "ვერიკოს" თეატრს?

- კოტეს დაკარგვის შემდეგ თეატრს სათავეში ჩავუდექი (*ქალბატონი სოფიკო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია*) და მთელი სიმძიმე ჩემზე გადმოვიდა. მაისში გველის გასტროლები კიევში ოთხი სპექტაკლით: მურმან ჯინორიას "ჰამლეტი", "სიყვარულის სულთათანა", "დედა დედოფალი" ჩემი და მურმანის მონაწილეობით და "კონტრაბასი", ხოლო ოქტომბერში მოსკოვში მივემგზავრებით. რაც შეეხება ახალ სპექტაკლებს, ჯერ მათ შესახებ ვერ გეტყვით. გეგმები ბევრია, მთავარია გვეყოს ძალა და შემართება. ჩვენი თეატრი მუნიციპალურია და ბევრი სირთულის წინაშე დგას, სწორედ მათი მოგვარებაა ჩემი უპირველესი საზრუნავი.

ფრანკოფონიის კვირეული დაიწყო

ალბერ კამიუს ახალი თარგმანები

ანა ქორძაია-სამადაშვილი

მირეი მიუსო კამიუს თარგმანების პრეზენტაციაზე

გუშინ თბილისში „ფრანკოფონიის კვირეული-2003" დაიწყო. ამასთან დაკავშირებით საღამოს, ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრში, ანუ ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში, ალბერ კამიუს სამი წიგნის პრეზენტაცია შედგა.

"გადასახლება და სამეფო", "ქორწინება", "ზაფხული" და "სარჩული და პირი" ცნობილი მთარგმნელის, ბატონ გიორგი ეკიზაშვილის ახალი თარგმანებია. წიგნები საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის კულტურის ცენტრის ხელშეწყობით, მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოიცა.

თარგმანები გამომცემლობა "სანის" მიერაა გამოქვეყნებული – 2002 წელს ამ გამომცემლობამ უკვე დაბეჭდა გიორგი ეკიზაშვილის ლექსებისა და თარგმანების კრებული, "მე ის კაცი ვარ, ტრამალები რომ ესიზმრება". დღეიდან ალბერ კამიუს ახალი თარგმანები თბილისის წიგნის მაღაზიებში გაიყიდება, გუშინ კი მათი შეძენა ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში მობრძანებულებს შეეძლოთ.

მობრძანებულნი კი ბევრნი იყვნენ: საფრანგეთის საელჩოს თანამშრომლები, ცნობილი ლიტერატორები და მთარგმნელები, ფრანგული ლიტერატურის თაყვანისმცემელნი და, რაც ყველაზე სასიხარულოა, სტუდენტები, რომლებიც კიბეზე ჩასვლისას ძალიან ღელავდნენ, რომ ამ ბრწყინვალე საზოგადოების ფონზე მათ დარბაზში არავინ შეუშვებდათ. ყველა შეუშვეს.

საღამოს ძირითადი მოვლენა ბატონ გიორგი ეკიზაშვილის საუბარი გახლდათ – მთარგმნელმა მწერლის შემოქმედების შესახებ ისაუბრა. თავისთავად ცხადია, რომ ლიტერატორი, რომელიც მწერლის შემოქმედებას თარგმნის, ამ საკითხში საუკეთესოდ ერკვევა, ამიტომ კომენტარებისგან თავს შევიკავებთ.

საღამოს მონაწილეთა თქმით, თავად ალბერ კამიუ, ფრანგი ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსი და მწერალი, ფრანგული "ათეისტური ეგზისტენციალიზმის" ერთ-ერთი დამაარსებელი და ნობელის პრემიის ლაურეატი, არამარტო საფრანგეთისთვის, არამედ მთელი ფრანკოფონული სამყაროსთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა - თუ არ ვიტყვით, რომ მთელი კაცობრიობისთვისაც. ალჟირში დაბადებული მწერალი, რომლის სადიპლომო ნამუშევარიც ქრისტიანულ მეტაფიზიკასა და ნეოპლატონიზმის საკითხებს ეძღვნებოდა, სტუდენტობის დროს კომუნისტური პარტიის წევრი გახდა - 1937 წლამდე. საერთოდ, მისი ბიოგრაფია მრავალი თვალსაზრისითაა საინტერესო და ნიშანდობლივი - თუნდაც ის ფაქტი, რომ 1942 წელს, საფრანგეთში, ის იატაკქვეშა ორგანიზაციის, "კომბას" წევრი იყო - სწორედ მაშინ გამოაქვეყნა "წერილები გერმანელ მეგობარს".

ალბერ კამიუს მოთხრობები, განსაკუთრებით კი "უცხო", ესსე "მითოსი სიზიფეს შესახებ", რომანები "შავი ჭირი" და "დაცემა" ქართველმა მკითხველმა, უკვე დიდი ხანია, დააფასა და შეიყვარა. განსაკუთრებული პოპულარობით, ცხადია, მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ფილოსოფიური ნაწარმოები, "აჯანყებული ადამიანი" სარგებლობს.

ალბათ, ქართველი მკითხველის წიგნის თაროზე ახალი თარგმანებიც საპატიო ადგილს დაიკავებს.

გოია, ტანჯული სული

გოიას გრაფიკა

მოსკოვის არქეოლოგიის მუზეუმში წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოფენა გაიხსნა. "გოია. ტანჯული სული" დიდი ესპანელი მხატვრის, ფრანცისკო დე გოიას მიერ 1793-დან 1823 წლამდე შექმნილ ყველა გრაფიკულ სერიას წარმოადგენს: "კაპრიჩოს", "ომის საშინელება", "ხარების ბრძოლა", "სისულელეები".

გოიას ნამუშევრების ეს მასშტაბური გამოფენა "ესპანური ტრილოგიის" შემადგენელი ნაწილია, რომელიც ხელოვნების მოყვარულებს სალვადორ დალის, ფრანცისკო დე გოიასა და პაბლო პიკასოს ნაკლებად ცნობილ ნამუშევრებს გააცნობს.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი ნამუშევრების უმრავლესობა გერმანელი კოლექციონერების კერძო საკუთრებას წარმოადგენს, ოფორტები კი Kunstgallerie Boettingerhaus Bamberg-ს ეკუთვნის.

გოია კარის მხატვარი იყო, მეფისა და არისტოკრატების შეკვეთებს ასრულებდა, ამიტომ გრაფიკული სერიები მისთვის თავისუფალი შემოქმედებისა და თვითგამოხატვის საშუალება იყო. ეს სერიები ხელოვნების ისტორიაში განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს.

"კაპრიჩოს" 80 ნამუშევრისგან შედგება. გრავიურები იმდროინდელი ესპანეთის სისასტიკეს აღწერს. დღეს მსოფლიოში გოიას ცხოვრების დროს გაყიდული ამ სერიის 5 ალბომიღაა შემორჩენილი და გამოფენაზე დამთვალიერებელს ერთ-ერთი მათგანის ნახვა შეუძლია. ამ ალბომს უცნობი ავტორის კომენტარები აქვს დართული.

"ომის საშინელება" 80 ოფორტს წარმოადგენს. ბატალისტი მხატვრების პომპეზური სურათებისგან განსხვავებით, გოიამ ომის ნამდვილი სახე წარმოაჩინა – მის ნამუშევრებს ომის წინააღმდეგ ბრალდება შეიძლება ეწოდება.

"ხარების ბრძოლა" კორიდის ხელოვნებისა და მისი გმირების სიმამაცის სადიდებელია. სრული სერია 33 ოფორტისგან შედგება, რომელსაც 7 დამატებითი ნამუშევარიც ახლავს, რომლებიც გოიამ, თავდაპირველად, ალბომში არ შეიტანა.

"სისულელეები" ფანტასტიკური სიუჟეტებითაა სავსე. არარსებული სამყარო მხატვარმა სხვა, ამაღლებულ დონეზე აიყვანა.

გამოფენა "გოია. ტანჯული სული" მოსკოვში 18 მაისამდე გასტანს.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავია?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

გულშემატკივართა დიდი ერთგულება

ნინო პირველი

კლაუს აუგენტალერი

REUTERS

კვირას ბუნდესლიგაში უცნაური რამ მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ აუტსაიდერმა, "ნიურნბერგმა", საკუთარ მოედანზე კიდევ ერთი მატჩი წააგო და საბოლოოდ განიმტკიცა უმაღლესი ლიგიდან გავარდნის კანდიდატის მეტად არასახარბიელო წოდება, ბავარიული კლუბის გულშემატკივრები მაინც თავიანთი გუნდის მთავარ მწვრთნელს უჭერდნენ მხარს და მის დასაცავადაც კი გამოვიდნენ.

საქმე ის არის, რომ მატჩის დაწყებამდე "ნიურნბერგის" ბოსი, მიხაელ როტი, საჯაროდ იმუქრებოდა, თუ გუნდი "ჰერტასთანაც" წააგებს, კლაუს აუგენტალერი უმუშევარი დარჩებაო. "მე აუგენტალერს ვენდობი, მაგრამ მხოლოდ კვირის მატჩამდე. თუ "ჰერტას" ვერ მოვუგებთ, ყველაფერი დამთავრდება", - ამბობდა როტი შეხვედრის დაწყებამდე. "ნიურნბერგის" ბოსს გაბრაზების საფუძველი ნამდვილად ჰქონდა - გასულ ტურში მისმა კლუბმა კრიზისიდან გამოსულ "კაიზერსლაუტერნთან" წააგო გამანადგურებელი ანგარიშით და, "იმპერატორების" ნაცვლად, თავად დაიკავა მეჩვიდმეტე ადგილი ბუნდესლიგის ცხრილში. ბავარიელებთან მოგებამდე "კაიზერსლაუტერნიც" ისეთივე აუტსაიდერი იყო, როგორც "ნიურნბერგი", მაგრამ ახალი მწვრთნელის, ბელგიელი ერიხ გერეტსის მოსვლის შემდეგ კლუბში ყველაფერი შეიცვალა. "კაიზერმა" თავი დააღწია კრიზისს და ბუნდესლიგაშიც შეინარჩუნა ადგილი. "ნიურნბერგი" კი ამ უაღრესად მნიშვნელოვან ამოცანას, ჯერჯერობით, ვერ ასრულებს...

"ჰერტასთან" შეხვედრამდე მიხაელ როტს, შესაძლოა, არც კი ჰქონდა იმის იმედი, რომ მისი თავგზააბნეული გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ ბერლინელებს სამ ქულას დააკარგვინებდა, მაგრამ ასეთ სასტიკ მარცხსაც, ალბათ, არავინ ელოდა იმ კლუბისგან, რომელიც გავარდნის საფრთხის წინაშე დგას და, წესით, თითოეული ქულისთვის თავგამოდებით უნდა იბრძოდეს... ნიურნბერგელებს არც საკუთარ "ფრანკენშტადიონზე" თამაშმა უშველა და მათ მშვიდად და გონივრულად მოთამაშე "ჰერტას" წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. ჰუუბ სტივენსის ფეხბურთელებმა სამჯერ დალაშქრეს დაბნეულ მასპინძელთა კარი და კმაყოფილები დაბრუნდნენ ბერლინში.

მატჩის შემდეგ "ნიურნბერგის" ფანებმა საიდანღაც მოიტანეს რეპროდუქტორები და ყველას გასაგონად დაიწყეს გუნებაწამხდარი კლაუს აუგენტალერის გამხნევება და ფეხბურთელთა კრიტიკა, რომელთაც ვერ გაამართლეს მწვრთნელისა და ფანების იმედი და საშინლად ითამაშეს. ფანები გულმოდგინედ იცავდნენ "აუგეს" და უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ ფეხბურთელებს. ზოგიერთმა გულშემატკივარმა ისიც კი მოითხოვა, ყველანი გაყარეთ და გუნდი ხელახლა დააკომპლექტეთო... მოკლედ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ კლუბის პრეზიდენტი, მიხაელ როტი, იძულებული გახდა, გულშემატკივრებთან შესახვედრად გამოსულიყო. "ნიურნბერგის" ფანებმა პრეზიდენტს აგრძნობინეს, რომ მას არ მისცემდნენ აუგენტალერის გუნდიდან გაგდების ნებას. "ძალიან კარგი, - განაცხადა გაბრაზებულმა როტმა, - თუ ასეა, აუგენტალერთან ერთად წავიდეთ მეორე ლიგაში". ფანებს ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ და აუგენტალერის კლუბში დარჩენის საკითხიც, ჯერჯერობით, დადებითად გადაწყდა.

აუგენტალერის გუნდში დატოვებას კლუბის სხვა წევრებიც მიემხრნენ. ბოლოს და ბოლოს, რა უნდა მოიმოქმედოს მწვრთნელმა, როცა ფეხბურთელები გაოგნებულნი დარბიან მოედანზე და უემოციოდ უყურებენ, როგორ გააქვს მეტოქეს მათ კარში სამი გოლი? რა ქნას აუგენტალერმა, როცა გუნდში არავის აქვს გამარჯვების წყურვილი და ყველა მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით თამაშობს? შარშან ბავარიული კლუბი უფრო მიზანსწრაფული და მონდომებული იყო და მოახერხა კიდეც ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება. წლეულს გუნდი უსიცოცხლო და ინერტულია. "ნიურნბერგის" წარუმატებლობის მიზეზიც, ალბათ, სწორედ ფეხბურთელთა დაულაგებელი, უმოტივაციო თამაშია და არა კლაუს აუგენტალერის არაპროფესიონალიზმი.

ნედვედი „იუვეს" ლიდერად ყალიბდება

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ტურინის "იუვენტუსს", ალბათ, წლეულსაც არ გაუჭირდება "სკუდეტოს" მოგება. ტურინელები სამი ქულით უსწრებენ მილანის "ინტერს" და, ექტორ რაულ კუპერის ჯინაზე, ერთ ქულასაც კი არ კარგავენ. "ბებერმა სინიორამ" ჩემპიონთა ლიგაშიც გამოასწორა სიტუაცია - ბოლოსწინა ტურში ბოლო წუთებზე მოუგო ლა კორუნიას "დეპორტივოს" და, ფაქტობრივად, გაიანაღდა მეოთხედფინალში გასვლა. რა უნდა მოხდეს ბაზელში, რომ ტურინელებმა ექვსი გოლი გაუშვან?

სანამ ტურინელთა კაპიტანი, ალექს დელ პიერო, ტრავმას იშუშებდა, "ბებერი სინიორას" ლიდერობა ჩეხმა პაველ ნედვედმა აიღო საკუთარ თავზე. ნედვედი შესანიშნავ ფორმაშია. გონივრულად წარმართავს გუნდის თამაშს, აკეთებს საგოლე პასებს და, თუ შემთხვევა მიეცემა, არც მეტოქის კარის დალაშქვრაზე ამბობს უარს. "მოდენასთან" მატჩში ჩეხმა ნახევარმცველმა ორი გოლი გაიტანა და ის შეხვედრა საკუთარ ბენეფისად აქცია.

მატჩის შემდეგ ნედვედი უცებ მოექცა ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში. სპორტულმა გამოცემა "Domenica Sportiva"-მ ფეხბურთელი "ოქროს ბურთის" მოპოვების კანდიდატადაც კი დაასახელა, რაზეც ნედვედმა თავმდაბლად განაცხადა, ამქვეყნად ჩემზე ბევრად უკეთესი ფეხბურთელებიც მოიძებნებიანო.

"მართალია, ბევრს ვაღწევ, მაგრამ ეს მთელი გუნდის დამსახურებაა. მათ გარეშე მე ვერაფერს გავხდებოდი. "ოქროს ბურთზე" არც კი მიფიქრია. ბევრი ფეხბურთელია, ვინც ამ საპატიო ჯილდოს ჩემზე მეტად იმსახურებს. არც "იუვეს" ლიდერობა მინდა, რადგან ვფიქრობ, რომ ფერარას, დელ პიეროს ან კონტეს ჩემზე უკეთესად შეუძლიათ ამ ფუნქციის შესრულება", - განაცხადა ნედვედმა.

შევჩენკო წასასვლელად ემზადება

იტალიაში უკვე დიდი ხანია ჭორაობენ, რომ "მილანის" უკრაინელ ფორვარდს, ანდრეი შევჩენკოსა და გუნდის თავკაცს, კარლო ანჩელოტის შორის თანდათან იძაბება ურთიერთობა. სერია A-ს ბოლო ტურში, რეჯო კალაბრიელმა ტიფოზებმა "შევა" მხოლოდ მატჩის ფინალურ ეტაპზე იხილეს მოედანზე. მანამდე ანჩელოტიმ უკრაინელ ფორვარდს უმოწყალოდ ახეხინა სათადარიგოთა სკამი. შევჩენკოს შესვლა "მილანისთვის" ფეხბედნიერი ვერ აღმოჩნდა. სტუმრებმა ერთხელაც ვერ დალაშქრეს "რეჯინას" კარი და ცუდი განწყობით დაბრუნდნენ ნისლიან ლომბარდიაში. სამხრეთში დაკარგული ორი ქულა "მილანისთვის" უკვე სერიოზული წარუმატებლობაა.

ანდრეი შევჩენკოს, როგორც ჩანს, იმედი დაეკარგა, რომ "მილანში" ძველ პოზიციებს დაიბრუნებს. ჯერჯერობით, თავად "შევა" არაფერს ამბობს, მაგრამ იტალიელი სპორტული ჟურნალისტები უკვე ინტენსიურად განიხილავენ ყველა შესაძლებელ ვარიანტს და ძალიან აინტერესებთ, რომელ კლუბს გააბედნიერებს უკრაინელი თავისი თანხმობით.

მადრიდის "რეალი", უკვე ორი წელიწადია, შევჩენკოს ხელში ჩაგდებას ცდილობს. მადრიდელებს ეს სურთ ახლაც, როცა გუნდში ჰყავთ ისეთი ძლიერი ფორვარდი, როგორიც მუნდიალის საუკეთესო გოლეადორი რონალდოა. შევჩენკოს გადაბირებაზე არც ინგლისური "მანჩესტერ იუნაიტედი" იტყოდა უარს, მით უმეტეს, რომ "მან იუს" სკანდალური ვარსკვლავი, დევიდ ბეკჰემი, სეზონის ბოლოს მილანში გადასვლას გეგმავს. შესაძლოა, "შევამ" და "ბეკჰემ" ადგილები გაცვალონ, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ბეკჰემის შეძენა "მილანს" კი არა, მასიმო მორატის "ინტერს" სურს...

შირერს ნაკრებში დაბრუნება არ სურს

"ნიუკასლის" ვეტერანი ფორვარდი, ალან შირერი, ისეთ საუცხოო ფორმაშია და ჩემპიონთა ლიგაში ისეთი შემართებით გააქვს გოლები, რომ ინგლისის ნაკრების შვედმა თავკაცმა, სვენ გორან ერქისონმა, ბობი რობსონის ფეხბურთელს ნაკრებში დაბრუნებაც კი შესთავაზა, რაზეც შირერმა ცივი უარი განაცხადა.

"ნიუკასლის" ფორვარდმა ეროვნული გუნდი ბელგია-ჰოლანდიის 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დატოვა, როცა ინგლისის ნაკრები ჯგუფში ჩარჩა. მას შემდეგ შირერს ნაკრების მაისურით აღარ უთამაშია.

"სისულელე იქნებოდა იმის თქმა, რომ არასოდეს მიფიქრია ნაკრებში დაბრუნებაზე. გულახდილად გეტყვით: ამ საკითხზე დიდხანს ვმსჯელობდი მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად. საბოლოოდ კი გადავწყვიტე, რომ ნაკრებში აღარ ვითამაშებ. ახლა მინდა, კარიერის დარჩენილი წლები "ნიუკასლში" გავატარო და გუნდს წარმატების მოპოვებაში დავეხმარო. დარწმუნებული ვარ, წლეულს "ნიუკასლი" ბევრს მიაღწევს როგორც ჩემპიონთა ლიგაში, ისე ინგლისის ჩემპიონატშიც", - განაცხადა შირერმა.

„ინტერის" პორტუგალიური დაკვირვებები

მილანის "ინტერი" ადგენს იმ ფეხბურთელთა სიას, ვისი შეძენის შესაძლებლობასაც მილანელები სეზონის ბოლოს განიხილავენ. "ინტერის" პორტუგალიელი სელექციონერი, ლუიშიტო სუარესი, გულმოდგინედ ადევნებს თვალს ლისაბონის "ბენფიკას" მატჩებს და მასიმო მორატის დავალებით აკვირდება ახალგაზრდა ნახევარმცველს, ლუიშ მიგელ ბრიტო გარსია მონტეიროს, მოკლედ კი - მიგელს.

ოცდასამი წლის მიგელი "ბენფიკაში" "ესტრელა არმადორადან" მოხვდა და მაშინვე ლისაბონური კლუბის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა. მიგელი უფრო დაცვაზე ორიენტირებული ნახევარმცველია, შეტევაში არცთუ ისე ხშირად ერთვება. "ინტერმა" უკვე დაიწყო მოლაპარაკებები ფეხბურთელის აგენტ მენდესთან და, შესაძლოა, ახალგაზრდა ნახევარმცველმა ახალი სეზონი, ლისაბონის ნაცვლად, მილანში დაიწყოს.

დი ვაიო ერთი თვით დაისვენებს

ტურინის "იუვენტუსმა" იოლად კი მოუგო არც ისე ძლიერ "მოდენას", მაგრამ ტურინელებმა ეს მატჩი უდანაკარგოდ მაინც ვერ დაასრულეს - "პარმადან" ახლად გადასულმა ფორვარდმა მარკო დი ვაიომ მარცხენა ფეხის კოჭი დაიზიანა და შესაცვლელი გახდა.

თავიდან დი ვაიოს ტრავმა არცთუ ისე სერიოზული ჩანდა, მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, "იუვეს" ფორვარდს ფორმაში ჩასადგომად ოცდახუთი-ოცდაშვიდი დღე დასჭირდება.

ტურინელთათვის ეს მეტად უსიამოვნო სიახლეა. სერია A-ს რომ თავი დავანებოთ, დი ვაიოს ჩემპიონთა ლიგის ორივე მეოთხედფინალის გამოტოვებაც მოუწევს და თავისი გუნდის ლიგურ ჭიდილს მხოლოდ ტრიბუნებიდან უყურებს...

ზამერს და გერმანიას ზღაპრების არ სჯერათ

დიმიტრი ობოლაძე

დასასრულს უახლოვდება UEFA-ს ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპი. დღეს გაიმართება უკანასკნელი ტურის ოთხი მატჩი, რომელთა შორის არც ერთის გამორჩევა არ შეიძლება. „მილანი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" უკვე მეოთხედფინალში არიან. იმის მიუხედავად, თუ როგორ დასრულდება უკანასკნელი ტურის შეხვედრები, ორივე გუნდი პირველ ადგილზეა გასული. თამამად შეგვიძლია, ამ სიაში შევიტანოთ მადრიდის „რეალიც" და ტურინის „იუვენტუსიც".

C ჯგუფი
ლოკომოტივი - რეალი
ბორუსია - მილანი

1	მილანი	5	4	0	1	13	12
2	რეალი	5	2	2	1	8	8
3	ბორუსია	5	2	1	2	7	7
4	ლოკომოტივი	5	0	1	4	3	1

ამ ჯგუფში, პრაქტიკულად, ყველაფერი გადაწყვეტილია. თავად მატიას ზამერს არ სჯერა, რომ მოსკოვის „ლოკომოტივი" მადრიდელებს დაამარცხებს. „ჩვენ ძალიან ადვილად შევძელით რუსების დამარცხება, - განაცხადა ზამერმა, - მათ არც ერთი საგოლე მომენტი არ შეუქმნიათ. წარმომოდგენია, რას იზამს „რეალი", რომელსაც ამ მატჩში მხოლოდ გამარჯვება სჭირდება. ლიგაში სასწაულების დრო დასრულდა". მოსკოვში კი საუბრობენ იმაზე, რომ 11 დეკემბერს სანტიაგო-ბერნაბეუზე „ლოკომოტივმა" გმირობა ჩაიდინა და ესპანეთიდან ერთი ქულა წამოიღო. ზღაპრების მხოლოდ რუსეთში სჯერათ. ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: ჩემპიონთა ლიგის უდავო ფავორიტი, მადრიდის „რეალი", მეორე ეტაპზე, პირველთან შედარებით, გაცილებით მძიმედ გამოიყურება. დელ ბოსკეს გუნდმა პირველი მატჩი „მილანთან" 0:1 წააგო, შემდეგ ზემოთ ნახსენები ფრე რუსებთან და დრამატული, როგორც შეიძლება აღმოჩნდეს, გადამწყვეტი გამარჯვება „ბორუსიასთან" მატჩში. დაიწყო საუბარი იმის თაობაზე, რომ „რეალში" კრიზისშია და გუნდს ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა ემუქრება. იტალიელთა მწვრთნელი, ანჩელოტი, ვერავის დაარწმუნებს იმაში, რომ მას მადრიდში წარმატება არ სჭირდებოდა. „რეალმა" კვლავ აჩვენა საჩემპიონო თამაში და 3:1 დაამარცხა მილანელები. უკვე მატჩის შემდეგ, ანჩელოტიმ, რომელიც მანამდე ამბობდა, რომ, ყველანაირად ეცდებოდა, „რეალი" ჩამოეშორებინა, განაცხადა, რომ მის გუნდს მოგება არ სჭირდებოდა. საინტერესოა „რეალისა" და რუსეთის კლუბების ურთიერთშეხვედრების სტატისტიკა. მადრიდელებს არასოდეს მოუგიათ რუსეთში. 7 მატჩი, 4 მარცხი, 3 ფრე. „რეალს" მხოლოდ მოსკოვის გუნდებთან - „სპარტაკთან", „ლოკომოტივთან", „ტორპედოსთან" და „დინამოსთან" უთამაშია. სხვათა შორის, შარშანდელ სეზონში „რეალს" სწორედ სიომინის გუნდმა მოუგო (2:0). რაც შეეხება მეორე მატჩს. ანჩელოტის გუნდი თავს არ მოიკლავს, თუმცა, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე „მილანი" წაგებას ნამდვილად არ აპირებს. არსებობს ერთი ვარიანტი: თუ დღეს ესპანელები წააგებენ, ხოლო ზამერის გუნდი ერთ ქულას მოიპოვებს, ორივე კლუბს 8-8 ქულა ექნება. ამ შემთხვევაში, ურთიერთშეხვედრებში მოპოვებული უპირატესობის წყალობით, მეოთხედფინალში მადრიდელები გავლენ. მოკლედ, ზამერის გუნდმა უნდა მოიგოს, მწვრთნელმა კი „ლოკომოტივის" გამარჯვებაზე იოცნებოს.

D ჯგუფი
ბაზელი - იუვენტუსი
დეპორტივო - მანჩესტერი

1	ბაზელი	5	4	1	0	11	13
2	იუვენტუსი	5	2	1	2	10	7
3	დეპორტივო	5	1	1	3	5	4
4	მანჩესტერი	5	1	1	3	3	4

„დეპორტივოსა" და მისი დღევანდელი მეტოქის, „მანჩესტერ იუნაიტედის" ურთიერთობა 2001-02 წლის ჩემპიონთა ლიგის სეზონში დაიწყო. პირველი მატჩი ესპანელებმა რიაზორზე 2:1 მოიგეს, ოლდ ტრაფორდზე კი 3:2 გაიმარჯვეს, რაც ფერგიუსონის გუნდისთვის ნამდვილად დამამცირებელი შედეგი იყო. მაშინ ჰავიე ირურეტამ დიდი შეცდომა დაუშვა. მან განაცხადა, რომ მისი გუნდი ყველაზე ძლიერია და „მანჩესტერ იუნაიტედს" არავითარი შანსი არ ჰქონდა. ეს გუნდები მეოთხედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს, რაც ირურეტას გუნდისთვის კატასტროფით დასრულდა. მისმა ფეხბურთელებმა მხოლოდ უხეშობით დაგვამახსოვრეს თავი, დევიდ ბეკჰემს კი ფეხი მოსტყდა. ყველაფერი პირველივე შეხვედრაში, დღევანდელი მატჩის მასპინძელ რიაზორზე დასრულდა. ინგლისელებმა 2:0 დაამარცხეს „დეპორტივო", განმეორებით შეხვედრაში 3:2 გაიმარჯვეს. სწორედ მაშინ დაშავდა ბეკჰემი – ის ალდო დუშერმა გამოიყვანა მწყობრიდან. სავარაუდოდ, ეს ორი ფეხბურთელი დღესაც შეხვდება ერთმანეთს. თუმცა, ახლა ფერგიუსონის გუნდს ტრავმების გამო პრობლემები ექმნება. როი კინმა, ჰუან სებასტიან ვერონმა, კუინტონ ფორჩუნმა და უესლი ბრაუნმა პრემიერლიგის უკანასკნელი მატჩი გამოტოვეს. სამაგიეროდ, ითამაშეს ბეკჰემმა, ბარტეზმა, ნისტელროომ და რაან გიგზმა. „ასტონ ვილას" კარში ერთადერთი გოლი სწორედ ბეკჰემმა გაიტანა. ინგლისელები ლა კორუნიაში გამარჯვების სურვილით ჩადიან. „მანჩესტერ იუნაიტედს", UEFA-ს ეგიდით ჩატარებულ ტურნირებში, უკანასკნელი 23 მატჩიდან მხოლოდ ერთი აქვს წაგებული. თუმცა, ეს მარცხი დღესაც ძაღლის ნაკბენივით ახსოვს გარი ნევილს. „ჰაიფასთან" წაგება ჩვენთვის დიდი სირცხვილია, - განაცხადა მცველმა, - მე არ ვაკნინებ "მაკაბის" ღირსებებს, მაგრამ ეს ხომ "მანჩესტერ იუნაიტედია", მსოფლიოს უმდიდრესი კლუბი. „დეპორტივო" უნდა დავამარცხოთ". ირურეტას გუნდის ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდა მეკარე მოლინა, რომელმაც მშრალად შეინახა საკუთარი კარი „რაიო-ვალეკანოსთან" მატჩში. ის თამაში ლაკორუნიელებმა 2:0 მოიგეს. თავისი, სეზონში მეოცე გოლი გაიტანა ჰოლანდიელმა მაკაიმ. ტრავმის გამო ვერ ითამაშეს ცეზარმა, ვიქტორმა და ალდო დუშერმა. ასე რომ, შეიძლება ბეკჰემ-დუშერს შორის „საქმის გარჩევა" არც დღეს შედგეს. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2", 23 საათსა და 45 წუთზე გთავაზობთ პირდაპირ რეპორტაჟს ლა კორუნიადან.

მძლეოსნობა

ამერიკა დარბის, ამერიკა გარბის

გიგა გურასაშვილი

ბირმინგემის სადარბაზო მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით დღეს პროგნოზები ნაწილობრივ გამართლდა. ჭოკით ხტომა და 3000 მეტრზე რბენა ის დისციპლინებია, რომლებიც ყველაზე მეტი ყურადღებით სარგებლობდა. ერთშიც და მეორეშიც მსოფლიო რეკორდებს ვარაუდობდნენ. რეკორდი კი მხოლოდ ჭოკით ხტომაში დაემხო. მასპინძელთა განსაკუთრებული ყურადღება 60 მეტრზე თარჯრბენისკენაც იყო მიპყრობილი. უყურადღებოდ არც 800 მეტრზე ქალთა ფინალური გარბენი დარჩენილა.

კოლინ ჯექსონი (შუაში) თარჯრბენიდან გაიქცა

ამერიკელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ისინი ისევ სარბენი ბილიკების ბატონ-პატრონნი არიან. მიუხედავად ამისა, გულის სიღრმეში მასპინძლები – ინგლისელებიც ოცნებობდნენ პირველობაზე. თუმცა, მათ მეოთხე ადგილი დაიკავეს. მედლების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლით ამერიკელები გვარიანი უპირატესობით აიბარგნენ ბირმინგემიდან. სულ იანკებმა 17 მედალი მოიპოვეს (10 ოქრო, 3 ვერცხლი და 4 ბრინჯაო). 12 მედლით (5 ოქრო, 4 ვერცხლი და 3 ბრინჯაო) მეორე ადგილზე რუსები არიან, მესამეზე, ოთხი ოქროს მედლით, - შვედები. პრიზიორთა მარაქაში მხოლოდ 27 ქვეყანა გაერია. დანარჩენები უმედლოდ დარჩნენ, მათ შორის საქართველოც, რომელიც ბირმინგემის ჩემპიონატს 60 მეტრზე თარჯრბენში დავით ილარიანის იმედად ეწვია. მართალია, მისგან ფინალისტობას და პრიზიორობას არავინ ელოდა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ილარიანმა პირველ საკვალიფიკაციო წრეში ფინიშამდეც ვერ მიაღწია. რაკი თარჯრბენზე ჩამოვარდა სიტყვა, იმაზეც ვთქვათ, ვინც ყველაზე იმედგაცრუებული დარჩა. ასეთი კი ბრიტანელი, კერძოდ, უელსელი კოლინ ჯექსონია. 18-წლიანი წარმატებული კარიერის განმავლობაში 36 წლის ჯექსონი არაერთ ჯილდოს დაუფლებია, მაგრამ სპორტიდან წასვლა, როგორც თავად განაცხადა, ბირმინგემის სარბენი ბილიკებიდან სურდა, თანაც, კარის გაჯახუნებით. ბრიტანელმა მეხუთე შედეგით დაასრულა ასპარეზობა. მიუხედავად ამისა, ბრიტანეთის სპორტული ისტორიის ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა ათლეტმა თანამემამულეთა მხურვალე ოვაცია დაიმსახურა.

“ძალიან მინდოდა, მედალი მომეპოვებინა. თითქოს, შემეძლო კიდეც, მაგრამ უკვე დისტანციის შუაში მივხვდი, რომ ვერაფერს გავაწყობდი. მიხედავად ამისა, საერთაშორისო სარბიელის ფინალში კიდევ ერთხელ გამოსვლამ მაინც დიდი სიამოვნება მომანიჭა. რას იზამ, ბებერ მუხლში ძველებური ჯანი აღარ მაქვს...

როგორც უნდა იყოს, იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ ისევ მსოფლიოს უსწრაფეს ადამიანად ვრჩები”, - განაცხადა 60 და 110 მეტრზე თარჯრბენის მსფლიოს მოქმედმა რეკორდსმენმა, მსოფლიოს ორგზის და ევროპის ოთხგზის ჩემპიონმა, სეულის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანმა კოლინ ჯექსონმა. გამარჯვება კი, უფრო სწორად, ესტაფეტა ამერიკელმა ალენ ჯონსონმა ჩაიბარა და შესაბამისი ტიტულების რაოდენობა ორამდე გაზარდა.

მოზამბიკელმა მარია მუტოლამ განაგრძო წარმატებული სერია. მან 800 მეტრზე რბენაში მეხუთედ დაიდგა გამარჯვებულის დაფნის გვირგვინი. სადარბაზო ჩემპიონატების ასეთივე შედეგით მხოლოდ კუბელი სიგრძეზე მხტომელი ივან პედროსო თუ დაიკვეხნის.

“მე წარმოვადგენ 16-მილიონიან მოზამბიკს. ასე რომ, წაგების უფლება არ მქონდა. აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ თანამემამულეებისთვის კიდევ ერთი მედალი მომეპოვებინა”, - სამშობლოსთვის თავდადებულია 30 წლის მუტოლა.

გულშემატკივართა ყურადღება 3000 მეტრზე ფინალური გარბენისკენ იყო მიქცეული - აქ მსოფლიო რეკორდს ელოდნენ. ერთადერთი, ვისაც რეკორდის დამყარება შეეძლო, ეთიოპიელი ჰაილე გებრესელასიეა. აფრიკელს ხელი მოეცარა, მაგრამ გამარჯვება არ გასჭირვებია. 1997 და 1999 წლებში მოპოვებული სადარბაზო ოქროების რაოდენობა გებრესელასიემ სამამდე გაზარდა.

პროგნოზი მხოლოდ ჭოკით ხტომაში გამართლდა. მას შემდეგ, რაც ამერიკელმა ოლიმპიურმა და მსოფლიო ჩემპიონმა (ღია ცისქვეშა), სტეისი დრაგილამ, წინა დღით ჩასათვლელი სიმაღლე ვერ დაძლია, უეჭველი იყო, რომ ჩემპიონობას რუსი სვეტლანა ფეოფანოვა მოიპოვებდა. ასეც მოხდა. მეტიც: ფეოფანოვა სარეკორდო სიმაღლეზე (4მ. 80სმ.) გადებულ თამასას გადაევლო და, შესაბამისად, დრაგილას მიერ აშშ-ის ჩემპიონატზე ორი კვირის წინათ დამყარებული რეკორდს (4 მ. 78სმ.) წირვა გამოუყვანა.

ძიუდო

P.S. ბრინჯაო

როდესაც გვეგონა, რომ ვარშავაში ძიუდოისტთა 41-ე საერთაშორისო A კატეგორიის სალიცენზიო ტურნირი თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით დავასრულეთ, აღმოჩნდა, რომ ქართველ ძიუდოისტთა მონაგარი ბრინჯაოთი მეტი ყოფილა. ამრიგად, გვინდა, შეცდომა გამოვასწოროთ და იმაზეც ვთქვათ, თუ ვინ გახდა მესამე პრიზიორი და, საერთოდ, რატომ გამოგვრჩა ეს უკანასკნელი.

გიგა გურასაშვილი

გუშინდელ ნომერში ვიუწყებოდით, რომ შვიდი სპორტსმენით დაკომპლექტებულმა საქართველოს ნაკრებმა 100 კგ და მძიმე წონით კატეგორიებში მიაღწია წარმატებას. თითო ვერცხლი და ბრინჯაო, რომლებიც, შესაბამისად, ივერი ჯიქურაულმა და ალექსი დავითაშვილმა მოიპოვეს, პრიზიორთა სრული ჩამონათვალი არ აღმოჩნდა. შეცდომაში კი პოლონეთის ძიუდოს ფედერაციის და, იმავდროულად, საერთაშორისო ტურნირის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა შეგვიყვანა. მხედველობაში გვაქვს 66 კგ წონითი კატეგორია. მართალია, ეს წონა პრიზიორთა შესახებ იუწყებოდა, მაგრამ მათ შორის ქართველი ძიუდოისტი – ზეზვა ებელაშვილი ვერ ამოვიკითხეთ. ტურნირის ორგანიზატორებმა მხოლოდ ასპარეზობის დასრულების შემდეგ გამოასწორეს შეცდომა. აღმოჩნდა, რომ ებელაშვილს ორი ორთაბრძოლა კი არა, მეტი ჩაუტარებია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას მედლისთვის უბრძოლია. თუ თანმიმდევრობით მივყვებით, პირველად ებელაშვილს ფრანგი სამირ ბუერაუა ჩამოუშორებია გზიდან. მერე საკმაოდ ძლიერი მეტოქე, ბელორუსი ალექსანდრე შლიკიც ფრანგის გზას გაუყენა, მაგრამ ფინალისკენ მიმავალ გზაზე მისთვის გადაულახავ წინაღობად იქცა ევროპის ჩემპიონი, აზერბაიჯანელი ელჩინ ისმაილოვი. რაკი ისმაილოვმა შემდეგ ჩემპიონობა იზეიმა, ებელაშვილს მესამე ადგილისთვის ბრძოლის გაგრძელების საშუალება მიეცა. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შანსი ხელიდან აღარ გაუშვია. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი ებელაშვილს იტალიელ ჯანი კასალესთან მოუხდა ურთიერთობის გარკვევა, რაც ქართველის გამარჯვებით დასრულდა. ებელაშვილმა იტალიელს სუფთად – იპონით მოუგო. ებელაშვილისთვის, რომელიც, თანაგუნდელებთან შედარებით, ნაკლებად გამოცდილია, ვარშავული ტურნირი პირველი ასეთი რანგის ასპარეზობა გახლდათ. ამრიგად, საქართველოს ნაკრებმა ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედლით არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მეცხრე ადგილი დაიკავა. პირველი, მეორე და მესამე ადგილები კი, შესაბამისად, მასპინძლებმა, პორტუგალიელებმა და უკრაინელებმა დაიკავეს.

ჩოგბურთი

მეორედ მოსვლა

ლეიტონ ჰიუიტმა პირველობა შეინარჩუნა

ინდიანა უელსი (აშშ). ვაჟები, საპრიზო ფონდი 2 450 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)

ნახევარფინალი:

ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 1) - ვინსენტ სპეიდია (აშშ) 7:6 (7:5), 6:1

გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) - რაინერ შუტლერი (გერმანია, 15) 6:2, 3:6, 6:2

ფინალი:

ჰიუიტი - კუერტენი 6:1, 6:1

ქალები. საპრიზო ფონდი 2 100 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)

ფინალი:

კიმ კლიისტერსი (ბელგია, 1) - ლინდსეი დევენპორტი (აშშ, 4) 6:4, 7:5

მოხდა ისე, რომ ავსტრალიელმა ლეიტონ ჰიუიტმა „მასტერსის“ სერიის პირველი ტურნირი ინდიანა უელსში ზედიზედ მეორედ მოიგო და ეს ისე გააკეთა, რომ მაინცდამაინც დიდი სირთულეები არ გადაულახავს. ნათელია, რომ დღეს ავსტრალიელს მსოფლიო ჩოგბურთში ბადალი არ ჰყავს და ის სამართლიანად უდგას სათავეში პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგს.

ჰიუიტი ფინალში განსაკუთრებული პრობლემების გარეშე გავიდა. ამერიკელმა ვინს სპეიდიამ ავსტრალიელს ვერაფერი დაუპირისპირა. მაყურებელმა ბრძოლა იხილა მხოლოდ პირველ სეტში, როცა ამბიციური ამერიკელი 4:1 დაწინაურდა, მაგრამ, ტრიბუნების გამაყრუებელი მხარდაჭერის მიუხედავად, უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. ჰიუიტმა მომდევნო ორი გეიმი მოიგო და თამაში ტაი-ბრეიკში გადაიყვანა.

28 წლის სპეიდიას მთელი სპორტული კარიერის განმავლობაში არც ერთი ტურნირი არ მოუგია. არადა, 10 წელიწადია, პროფესიულ ჩოგბურთს თამაშობს. პირველ სეტში ორივე ჩოგბურთელი ხაზზე თამაშს ამჯობინებდა და, ძირითადად, მეტოქის შეცდომის იმედზე იყო. სწორედ ამიტომ ჰიუიტს 22 უნებლიე შეცდომა დაუგროვდა, ხოლო სპეიდიას - 16. ტაი-ბრეიკი ჰიუიტმა ორმაგი შეცდომით დაიწყო, რამაც მაყურებელი აღფრთოვანა, მაგრამ სპეიდიამ, თითქოს, ამას ელოდაო, ავსტრალიელს ორი ორმაგი შეცდომით უპასუხა და გადამწყვეტ მომენტში, 5:6-ზე, პირდაპირ ბადეს მოარტყა ბურთი - 7:5 ჰიუიტის სასარგებლოდ.

როგორც შემდეგ გაირკვა, ეს კულმინაციური მომენტი იყო. ავსტრალიელმა მეორე სეტში სპეიდიას, უბრალოდ, ქარიშხალივით გადაუარა - 6:1 და გავიდა ფინალში, სადაც უფრო იოლი გამარჯვება ელოდა. სპეციალისტებმაც აღნიშნეს, რომ გუსტავო კუერტენი შუტლერთან სამსეტიანი მომქანცველი დუელის შემდეგ, ავსტრალიელთან სათამაშოდ მზად არ აღმოჩნდა.

ლეიტონ ჰიუიტის მსგავსად, ინდიანა უელსში უაღრესად დამაჯერებლად ითამაშა ბელგიელმა კიმ კლიისტერსმა. სპეციალისტები ამ შეხვედრაში უშეღავათო ბრძოლას ელოდნენ. ბრძოლა შედგა, მაგრამ ტურნირის პირველმა ნომერმა ამერიკელთა ერთადერთ იმედს შანსი არ დაუტოვა. „კიმმა, მართლაც, ძალიან ძლიერად ითამაშა. ის შესანიშნავ ფორმაშია და გადამწყვეტ მომენტებში საუკეთესო გადაწყვეტილებებს იღებს. შემთხვევითი არ არის, რომ მან ტურნირი მოიგო“, - განაცხადა ლინდსეი დევენპორტმა. ამ გამარჯვების შემდეგ კიმ კლიისტერსი პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგში მესამე ადგილზე საფუძვლიანად დამკვიდრდა.

ციგურებით რბენა

ოქროსფერთმიანთა ბრძოლა ოქროს მედლებისთვის

ნინო პირველი

ზამთრის სპორტის სახეობებში, ძირითადად, ლიდერობენ იმ ქვეყნების წარმომადგენლები, სადაც თოვლი ხშირად მოდის და თეთრად გადაპენტილ მთებში პატარები ადრეულ ასაკშივე სწავლობენ თხილამურებზე დგომას თუ ციგურებით სრიალს. გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარსა და ნორვეგიაში თუ ტბა ისე არ გაიყინება, რომ ზედ სრიალი იყოს შესაძლებელი, ეს პრობლემა სულაც არ არის - ხელოვნური ყინულის მოედნები ზამთარში საზოგადოების სპორტული ნაწილის ყველაზე საყვარელი გასართობია. დიდებიც და პატარებიც ხალისიანად სრიალებენ ყინულზე და არად აგდებენ დაცემის საფრთხეს. მათ ყინულის არ ეშინიათ.

მსოფლიო სპორტი წარმატებულ მოთხილამურეებს თუ მოციგურავეებს სწორედ ასეთი უშიშარი და ძლიერი აქტივისტებისგან იღებს. ზამთრის სპორტი ჩრდილოეთის ქვეყნებში პოპულარობით სულაც არ ჩამოუვარდება ფეხბურთს, პირიქით, ზოგჯერ აჭარბებს კიდეც. ასე, მაგალითად, ავსტრია, რომელიც საერთოდ ვერ დაიკვეხნის დიდი საფეხბურთო მიღწევებით, ზამთრის სპორტში მოპოვებული წარმატებებით იწონებს თავს. შტეფან ებენჰარტერი თუ ჰერმან მაიერი, ბენიამინ რაიხი თუ იოზეფ შტიობლი, რენატე გიოტჩლი თუ მიხაელა დორფმაისტერი ამ პატარა სახელმწიფოში ფეხბურთელებზე ბევრად უფრო ცნობილნი არიან.

გერმანიაში ნამდვილად არ არის ასე. თავისთავადი და ყველასგან განსხვავებული გერმანული ფეხბურთი მთელ მსოფლიოს აოცებს თავისი არაორდინარულობით. გერმანიაში ფეხბურთი სპორტის უპირველესი სახეობაა. აქ არაფეხბურთელმა საზოგადოების ყურადღება რომ მიიპყროს, სულ ცოტა, ორჯერ მაინც უნდა ჰქონდეს ოქროს მედალი მოპოვებული. გერმანელ გულშემატკივრებს სხვა სინჯის ძვირფასი ლითონი საერთოდ არ ხიბლავთ, მხოლოდ ოქროს თუ შეხედავენ მოწყალე თვალით...

გერმანული საციგურაო სპორტი, ალბათ, არასოდეს ყოფილა ისეთი საინტერესო და დამაინტრიგებელი, როგორიც ახლაა. ნებისმიერ ტურნირზე პირველობისთვის მუდამ ორი ოქროსფერთმიანი ქალი ებრძვის ერთმანეთს - ახალგაზრდა ანი ფრიზინგერი და შედარებით ასაკოვანი კლაუდია პეხშტაინი. ორივე წარმატებული სპორტსმენია, ორივე მომხიბვლელი ქალია, მაგრამ ბოლო დროს აშკარად იგრძნობა, რომ პრესისა და გულშემატკივართა სიმპათია თანდათან 26 წლის ანი ფრიზინგერისკენ იხრება. ანი უფრო ახალგაზრდაა, უფრო სექსუალური, ოქროს მედალსაც უფრო ხშირად ეპატრონება. 31 წლის კლაუდიას კი ნელ-ნელა უძნელდება უმცროსი კონკურენტის უკან ჩამოტოვება. ანი ხალისით პოზირებს ფოტოკამერების წინ, სიამოვნებით წარმოაჩენს პირსინგებითა და ტატუებით აჭრელებულ მომხიბვლელ სხეულს. გამარჯვებები მას თავდაჯერებას მატებს და უფრო სწრაფად დაქრის ყინულზე, ისე სწრაფად, რომ კლაუდია უკვე ვეღარ ეწევა...

ბერლინში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ანი ფრიზინგერმა სამი ოქროს მედალი მოიპოვა, კალუდია პეხშტაინმა კი - მხოლოდ ერთი. მსოფლიო პირველობაზე სამი ოქროს მედლის დასაკუთრება აქამდე მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა მოახერხა (1997 წელს გუნდა ნიმან-შტირნემანი გახდა მსოფლიო ჩემპიონატის სამგზის გამარჯვებული). ანის პირველი ოქრო მოუტანა 3000-მეტრიანმა დისტანციამ, რომელიც მან 4 წუთსა და 6 წამში გაიარა და 2 წამით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ კლაუდიას. ამას მოყვა რბოლა 1500 მეტრზე, რომელიც ისევ ანის გამარჯვებით დასრულდა. მესამე ოქრო კი ანიმ გუშინ იზეიმა 1000-მეტრიან დისტანციაზე, როცა უკან ჩამოიტოვა ამერიკელი ჯენიფერ როდრიგესი და ამერიკელი სინდი კელესენი. კლაუდიამ კი მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა: 31 წლის კლაუდია შეუდარებელი იყო 5000-მეტრიან დისტანციაზე. ეს მანძილი ოქროსფერთმიანმა გერმანელმა 7 წუთსა და 31 წამში დაფარა და ახალი რეკორდიც დაამყარა. ვერცხლის მედალი კანადელმა კლარა ჰიუგესმა მოიპოვა, ბრინჯაო ჰოლანდიელ გრეტა სმიტს ერგო. მსოფლიო ჩემპიონატის გერმანული დუელი კი 3:1 დასრულდა ანის სასარგებლოდ.

კალათბურთი

ლიუ დაბრუნდა - გოლდვაირი გაისტუმრეს

NBA რეგულარული ჩემპიონატი

შაბათი: ვაშინგტონი - მაიამი 89:82, ორლანდო - ჰორნეთსი 96:86, დეტროიტი - ბოსტონი 71:81, მილუოკი - ლეიკერსი 98:94, სიეტლი - გოლდენ სტეიტი 88:94.

კვირა: ნიუ-ჯერსი - ფილადელფია 87:92, კლივლენდი - იუტა 122:95, საკრამენტო - დალასი 123:129 ო.ტ. მინესოტა - პორტლენდი 111:95, მემფისი - ატლანტა 124:92, ნიუ-იორკი - მილუოკი 120:111, სან-ანტონიო - ჩიკაგო 108:97, ჰიუსტონი - ფინიქსი 85:75, კლიპერსი - ტორონტო 111:110, დენვერი - სიეტლი 84:92.

გასული უქმეები ქართველთათვის უიღბლო გამოდგა. „დენვერიც“ და „მაიამიც“ დამარცხდნენ, შესაბამისად, ვერც ვლადიმერ სტეფანიამ და ნიკა ცქიტიშვილმა გამოიჩინეს თავი. სტეფანიას „მაიამი ჰიტი“ ვაშინგტონს სტუმრობდა.

„ვაშინგტონ უიზარდსმა“ ამ მატჩის წინ გაათავისუფლა ენტონი გოლდვაირი, რომელსაც კლუბთან 10-დღიანი კონტრაქტი აკავშირებდა და მის ნაცვლად ტრავმირებული ტაირონ ლიუ დაიბრუნა. გოლდვაირმა ამ 10 დღეში ხუთი მატჩი ითამაშა, მაგრამ კლუბის ბოსების ყურადღება იმდენად ვერ მიიპყრო, რომ გრძელვადიანი კონტრაქტი გაეფორმებინა.

სამაგიეროდ, მწყობრში ჩადგა ძირითადი ხუთეულის მცველი ტაირონ ლიუ, რომელმაც 27 თებერვალს ჰიუსტონელ „რაკეტებთან“ მატჩში ტრავმა მიიღო. იმ დროს ლიუ ერთ მატჩში, საშუალოდ, 8 ქულას და 3,1 შედეგიან გადაცემას ახორციელებდა და ხუთეულში თამაშის პატივიც ახალი მოპოვებული ჰქონდა. ლიუმ ტრავმამდე ზედიზედ 10 მატჩი ითამაშა. „ჯერჯერობით, არ მგონია, რომ ძველ დონეს მივაღწიე, მაგრამ მხარი ნამდვილად მოვიშუშე. ვარჯიშზე რამდენჯერმე დამეჯახნენ, მაგრამ არ მტკენია. ასე რომ, თამაშისთვის მზად ვარ“, - განაცხადა ტაირონ ლიუმ.

აივერსონმა გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა

თუმცა, „ვაშინგტონი“ მაიკლ ჯორდანისა (19 ქულა, 8 მოხსნა, 1 გადაცემა, 2 ჩაჭრა, 2 დაფარება) და სტეკჰაუზის (37 ქულა) შესანიშნავი თამაშის წყალობითაც იოლად გაუსწორდა „მაიამის“ - 89:82. ვლადიმერ სტეფანიამ მოედანზე 22 წუთი დაყო და 10 მოხსნას და 1 დაფარებას მოუყარა თავი, მაგრამ 5 ტყორცნიდან ხუთივე ააცდინა მიზანს და თავის გუნდს ქულებით ვერ შეეწია. მაიამელთა რიგებში საუკეთესო იყო ბრაიან გრანტი - 16 ქულა, 11 მოხსნა.

„დენვერ ნაგეთსი“ სიეტლელ „სუპერმზეებს“ კვირას დაუპირისპირდა და მორიგი მარცხი იგემა. ნიკა ცქიტიშვილის ანგარიშზე 2 ქულა, 2 მოხსნა, 2 გადაცემა და 2 ჩაჭრაა, მაგრამ ეს „სუპერმზეების“ დასამარცხებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ტურის ცენტრალური და ყველაზე დრამატული მატჩი გაიმართა საკრამენტოში, სადაც ადგილობრივი „მეფეები“ რეგულარული ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან, „დალასთან“ არკვევდნენ ურთიერთობას. გამარჯვებულის გამოსავლენად ოვერ ტაიმი გახდა საჭირო. ჩემპიონატის ლიდერმა იმძლავრა და, როგორც იქნა, ნავსი გატეხა. „დალასმა“ 129:123 მოიგო და „მეფეებთან“ პაექრობაში 7-მატჩიანი წარუმატებელი სერია შეწყვიტა. მატჩის გმირი გახდა დალასელი სტივ ნეში (27 ქულა, 10 გადაცემა), რომელმაც შეხვედრის უკანასკნელ წამებზე ზუსტი სამქულიანი ტყორცნით გაათანაბრა ანგარიში, ხოლო დამატებით დროში თავის გუნდს კიდევ 12 ქულით შეეწია. გერმანელი დირკ ნოვიცკის ანგარიშზე 34 ქულა და 18 მოხსნაა.

აღმოსავლეთ კონფერენცია

დეტროიტი	65	41	24	63,08
ნიუ-ჯერსი	66	40	26	60,61
ფილადელფია	65	39	26	60,00
ინდიანა	66	39	27	59,09
ბოსტონი	66	38	28	57,58
ჰორნეთსი	68	38	30	55,88
ორლანდო	67	34	33	50,75
ვაშინგტონი	66	32	34	48,48
მილუოკი	67	32	35	47,76
ნიუ-იორკი	66	29	37	43,94
ატლანტა	67	27	40	40,30
ჩიკაგო	68	23	45	33,82
მაიამი	66	21	45	31,82
ტორონტო	64	20	44	31,25
კლივლენდი	65	12	53	18,46

დასავლეთ კონფერენცია

დალასი	66	50	16	75,76
სან-ანტონიო	65	47	18	72,31
საკრამენტო	67	46	21	68,66
პორტლენდი	66	42	24	63,64
მინესოტა	69	43	26	62,32
ლეიკერსი	65	37	28	56,92
იუტა	66	37	29	56,06
ჰიუსტონი	65	35	30	53,85
ფინიქსი	65	34	31	52,31
გოლდენ სტ.	66	32	34	48,48
სიეტლი	65	30	35	46,15
მემფისი	65	24	41	36,92
კლიპერსი	66	21	45	31,82
დენვერი	66	14	52	21,21

ისტორიული ფოტო

ეს იყო 17 წლის წინათ...

1986 წლის 31 მაისი, მექსიკო. იტალიის ნაკრების კაპიტანი გაეტანო შირეა.

Спортивный календарь

Среда, 16 апреля

07.00 Телеканал „Доброе утро"

10.00, 13.00, 16.00 Новости

10.15 „Земля любви, земля надежды".

Сериал

11.10 „Шутка за шуткой". Юмористическая программа

12.05 „Фабрика звезд-2"

12.35 Дилижёй-кутюр: „Перемелка"

13.15 Приключенческий фильм „Человек в железной маске"

15.00 „Тайны забытых побед".

15.30 „Новый день". „Формула власти". Корорлева Дания

16.15 Биатлон. Чемпионат мира. Эстафета. 15 км.

16.40 „Сверхтяжёлый фарватер" Сериал

18.00 „Больше, чем страхе" с Андреем Малаховым

19.00 Вечерние новости

19.25 „Фабрика звезд-2"

20.00 „Земля любви, земля надежды".

VII Среда

09.10 Вести-спорт

09.25 „Биатлон"

09.50 „Вести-Алтай"

09.55 Полный вперед! Фитнес

10.20 Цветной мир Алтая

11.00 Вести-Алтай - время местное

12.00 Полный вперед!

12.05 „Фабрика звезд-2"

12.45 „Биатлон". .

13.05 Здоровье-время

13.45 Информационный канал Вести-Алтай

13.50 Полезно и вкусно. Вести-Алтай

14.15 Биатлон. Эстафета

16.50 Вести-спорт

17.05 „Сверхтяжёлый фарватер" Сериал

18.00 „Больше, чем страхе" с Андреем Малаховым

19.00 Вечерние новости

19.25 „Фабрика звезд-2"

20.00 Полный вперед!

20.55 „Вести-Алтай" - спецвыпуск.

21.55 Вести-спорт

22.05 „Биатлон". Чемпионат мира. Эстафета. 15 км.

23.05, 00.50 Полный вперед! Фитнес

Среда

06.00 Доброе утро

09.00 Вести-спорт

09.10 Полный вперед! Фитнес

09.45 Вести-Алтай

10.00, 13.00, 16.00 Новости

10.15 „Земля любви, земля надежды".

Сериал

11.10 „Шутка за шуткой". Юмористическая программа

12.05 „Фабрика звезд-2"

12.35 Дилижёй-кутюр: „Перемелка"

13.15 Приключенческий фильм „Человек в железной маске"

15.00 „Тайны забытых побед".

15.30 „Новый день". „Формула власти". Корорлева Дания

16.15 Биатлон. Чемпионат мира. Эстафета. 15 км.

16.40 „Сверхтяжёлый фарватер" Сериал

18.00 „Больше, чем страхе" с Андреем Малаховым

19.00 Вечерние новости

19.25 „Фабрика звезд-2"

20.00 „Земля любви, земля надежды".

20.55 „Вести-Алтай" - спецвыпуск.

21.55 Вести-спорт

22.05 „Биатлон". Чемпионат мира. Эстафета. 15 км.

23.05, 00.50 Полный вперед! Фитнес

ОРТ

07.00 Телеканал „Доброе утро"

10.00, 13.00, 16.00 Новости

10.15 „Земля любви, земля надежды".

Сериал

11.10 „Шутка за шуткой". Юмористическая программа

12.05 „Фабрика звезд-2"

12.35 Дилижёй-кутюр: „Перемелка"

13.15 Приключенческий фильм „Человек в железной маске"

15.00 „Тайны забытых побед".

15.30 „Новый день". „Формула власти". Корорлева Дания

16.15 Биатлон. Чемпионат мира. Эстафета. 15 км.

16.40 „Сверхтяжёлый фарватер" Сериал

18.00 „Больше, чем страхе" с Андреем Малаховым

19.00 Вечерние новости

19.25 „Фабрика звезд-2"

20.00 „Земля любви, земля надежды".

20.55 „Вести-Алтай" - спецвыпуск.

21.55 Вести-спорт

22.05 „Биатлон". Чемпионат мира. Эстафета. 15 км.

23.05, 00.50 Полный вперед! Фитнес

РТР

06.45 - 08.45 Доброе утро, Россия!

09.45 Телесериал „ЛЕДИ М3Р".

10.40 Телесериал „ЮБРА.

АНТИТЕРРОР". фильм 3-й.

„КОМПЛЕКС ВИНЫ".

11.40, 18.20,20.50 Вести. Дежурная часть.

12.00, 15.00, 18.00,21.00 Вести.

12.20 Телесериал „ПУАРО АГАТЫ

КРИСТИ. ДЕЛО О ПРОПАВШЕМ

ЗАВЕШАНИИ"

13.20 Мелодрама „ЛОДКА ЛЮБВИ".

Телесериал.

14.15 Экспертиза.

14.30 Колоссальное хозяйство.

14.45 Вести - Москва.

15.20 „Что хочет женщина". Ток-шоу

16.10 Премьера. Телесериал „ТРОЕ

ПРОТИВ ВСЕХ-2".

17.15 Агентство одиноких сердец.

17.45 Экспертиза.

18.50, 03.05 - 02.18 Дорожный патруль.

19.05,00.30 Вести - спорт.

19.20 Местное время. Вести - Москва.

19.50 „КОМИССАР РЕКС". Телесериал.

21.30 Местное время. Вести - Москва.

21.55 Телесериал „ПРОВИНЦИАЛЫ".

23.00 Телесериал „КОБРА.

АНТИТЕРРОР". фильм 3-й.

„КОМПЛЕКС ВИНЫ".

00.00 Ток-шоу „Вести +".

ПОДОЗРЕВАЕМЫЙ".

02.35 Синемания.

Зтнематтобрн пбдйфпобр бпфпаопоф уметпатпоф. Ьпоуфпбр бпфпаопоф уметпатпоф бпфпаопоф.

Среда

21.00 Основной инстинкт". Ток-шоу

Сентябрь Сорокиной

22.00, 00.30 Время

22.40 Мелодрама „Спецрыцарь

„Спецрыцарь"

23.45 „Самый секретный полигон Америки"

00.55 „Фабрика звезд-2"

01.10 „Новый день". „Подводный мир

Андрея Макаревича"

01.40 „Новый день". „Гении и злодеи"

02.10 „Алкоголия"

03.10 Детективный сериал „Бегтец"

ЗЛЕКТРОСЕТЬ

ЗАМЕНА ЛАМПОЧЕК

ЗАМЕНА ПРЕДОХРАНИТЕЛЕЙ

ЗАМЕНА ВЫКЛЮЧАТЕЛЕЙ

ЗАМЕНА РОЗЕТОК

ЗАМЕНА ЭЛЕКТРОСЧЕТЧИКОВ

ЗАМЕНА ЭЛЕКТРОПРОВОДКИ

ЗАМЕНА ЭЛЕКТРОПЛИТ

ЗАМЕНА ЭЛЕКТРОДВИГАТЕЛЕЙ

ЗАМЕНА ЭЛЕКТРОНАГРЕВАТЕЛЕЙ

ЗАМЕНА ЭЛЕКТРОВОДОНАГРЕВАТЕЛЕЙ

ЗАМЕНА ЭЛЕКТРОСВЕТИЛЬНИКОВ

ЗАМЕНА ЭЛЕКТРОВЕНТИЛЯТОРОВ

ЗАМЕНА ЭЛЕКТРОКОНВЕКТОРОВ

ЗАМЕНА ЭЛЕКТРОКАМИНОВ

ЗАМЕНА ЭЛЕКТРОТЕПЛОВЫХ ПУШЕК

ЗАМЕНА ЭЛЕКТРОТЕПЛОВЫХ ЗАВЕС

ჰოლივუდური ლხინის დღიურიდან

პროგნოზები, პროგნოზები

ზოგი ამას ნარცისიზმს უწოდებს, ანდა ეგოცენტრულობას, მაგრამ არა თავად ჰოლივუდელები. ტრადიციული წინასაოსკარო წვეულებებით, რომლებიც მთელ ერთ კვირას გრძელდება, ამერიკული კინოს წარმომადგენლები ამერიკული კინოს გამარჯვებებს ზეიმობენ და ეს საკუთარი თავის ქებად სულაც არ ეჩვენებათ. წვეულებებზე მოხვედრის მთავარი მოთხოვნა ჰოლივუდელის "მოწმობა", დიზაინერის სამოსი და სახეზე მაკიაჟივით კარგად მორგებული, თავაზიანი ღიმილია. ამ მოთხოვნებს ლოს ანჯელესში სიამოვნებით აკმაყოფილებენ და უკვე ემზადებიან ხვალინდელი საღამოსთვის, როდესაც "ოსკარის" კვირეულის პირველი წვეულება გაიმართება. მაშ ასე, – ლოს ფელისის უზარმაზარ რეზიდენციაში გამართულ ნადიმს დღეს, საღამოს ჟურნალი Women's Wear Daily და ბრილიანტის საინფორმაციო ცენტრი უმასპინძლებს. დეკორის თემად დიზაინერ რაბინ როჯერსის ჯგუფმა "ტექნიკოლორი" აირჩია და ინტერიერის მართლაც ორიგინალურად მოწყობას აპირებს: დარბაზში განათავსებენ მყვირალა ფერებად შეღებილ კვერცხის ნაჭუჭებს, რომელთაც ბრილიანტებით აავსებენ. შესაბამისად, ჰოლივუდის მაღალი საზოგადოება დღეს ბრილიანტებით სავსე დარბაზში მოილხენს. ძვირფასი ქვების ციმციმის გარდა, ისინი კონცერტითაც ისიამოვნებენ. ლოს ფელისში შეკრებილებს ხვალ 20-30-იანი წლების ჰიტებს შეუსრულებენ. იმავე ღამეს მსახიობები კორტნი კოქსი და დევიდ არკეტი გამორჩეულ სტუმრებს საკუთარ ვილაში მიიპატიჟებენ.

ხუთშაბათი წვეულებებით გადატვირთულ კალენდარზე ქეიფის მეორე დღე იქნება. საღამოს, ჰოლივუდის ბულვარზე, კოდაკის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე ლიმუზინების ტევა აღარ იქნება. სმოკინგებსა და დეკოლტირებულ კაბებში გამოწყობილი ვარსკვლავები გუბერნატორის მეჯლისს დაესწრებიან.

"ოსკარის" წვეულებების განრიგში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კინოსტუდიების მიერ მოწყობილ მეჯლისებსაც. როგორც წესი, განსაკუთრებული ხელგაშლილობით ის კინო-კომპანიები გამოირჩევიან, რომელთა კინო-პროდუქციასაც "ოსკარი" გარანტირებული აქვთ. 23 მარტის ცერემონიალზე ცნობილ სტუდია Dreamworks-ს ორი პოპულარული ფილმი "აბა, დამიჭირე" და "წამების გზა" წარმოადგენს, Sony Pictures-ს კი – არანაკლებ გახმაურებული "ადაპტაცია". თუმცა, არც ერთი კომპანია პომპეზური წვეულების გამართვას არ აპირებს. როგორც ჩანს, "ოსკარზე" წარდგენილი ერთი-ორი ფილმი ჯილდოს მოპოვების მყარი გარანტი სულაც არ გახლავთ. ამ გარანტიებს კი აშკარად ფლობს სტუდია Miramax Films-ი. 23 მარტის ღამეს, კოდაკის თეატრში ხომ Miramax-ში დამზადებული 40 ფილმის სათაური გაჟღერდება. გამარჯვებას, ბუნებრივია, რომელიმე მათგანი მაინც მიაღწევს. შესაბამისად, სტუდია გაბედულად აწყობს საქეიფო გეგმებს და დიდ წვეულებას "ოსკარის" საღამოს შემდეგ მართავს. მეჯლისს 600 კაცი დაესწრება და ის ბევრი ჰოლსზე, პრესტიჟულ "სეინტ რეგისის" სასტუმროში გაიმართება.

ამ სტუდიას არ ჩამორჩება არც Paramount Pictures-ი, რომელიც უფლებას ფილმ "საათებზე" Miramax-თან ერთად ფლობს. რესტორან "ასტრა ვესტის" ტერიტორიაზე, გამჭვირვალე, უზარმაზარ კარავში ის გრანდიოზულ წვეულებას საკუთარი კინო-სტუდიის ფინანსურ წარმატებებს მიუძღვნის.

ჰოლივუდის ვარსკვლავები თითოეულ ამ ზეიმზე ბედნიერი ღიმილით გამოჩნდებიან. თუმცა, 23 მარტის დადგომამდე და გამარჯვებულთა გამოვლენამდე თითოეულ მათგანს მაინც დიდი ვნებათაღელვა ელის. ამერიკული პრესა მამაკაცებს შორის უმთავრეს გამარჯვებულად ჯეკ ნიკოლსონს ასახელებს. ის "ოსკარზე" ფილმისთვის "შიდგტის შესახებ" არის წარდგენილი. თუ ეს პროგნოზი გამართლდა, მაშინ 23 მარტს მიღებული ჯილდო ნიკოლსონისთვის მეოთხე იქნება.

თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც ვარაუდობენ, რომ კინო-აკადემია ნიკოლსონის ნაცვლად ბრიტანელ მსახიობს, დენიელ დეი ლუისს დაუჯილდოებს, "ნიუ იორკის ბანდებში" შესრულებული როლისთვის. რაც არ უნდა საოცარი იყოს, იგივე ფილმში ლეონარდო დიკაპრიოც თამაშობს, მაგრამ "ოსკარის" კომიტეტი მის სახელს წელს არც კი ახსენებს. ასე რომ, ერთმანეთს სერიოზულ კონკურენტებად ნიკოლსონი და დეი ლუისი ევლინებიან, რაც, თავისთავად, ამცირებს 70 წლის ბრიტანელი მსახიობის სერ მაიკლ კეინის ("ჩუმი ამერიკელი") და ედრიენ ბროდის (პოლანსკის "პიანისტი") შანსებს.

მწვავე კონკურენციის ფონზე ვითარდება მოვლენები ქალთა ფლანგზეც. თუ მამაკაცებს შორის ფავორიტად ნიკოლსონი სახელდება, ქალებს წინ ნიკოლ კიდმანი მიუძღვის, ვირჯინია ვულფის როლით. სპეციალურად ფილმ "საათებისთვის" ცხვირდაგრძელებული კიდმანის თამაშით ბევრი კინო-კრიტიკოსია აღფრთოვანებული. რიგითი მაყურებლები კი სურათის ბოლოსაც ვერ იჯერებენ, რომ ეს გრძელცხვირა, გამხდარი ქალი, შუაზეგაყოფილი თმებით, სხვა შემთხვევებში სექსუალური ლამაზმანი ნიკოლ კიდმანია.

მის ტრიუმფს "ოსკარის" ღამეს სანაფრთხის ქვეშ აყენებს ჯულიენ მურის პოპულარობა. ეს ქალბატონი ფილმში "ზეციდან შორს" წარმატებით ასრულებს 50-იანელი დიასახლისის როლს და ექსპერტთა მოწონებასაც იმსახურებს. მური კიდევ ერთ, ოღონდ მეორეხარისხოვან "ოსკარზეა" წარდგენილი ფილმ "საათებში" შესრულებული როლისთვის. თუმცა, ბევრი ვერ მალავს გაოცებას იმის გამო, რომ მურის თამაში ამ ფილმში მეორეხარისხოვნად შეაფასეს. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ჯულიენ მური ეკრანზე გაცილებით მეტ ხანს ჩანს, ვიდრე პირველხარისხოვან "ოსკარზე" წარდგენილი კიდმანი და ხშირ შემთხვევაში დავალებას თავს უკეთებს ართმევს.

23 მარტის პოპულარული ქალები იქნებიან მიუზიკლ "ჩიკაგოს" ვარსკვლავები – კეტრინ ზეტა ჯონსი და რენე ზელვეგერიც. არ არის გამორიცხული, რომ მურიცა და კიდმანიც სწორედ მათ დაჯაბნონ. კრიტიკოსები ვერ გაურბიან ვერც მერილ სტრიპის გავლენას. ეს მსახიობი უკვე დაეწია ლეგენდარულ კეტრინ ჰეპბერნს და წელს 13-ჯერ სახელდება "ოსკარის" ნომინანტად.

ასე რომ, ჯერჯერობით, ჟურნალისტები მხოლოდ ვარაუდებს გამოთქვამენ და რაც უფრო ახლოვდება "ოსკარის" ზეიმი, მით უფრო მეტი მონდომებით აკეთებენ პროგნოზებს. ერთადერთი ადამიანი, ვისაც წელს ყველაფერი გარანტირებული აქვს (ომის დაწყების შემთხვევაშიც კი) პიტერ ო`ტულია. ხანდაზმულ და ლეგენდარულ ირლანდიელ მსახიობს სპეც-ჯილდოს გადასცემენ – კინოში გაწეული ღვაწლისთვის.

...დაბოლოს, როდესაც ყველაფერი გაირკვევა, როდესაც გამარჯვებულები თავიანთ წილ "ოსკარებს" დაისაკუთრებენ, დამარცხებულები კი წარუმატებლობას შეეგუებიან, ყველაზე კაშკაშა მასკარადი გაიმართება. 23 მარტის ღამეს მთელი ვარსკვლავეთი დასავლეთ ჰოლივუდში, ჟურნალ Vanity Fair-ის წვეულებაზე შეიკრიბება. აღსანიშნავია, რომ ეს ღონისძიება თითქმის ისეთივე სიფრთხილით დაგეგმვას საჭიროებს, როგორც აშშ-ს სამხედრო ძალების ერაყული ომისთვის მობილიზაციაა: ორგანიზატორები ბევრლი ჰილსის სასტუმროში კვირების განმავლობაში ცხოვრობენ, რათა ყოველწლიური, ტრადიციული "ფართის" თითოეული დეტალი ზუსტად გათვალონ. საშუალოდ ამ ყველაფრის მოწყობა 800 ათასი დოლარი ჯდება. ამიტომაც დაპატიჟებული ვარსკვლავები ყოველთვის ამაყად გრძნობენ თავს და ცდილობენ, ერთმანეთს თვალი ულამაზესი ჩაცმულობით მოჭრან.

ბუნებრივია, თითოეულ ამ წვეულებაზე შექმნილი განწყობა პირდაპირ-როპორციულად იქნება დამოკიდებული ერაყში ომის დაწყება-არდაწყებაზე. თუმცა, კინო-აკადემიამ უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ქვეყნის ადმინისტრაციას საკუთარი გეგმები არ შეუთანხმოს და ომის საფრთხის მიუხედავად, დაჯილდოების ცერემონიალი მაინც გამართოს. ბოლოსდაბოლოს, ამ დღისთვის ხომ მთელი წლის განმავლობაში იხარჯება უზარმაზარი თანხები, რომელთა წყალში გადაყრის მომხრეც არავინაა.

ომის გამო გაშლილი ზეიმი

ლაიზა მინელი და დევის გესტი

ერაყის ომის საფრთხემ მომღერალი ლაიზა მინელი და მისი მეოთხე მეულღე, დევის გესტი აიძულა, უარი ეთქვათ თავიანთი ქორწინების წლისთავის აღნიშვნაზე. ეს გადაწყვეტილება მათ იმის გამო მიიღეს, რომ 15 აპრილისთვის დაგეგმილ დღესასწაულზე მთელი მსოფლიოდან 1200 სტუმარი უნდა ჩამოსულიყო, და მათი უსაფრთხოება ომის მოლოდინში საეჭვო გახდა. "ჩვენ მაშინ ვიზეიმებთ, როცა მსოფლიოში მშვიდობა იქნება და ხალხი კი არ იღელვებს, არამედ ისიამოვნებს," განაცხადა ცოლ-ქმარმა.

ორიგინალური შურისძიება

მომღერალი კაილი მინოუგი ძალიან გააბრაზა იმ ფაქტმა, რომ მისმა ყოფილმა შეყვარებულმა, ჯეიმს გუდინგმა, ლონდონის გაზეთებში მათი ურთიერთობის შესახებ მასალები გამოაქვეყნა. კაილის მეგობრის სიტყვებზე დაყრდნობით Mirror-ში სტატია გამოქვეყნდა: "კაილიმ განშორებაზე და მის მიზეზებზე ახალი სიმღერა ჩაიწერა. გულით დაწერა და გულით მღერის". საბრალო გუდინგი, რომელიც ამჟამად მოღელად მუშაობს და წერს, კაილიმ კინაღამ თვითმკვლელობამდე მიმიყვანაო, ამ ამბავს დღემდე განიცდის. კაილიმ კი სამი კვირის წინათ ფრანგ მსახიობთან, ოლივერ მარტინესთან გააჩაღა რომანი, და თავს მშვენივრად გრძნობს.

ქორწილის მოლოდინში

კლაუდია შიფერის და მეტიუ ვონის, ტომ კრუზისა და პენელოპა კრუსის სასიყვარულო ამბების შემდეგ "ბრწყინვალე წყვილების" მოყვარულებს ახალი სალაპარაკო მასალა მიეცათ: ცნობილი მოდელი, ფრენკი რაიდერი თხოვდება. მისი რჩეული რომან კოპოლაა, ფრენსის ფორდ კოპოლას ვაჟი – ის საცოლეზე ცხრა წლით უფროსი ყოფილა. ფრენკის წარმომადგენელი ამ ამბავს გულმოდგინედ უარყოფს: "მის რაიდერი ამჟამად გათხოვებაზე არ ფიქრობს. ფრენკი შვებულებაშია და ზღვისა და მზის გარდა არაფერი აინტერესებს".

ერთადერთი კოკო შანელი

ანა კორძაია-სამადაშვილი

კარლ ლაგერფელდმა, შანელის სახლის ახლანდელმა გამგებელმა, მსოფლიოს 2003-2004 წლების შემოდგომა-ზამთრის კოლექცია, "თეთრი სინათლე" წარუდგინა. ლაგერფელდიც კი ვერ ღალატობს შანელს - მის შემოქმედებაში შავისა და თეთრის შეხამება სჭარბობს და ისევე, როგორც ლეგენდარული კოკო, ისიც სადა ელეგანტურობის თაყვანისმცემელია. და მიუხედავად იმისა, რომ ლაგერფელდი გენიალობის ზღვარზე მყოფ მოდელიორადაა აღიარებული, კოკო შანელის 130-ე იუბილეს მოლოდინში ექსპერტები ერთსულოვნად, აღიარებენ - ჯერჯეროობით ვერავინ დაჩრდილა მოდის დედოფალი, გაბრიელა კოკო შანელი.

კოკო შანელი

ამ ქალს უამრავი სასიყვარულო ისტორია ჰქონდა, მაგრამ ქორწინებით არცერთი დასრულებულა. ერთხელ ვესტმინსტერის ჰერცოგმა სთხოვა ცოლობა, მან კი უპასუხა: "ამქვეყნად უამრავი ჰერცოგი არსებობს, მე კი ერთადერთი ვარ – კოკო შანელი". მას მამაკაცებისთვის თავის მოწონების დიდი ნიჭი ჰქონდა, და ამავე დროს, ძალიან ცინიკური არსება გახლადათ, მიზანსწრაფული, თავდაჯერებული, საკუთარი თავითა და საკუთარი წარმატებით კმაყოფილი...

გაბრიელ შანელი 1883 წელს, 19 აგვისტოს, სომურში დაიბადა. მისი მშობლები დაქორწინებული არ ყოფილან, და დედამ ობოლ ბავშვთა თავშესაფარში ჩააბარა. დედის გარდაცვალების შემდეგ 12 წლის გაბრიელი მამამ ჯერ კათოლიკურ მონასტერში მიიყვანა, მერე კი - ინტერნატში. გოგონა, რომელიც მრავალი წელი საფორმო კაბაში დადიოდა, იმაზე ოცნებობდა, გავიზრდები და ყველა ქალს ჩემებურად ჩავაცმევო.

ინტერნატიდან გამოსულმა გაბრიელმა ჯერ მომღერლობა გადაწყვიტა - მართალია, უნიჭო იყო, მაგრამ ძალიან მიმზიდველი, და ამიტომ კაბარეში სიამოვნებით აიყვანეს. სწორედ აქ მღეროდა ხოლმე ერთ პრიმიტიულ სიმღერას, "კოკოს", და ეს სახელი ცხოვრების ბოლომდე გაჰყვა. ამ კაბარესი, "ლა როტონდში", კოკომ ტულუზ ლოტრეკი, რენუარი, პიკასო, სტრავინსკი და მსგავსნი გაიცნო - მართალია, სიმღერა არ ეხერხებოდა, მაგრამ ადამიანებში კარგად ერკვეოდა და უმალვე ხვდებოდა, გენიოსთან ჰქონდა საქმე, თუ უბრალოდ, ნიჭიერ კაცთან.

მუსიკალურ სარბიელზე კოკოს დიდი წარმატება არ ჰქონია, სამაგიეროდ, მდიდარი კაცების გული მოიგო. მასზე უფროსი და შეძლებული კაცების მიმართ სიყვარულს კოკო ძალიან გულისამაჩუყებლად ხსნიდა - მამის სითბო ბავშვობიდან მაკლდაო. ამავე პრინციპით დაუმეგობრდა ბიზნესმენ ეტიენ ბალზანსაც, და მასთან ერთად არისტოკრატულ გარეუბანში დასახლდა. კოკომ გადაწყვიტა, რომ ამ რაიონში მცხოვრები მდიდარი კურტიზანი ქალებისგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო, და ამიტომ მკაცრ კოსტუმებს და პატარა, ელეგანტურ ქუდებს ატარებდა.

როგორც ჩანს, მფარველი ბალზანი არც კოკოსა და არც მისი ქუდების მიმართ არ იყო გულგრილი: მან მაღაზია იყიდა, სადაც კოკომ თავისი ქუდები გამოფინა. ქუდები მოიწონეს, კარგად იყიდებოდა, წარმატებით ფრთაშესხმულმა კოკომ კი ბალზანი მიატოვა და დამოუკიდებლად დაიწყო ცხოვრება. ერთი ეგაა, ბალზანის ახლო მეგობართან, კოპელთან ჰქონდა სასიყვარულო ურთიერთობა - ბალზანის და პარიზელი ჭორიკნების გულის გასახეთქად.

1918 წელს კოპელი დაიღუპა, და კოკო პარიზის ბოჰემას დაუბრუნდა. იმხანად საზოგადოებაში თავის მეგობართან, პიანისტ ქალთან ერთად ჩნდებოდა ხოლმე, და სასწრაფოდ დაასკვნეს, რომ ყოფილი კურტიზანი არც მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა სიყვარულს უკადრისობდა.

უნდა ითქვას, რომ კოკო შანელი შესანიშნავად არჩევდა, ვისთან ღირდა საქმის დაჭერა და ვისთან - არა. ყოველი ურთიერთობა მისთვის ახალი შთაგონების და ორიგინალური იდეების წყარო იყო: დიდ რუს თავადთან სასიყვარულო ისტორიის დასრულების შემდეგ მის სამოსში რუსული ხალხური ტანსაცმლის დეტალები და მოტივები გაჩნდა, ფრანგ პოეტს, პიერ რივერს იდუმალი, მისტიკური განწყობა მოჰყვა...

ომის წლებში პარიზში ცხოვრება, ცხადია, გაჭირდა, და ფარჩის კაბები და სირაქლემას ბუმბულებიც უკვე არააქტუალური იყო. ამ ფონზე პარიზელმა ქალებმა აღტაცებით მიიღეს "შანელის ელეგანტური სისადავე": მამაკაცის პერანგების მსგავსი სამოსი და სწორი, მუხლამდე კაბები, კოხტა ქუდი, რომელიც ნახევარ სახეს ფარავდა, მაღალი ქუსლები - ელეგანტური, თავდაჯერებული და სექსუალური, გაურკვეველი ასაკის ქალი... ერთი რამღა აკლდათ - სურნელი, და მაშინ კოკომ სუნამო შექმნა, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს და რომელიც დღემდე ხელოვნების ნიმუშად ითვლება: "შანელ №5". ხუთიანი კოკოს თავისთვის ბედნიერ რიცხვად მიაჩნდა, ამიტომ იყო, რომ მოდების ჩვენებას ყოველთვის ხუთ რიცხვში მართავდა ხოლმე. კოკოს უმადლიან ქალები მოკლე ვარცხნილობას და უნივერსალურ "პატარა შავ კაბასაც" - ეს კაბა ოდესღაც პარიზელი გამყიდველი ქალების უნიფორმა იყო.

და უცებ, 30-იან წლების ბოლოს, უკვე საქვეყნოდ ცნობილმა, მდიდარმა და წარმატებულმა შემოქმედმა თავისი ბუტიკები დახურა და შვეიცარიაში წავიდა საცხოვრებლად. რა მოხდა, უცნობია, ძნელი წარმოსადგენია, რომ ამის მიზეზი მართლა იმედგაცრუება ან ელზა ჩიაპარელისთან ხანგრძლივი კონკურენცია ყოფილიყო. მეორე მსოფლიო ომთან ერთად კოკოს მდგომარეობას ვალტერ შელსნბერგთან, SS-ის მეთაურის, ჰენრიხ ჰიმლერის თანაშემწესთან სასიყვარულო კავშირიც ართულებდა.

მაგრამ 70 წლის ასაკში კოკო კვლავ ტრიუმფით დაუბრუნდა მოდის სამყაროს. ეს გადაწყვეტილება მან შესანიშნავი მიზეზით ახსნა: "ვეღარ ვუყურებდი იმას, რაც პარიზს დიორისა და ბალმენის მსგავსმა დიზაინერებმა დამართეს."

საერთოდ, ქ-ნი კოკო დიდად ეჭვიანი გახლდათ. თურმე, გულზე მაკრატელი ჰქონდა ხოლმე დაკიდებული, და ერთხელ, როცა მისი მოდელი ჟივანშისეულ კაბაში გამოცხადდა, იარაღი მოიხმარა კიდეც - ქალს კაბა ტანზე შეაჭრა და გამოაცხადა, ასე უკეთ გამოიყურებაო. არანაკლები სისასტიკით მოექცა თავის კონკურენტს, კრისტიან დიორსაც: მის "ჰაპერქალურ" მოდელებს საჯაროდ დასცინოდა და ასეთი ფრაზაც კი წარმოთქვა: "მამაკაცი, რომელსაც ქალი არასოდეს ჰყოლია, ცდილობს, ქალს ისე ჩააცვას, თითქოს თვითონაც ქალი იყოს."

...გაბრიელ შანელი 88 წლისა გარდაიცვალა, ჩუმად, უხმაუროდ, ისეთივე მოხდენილი და ელეგანტური, როგორიც ყოველთვის იყო. შანელის მოდის იმპერია ყოველწლიურად 160 მილიონ დოლარს იძლეოდა, მის კარადაში კი მხოლოდ სამი ხელი ტანსაცმელი იპოვნეს, მართალია, ძალიან კარგი ტანსაცმელი, სწორედ ისეთი, მოდების დიად დედოფალს რომ შეეფერებოდა.



მადონა ამერიკას უმღერის

მადონა

თავის მეათე ალბომზე, American Life-ზე საუბრისას მადონამ აღნიშნა: "ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ძილ-ბურანიდან გამოვფხიზლდი. ეს სიმღერები მთელ ჩემს დღევანდელ მსოფლმხედველობას, ჩემს სულიერ მდგომარეობას გადმოსცემს, ყველაფერს – წუხილსაც და სიმშვიდესაც. მე ვიმედოვნებ, რომ ალბომი ძალიან პირადული და, ამავე დროს, უნივერსალური გამოგვივიდა."

American Life-ზე პოპის დედოფალთან ერთად მირვეიზ ახმაძაი მუშაობდა, რომელთან თანამშრომლობის გამოცდილება მომღერალმა წინა ალბომის, Music-ის ჩაწერის დროს შეიძინა და, როგორც ჩანს, ერთობ კმაყოფილი დარჩა. ალბომის სატიტულო სიმღერის კლიპმა, რომელიც ეკრანებზე მხოლოდ აპრილში გამოჩნდება, უკვე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

თავად მადონას დაახლოებულ პირთა განცხადებით, ეს კლიპი ჩვენი კულტურის ფართო პანორამულ სურათს ასახავს. ომის არსს მადონას მიერ შესრულებული სუპერგმირი ქალის სახე გადმოგვცემს – ის დღევანდელი კულტურული სტერეოტიპების წინააღმდეგ იბრძვის. "ეს ნაციონალური ფსიქიკის ღრმა ექსპერტიზაა," აცხადებს მადონა.

ახალი ალბომის რეკლამის მიზნით მადონას მრავალი უჩვეულო ადგილის მონახულება აქვს დაგეგმილი, მაგრამ რა ადგილებისა – ეს, ჯერჯერობით, საიდუმლოდ რჩება.

მოგესალმებით, ლინდა!



ლინდა ევანგელისტა

ოთხწლიანი შესვენების შემდეგ ძველებურად გრაციოზული და მომხიბვლელი ლინდა ევანგელისტა კვლავ პოდიუმზე გამოვიდა. 37 წლის სუპერმოდელმა Dolce & Gabbana-ს დეფილეში მიიღო მონაწილეობა.

"ამდენი ხნის შემდეგ მისი პოდიუმზე დანახვა დიდი სიამოვნება იყო," განაცხადა ჩვენების შემდეგ ჟურნალ Fashion Syndicate-ის რედაქტორმა, მარილუ ლიუტერმა, რომელიც ლინდას კარიერას უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში ადევნებდა თვალს, "ლინდა ყველაფრის განსახიერებაა, რასაც მსოფლიო სუპერმოდელისგან მოელის – ნებისყოფის, ჯიშიანობის, დაუვიწყარი სილამაზისა."

უკანასკნელ ხანებში ლეგენდარული სუპერმოდელები თავიანთ თაყვანისმცემლებს დიდად არ ანებივრებენ. მათგან მხოლოდ ნაომი კემპბელი თუ გამოდის რეგულარულად მნიშვნელოვან ჩვენებებზე. ერთი თვის წინათ ჰელენა კრისტენსენმა დიდხნიანი შესვენების შემდეგ ნიუ იორკში, მოდების ჩვენებაზე მისული საზოგადოება გაახარა, დანარჩენები კი სულ უფრო იშვიათად ჩნდებიან.

როგორც მოგახსენეთ, ევანგელისტამ Dolce & Gabbana-ს კოლექციის ჩვენება გახსნა. ის უზარმაზარ სტაფილოსფერ ქურთუკსა და მაღალქუსლიან ფეხსაცმელებში უჩვეულოდ ნორჩად გამოიყურებოდა.

მიუხედავად მისი უდავო სილამაზისა და პროფესიონალიზმისა, მნახველთა ნაწილმა დაასკვნა, ნაომისთან შედარებით – ჩვენებაში ისიც მონაწილეობდა – ლინდა აშკარად ღელავდაო. ავად ჩაიქირქილეს, ალბათ, თავისი სხეულის დარდი ჰქონდა, რადგან წონაში მოიმატაო.

თვით კეთილგანწყობილმა მარილუ ლიუტერმა და სხვა ექსპერტებმაც აღნიშნეს, რომ ევანგელისტა სიარულის დროს შებოჭილი იყო და დაასკვნეს, რომ ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებს – მოდელების წრეში ეს ერთობ გავრცელებული სენია, ალბათ, იმის გამო, რომ ძალიან მაღალ ქუსლებზე ძალიან დიდი ხნის გატარება უწევთ ხოლმე.

მიუხედავად ასეთი საძაგელი კრიტიკისა, ლინდა ევანგელისტას მსოფლიოში განთქმული ფეხები კვლავ უნაკლოდ ლამაზი იყო, და მადლიერმა Dolce & Gabbana-მ მას "დებიუტისთვის" ყველა მოდელისთვის სასურველი, ექვსნიშნა ჰონორარი გადაუხადა.

20%-იანი ფასდაჯერება კუპონით

პირველი ელექტრონული ენციკლოპედია საქართველოს შესახებ ინგლისურ ენაზე – "Discover Georgia"

43 ვიდეო რგოლი, 95 აუდიო ნაწარმოები, 3,000 ილუსტრაცია, 100 გვერდი შემეცნებითი აღწერა

ისტორიის თვალსაჩინო მოვლენები; ბიოგრაფიები; სიმბოლიკა; უნიკალური საარქივო ფოტოები; ქანდაკებები; ნახატები; ლექსები; ნაწყვეტები კინოფილმებიდან; სიმღერები; ტრადიციები; მუსიკალური ცეკვები; ინსტრუმენტები; ხალხური თანამედროვე რეწვა; რეწვა; სუფრის კერძები; ტრადიციები; ფრესკები; მონუმენტები; თბილისის რუქა; სლაიდები; მონუმენტალური არქიტექტურა; რუქები; ხმოვანი ანბანი; ქართული შრიფტები; ფულად-საკრედიტო სამყარო;

PC CD-ROM NeoMedia

ადგილზე მისტანით

მხოლოდ 33 ლარად!

დაგვირეკეთ (920162) და შეუკვეთეთ!

NMCP Netherlands Management Cooperation Programme ნიდერლანდების მართვის თანადგომის პროგრამა

მოიწვიეთ თქვენს კომპანიაში პოლანდიელი მენეჯერი!

ნიდერლანდის სამეფოს სამთავრობო პროგრამა მენეჯმენტის განვითარების და თანამშრომლობის დარგში (NMCP), კერძო წარმომადგენლებს გაძლევთ საშუალებას, ერთი ან ორი კვირით, უფასოდ მოიწვიოთ თქვენს ფირმაში გამოცდილი ჰოლანდიელი სპეციალისტი. ჰოლანდიელი ექსპერტი დაგეხმარებათ თქვენი კომპანიის მენეჯმენტის, მარკეტინგის, PR-ის განვითარებასა და სრულყოფაში, ახალი და საქმიანი კონტაქტების დამყარებაში.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოში NMCP პროგრამის კოორდინატორს (ტელ: 899-931454). აგრეთვე, შეგიძლიათ მოიპოვოთ ინფორმაცია ინტერნეტის მეშვეობით (www.nmcp.nl). გისურვებთ წარმატებებს.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

სკანდინავიური კროსვორდი

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24